# არსენალი

№ 4 (21). აპრილი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

63/2



ერაყის ომს დასასრული არ უჩანს

1425 /2
2006

მსოფლიოს უდიდესი არმიები

ჯავშანჟილეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ოპერაცია „საჩუქარი"

ექსკლუზიური ფოტოები დადიანების „ოქროს ალბომიდან"

БТР-80 ჯავშანი ბორბლებზე




БТР-80 – ჯავშანი ბორბლებზე 25





ჯავშანჟილეტი – დაცვის გარანტია... 8





საქართველოს საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის როლი ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში 10

მსოფლიოს უდიდესი არმიები 30







დადიანების „ოქროს ალბომის“ კავკასიური სახეები 38





RANGE ROVER SPORT 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 მოკლე ინფორმაციები

თვალსაზრისი

5 ერაყის ომს დასასრული არ უჩანს

კალეიდოსკოპი

6 უცხოეთის ამბები

აღჭურვილობა

8 ჯავშანჟილეტი – დაცვის გარანტია, ოღონდ არასრული

ექსპერტის აზრი

10 ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა

სპეცსამსახურები

14 სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო დანაყოფები (ნაწ. III)

სპეცოპერაცია

19 ოპერაცია „საჩუქარი"

ნადირობის მოყვარულთათვის

22 ავსტრიელი გრავიორის ნახელავი

იარაღი

25 БТР-80 – ჯავშანი ბორბლებზე

მილიტარიზაცია

30 მსოფლიოს უდიდესი არმიები

მემკვიდრეობა

38 დადიანების „ოქროს ალბომის" კავკასიური სახეები

ფლოტი

40 წყალქვეშა დივერსიები

საქართველოს ისტორია

42 საქართველოს არმია ბოლშევიკური აგრესიის წინ

კროსვორდი

47 არსენალვორდი

კინოლაფსუსი

48 „შვარცენეგერის ოინები"

სუპერმობილი

50 Range Rover Sport

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 TT-ს ჩეხური ანალოგი


## რედაქტორის სვეტი

გასულ თვეში თბილისს NATO-ს შემფასებელთა ჯგუფი სტუმრობდა. სტუმრებს ოფიციალური შეხვედრები ჰქონდათ როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში (თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროებში), ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია, თუ რამდენად ზუსტად ასრულებს საქართველო NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა – IPAP-ს, შეფასებული უკვე აპრილის შუა რიცხვებში, უშუალოდ NATO-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში იქნება. იქ 26 პლუს 1 ფორმატით (NATO-ს წევრი 26 ქვეყანა და საქართველო) განიხილება საკითხი, თუ რამდენად მზადაა საქართველო IPAP-იდან გადავიდეს MAP-ზე (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა), რის შემდეგაც NATO-ს სრულ წევრობამდე თითქმის აღარაფერი რჩება...

საგულისხმო ის გახლავთ, რომ რაც უფრო ოპტიმისტურია პროგნოზებში ოფიციოზი, მით უფრო კრიტიკულად განიხილავენ საქართველოს მიერ IPAP-ის მოთხოვნათა შესრულებას არასამთავრობო ორგანიზაციები...

დასკვნების გაკეთებას არ ვიჩქარებთ და NATO-ს ვერდიქტს დაველოდებით...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

## ლოგისტიკური უზრუნველყოფის ასეულმა საჩვენებელი წვრთნები გამართა

კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ქართულ-ამერიკული „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის“ (SSOP) ფარგლებში მომზადებულმა ლოგისტიკური უზრუნველყოფის ასეულმა საჩვენებელი წვრთნები გამართა.

მისი მიზანი მზადების პერიოდში შესწავლილი მასალის პრაქტიკული განხორციელება იყო.

ბატალიონის გამოშვებისადმი მიძღვნილი ოფიციალური საზეიმო ცერემონია 24 მარტს გაიმართა. ამით დასრულდა პროგრამის მორიგი ფაზა, ზაფხულში კი „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამას“ მესამე ბრიგადის პირადი შემადგენლობა დაიწყებს.

SSOP -ის ფარგლებში ოთხთვიან საწვრთნელ კურსს ამერიკელი საზღვაო ქვეითები ხელმძღვანელობდნენ. ისინი ქართველ სამხედროებს NATO-ს სტანდარტების შესაბამისად ამზადებდნენ. საბრძოლო კურსი ითვალისწინებდა ტაქტიკურ, საცეცხლე და ტოპოგრაფიულ მომზადებას, ასევე თავდაცვისთვის პოზიციების შერჩევისა და ჩასაფრების ტექნიკის დაუფლებასა და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებას.

ამ პროგრამით მომზადებული ჯარისკაცები სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ერაყში გაემგზავრებიან. ქართულ-ამერიკული შეთანხმების თანახმად, „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის“ მიზანს საქართველოს სამხედრო ძალების პოტენციალის გაზრდა, კავკასიის რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური მხარდაჭერა წარმოადგენს.

## მესაზღვრეებს სწავლებები ჩაუტარეს

ამერიკელმა კოლეგებმა „საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების“ პროგრამის ფარგლებში სწავლებები ჩაუტარეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ბათუმისა და ფოთის ბაზის მესაზღვრეებს.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, სწავლება ნავსადგურის ფიზიკური უსაფრთხოების კურსს მოიცავდა. ტრენინგები ბათუმში დაიწყო და 24 მარტს დასრულდა, სწავლების მეორე ეტაპი კი ფოთში 27-31 მარტს ჩატარდება.

სწავლებებში, რომელსაც აშშ-ის სანაპირო დაცვის საერთაშორისო წვრთნის დივიზიონის ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდნენ, სანაპირო დაცვის ბათუმისა და ფოთის დივიზიონების 26 მესაზღვრე მონაწილეობდა. სწავლებაში ჩართული იყვნენ ასევე რეგიონული საბაჟო სამსახურების, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ნავსადგურის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები. სწავლების მიზანს ნავსადგურებში კრიზისული სიტუაციების დროს სხვადასხვა სამსახურის კოორდინირებული მუშაობა წარმოადგენდა.

საქართველოში აშშ-ის ელჩმა ჯონ ტეფტმა და საელჩოს წარმომადგენლებმა „სარფის“ საკონტროლო-გამტარი პუნქტი და ბათუმის პორტი დაათვალიერეს. 24 მარტს ჯონ ტეფტი ბათუმში სწავლების პირველი ეტაპის დასრულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას დაესწრო. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე „საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების“ პროგრამის ხელმძღვანელი ჯონათან თრამბლი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე და უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები.

## 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი ერაყში გაემგზავრა

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი ერაყში გაემგზავრა. გაცილების საზეიმო ცერემონია კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში გაიმართა.

550-მა სამხედრო მოსამსახურემ გამგზავრების წინ სხვადასხვა სახის მომზადება, მათ შორის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) პროგრამა გაიარა. ბატალიონმა დასახლებულ პუნქტებში პატრულირება, ტერორისტთა დაკავება, სამხედრო უნარ-ჩვევებით მოქმედება და ომის კანონის თეორიული საკითხები შეისწავლა. მათ სამშვიდობო ოპერაციის წინამოსამზადებელი კურსიც გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში სამხედროებს ქართველი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ.

ჯარისკაცების გასაცილებლად კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში მათი ოჯახების წევრები და ახლობლები მივიდნენ. ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯონ ტეფტი და ბრიგადების მეთაურები ესწრებოდნენ.

22-ე ბატალიონი, რომელსაც კაპიტანი ლერი ყარმაზანაშვილი მეთაურობს, სამშვიდობო მისიას ერაყის დედაქალაქ ბაღდადში შეასრულებს. ისინი როტაციის წესით ამავე ბრიგადის 21-ე ბატალიონს ჩაენაცვლებიან. სამხედროები საქართველოში ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდებიან.

## "გზა ნატოსკენ"

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ინიციატივით სასტუმრო „თორში“ გაიმართა ყოველწლიური კონფერენცია თემაზე „დემოკრატიული კონტროლი სამხედრო ძალებზე — გზა ნატოსკენ“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები — „სამართალი და თავისუფლება“, „საქართველო ნატოში“, „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ასოციაცია“ და „თბილისის ევროატლანტიკური კვლევების ცენტრი“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალი და თავისუფლების“ წარმომადგენელმა შალვა თადუმაძემ ისაუბრა ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ პრობლემებზე.

მისი განცხადებით, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თავდაცვის შიდაადმინისტრაციული მოწყობა, კერძოდ, ჩამოუყალიბებელია ჯარების სახეობების სარდლობები და გაუმიჯნავია სამხედრო-სამოქალაქო სექტორი, რაც იმითაც გამოიხატება, რომ ხდება ფუნქციების დუბლირება და აღრევა. თავდაცვის სამინისტროში საკადრო პოლიტიკა ნაცნობ-მეგობრობის მიხედვით ხორციელდება და განათლებასა და გამოცდილებას უპირატესობა არ ენიჭება. ასევე გაურკვეველია, რაში დაიხარჯა მილიონობით საბიუჯეტო ლარი. თადუმაძის განცხადებით, ხდება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი და არაეკონომიური ხარჯვა. რაც შეეხება NATO-სთან თავსებადობას, კვლავ პრობლემებია ტექნიკური და ლოგისტიკური თვალსაზრისით და შეუსრულებელია IPAP-ის მოთხოვნის 16 პუნქტი.

# ერაყის ომს დასასრული არ უჩანს

## სამი წლის პარტიზანული ომი



მარტში სამი წელიწადი შესრულდა, რაც ერაყის მიწაზე სიმშვიდე დაირღვა. ამჟამად ერაყის მთელ ტერიტორიაზე გაცხარებული პარტიზანული ბრძოლები მიმდინარეობს და ამას დასასრული არ უჩანს, პირიქით, პარტიზანები თუ ტერორისტები ყოველდღიურად ხვეწენ დივერსიული თავდასხმების მეთოდებს და კოალიციურ ძალებს ახალ-ახალ თავსატეხს უჩენენ.

დანაღმული ავტომანქანები, ისევე როგორც კამიკაძე-მძღოლები, ახლა აღარავის უკვირს, რადგან ტერორისტები მუსლიმანებისთვის უპირველესი სიწმინდეების – მეჩეთებისა და მლოცველების აფეთქებაზეც არ იხევენ უკან.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ბოლო თვეებში ტერორისტებმა ერთგვარი „აღმოჩენა“ გააკეთეს, რის გამოც ამერიკელი პილოტებისთვის ძალიან დაბალ სიმაღლეებზე ფრენა სარისკო გახდა. აქამდე თითქმის შენობების სახურავების დონეზე (უდაბნოში კი 20-30 მ-ის სიმაღლეზე) მფრენი ამერიკული შვეულმფრენების დაზიანება და მით უმეტეს, ჩამოგდება ტერორისტებს უძნელდებოდათ, რადგან ასეთ დაბალ სიმაღლეზე „სტინგერებსა“ და „იგლებს“ საჰაერო მიზნის დაფიქსირება უჭირთ. ამიტომ ტერორისტებმა ხრიკს მიმართეს – ისინი იმ სახლების სახურავებს ნაღმავენ, რომლის თავზეც ყველაზე ხშირად დაფრინავენ ამერიკული შვეულმფრენები. მათი გამოჩენისთანავე ტერორისტები აამოქმედებენ ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომლის ნამსხვრევები (ძირითადად, რკინის ბურთულები) წინასწარ დაყენებული მიმართულებით უდიდესი სიჩქარით იფანტება ჰაერში და მათი ნაწილი ახლოს ჩაფრენილ შვეულმფრენს საკმაოდ აზიანებს.

ახალი ტაქტიკის ამოქმედების გამო შვეულმფრენების პილოტები იძულებულნი არიან ფრენის სიმაღლე გაზარდონ, რის გამოც უკვე „სტრელების“, „იგლების“ ან სულაც ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რაკეტების მსხვერპლი ხდებიან.

მარტო ამერიკული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა ერაყში 160 ათას კაცს აღწევს, რასაც ემატება რამდენიმე ათასიანი კოალიციური ძალებიც, მათ შორის 850 ქართველი სამხედრო.

მიუხედავად ასეთი სერიოზული ძალისა, რაიმე მნიშვნელოვან წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა. ამერიკული ადმინისტრაცია ცდილობს ადგილობრივი, ერაყელი ჯარები გაწვრთნას და ისინი თავის სამხედროებს ჩაანაცვლოს. დაახლოებით ასევე იქცეოდა მოსკოვი, როდესაც თავისი თითქმის 100-ათასიანი მე-40 არმიის ჩანაცვლებას ცდილობდა ავღანური „ცარანდოის“ დანაყოფებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან საბჭოთა სამხედრო კონტინგენტის გასვლიდან მალე ავღანეთის ხელისუფლებაში აგრესიული თალიბური ხელისუფლება მოვიდა.

უფრო ადრე იგივე მოხდა ვიეტნამის ომშიც. ამერიკული ჯარების გასვლისთანავე კომუნისტურმა ჩრდილოეთ ვიეტნამის სამხედრო დიქტატურამ პროამერიკულ რაიონს „გადაუარა“.

ალბათ იგივეა მოსალოდნელი ერაყში. პრეზიდენტმა ბუშმა 2003 წლის მარტში, როდესაც დიქტატორ სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხო, „კრაზანების ბუდე“ გამოაღვიძა. ამით ამერიკელებმა საშუალება მისცეს შიიტებს გაძლიერებულიყვნენ და შეეტიათ იმ შედარებით მცირერიცხოვანი სუნიტებისთვის, რომელთა ინტერესებს მანამდე თავად სადამ ჰუსეინი იცავდა.

ადრე თუ გვიან, ვაშინგტონი დატოვებს ერაყს (სავარაუდოდ, ეს შეიძლება 2-3 წელიწადშიც მოხდეს), მაგრამ ბაღდადში ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდნენ „ალქაიდის“ ან თალიბებისმაგვარი საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყი ათასი ჯურის ტერორისტისა და დივერსანტის მოსამზადებელ უზარმაზარ ცენტრად გადაიქცევა. აქედან გაგზავნილი კამიკაძე-ტერორისტები კი მარტო აშშ-ს კი არა, არამედ კოალიციის ყველა იმ ქვეყანას (უპირველესად ქრისტიანულებს) დაემუქრებიან, რომელთა ხელისუფალნი დღეს თეთრ სახლს ერაყის ომში გვერდში უდგანან.




**ირაკლი ალადაშვილი**



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქერცლიანი ჯეიმს ბონდი

ბიოწყალქვეშა ნავების შექმნა მსოფლიოს სამხედრო უწყებების ახალი და ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა. ყველაზე მეტად ამ საქმეში აშშ და ნორვეგია დაწინაურდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ლაბორატორიის „სტაპელებიდან“ ჩამოვა მართვადი ზვიგენების პირველი ეგზემპლარები. ისინი დივერსიულ-სადაზვერვო ფუნქციას შეასრულებენ. როგორიცაა მოწინააღმდეგის საცურაო საშუალებების ჩაძირვა, ნაღმების ძიება და ბაზისთვის ცნობების მიწოდება ზღვებსა და ოკეანეებში მტრის გადაადგილების შესახებ. მტაცებლის თავში ჩანერგილია გადამცემი, რომელიც რადიოსიგნალების მეშვეობით ტვინის ამა თუ იმ ნაწილს ააქტიურებს. ზვიგენი იმპულსებს ემორჩილება და დასახული მიმართულებით მიდის.

ზვიგენები წყალქვეშა სამყაროში ელექტრომაგნიტური ველების დაჭერის შეუდარებელი ოსტატები არიან. მათ ქვიშაში ჩამალული ქამბალის პოვნაც კი შეუძლიათ. ამერიკელები ზვიგენის ამ ნიჭის გამოყენებასაც აპირებენ — თევზის ტვინში დეტექტორს ჩანერგავენ, რომელიც დააფიქსირებს და ცენტრს გადასცემს ინფორმაციას მის გარემომცველ ელექტრომაგნიტურ ველებზე.

ზვიგენის ნაკლი მისი დიდი ზომა და უტვინობა, გაწვრთნის შეზღუდული შესაძლებლობები და მხოლოდ მართვაზე ორიენტირებაა, მაგრამ არიან უფრო ნიჭიერები და „ექსპლუატაციისთვის“ იაფი სახეობებიც, რომლებიც ბიოწყალქვეშა ნავის როლს შეასრულებენ. ამ დასკვნამდე მივიდნენ ნორვეგიელი მეცნიერები, ისინი საჯაშუშო და დივერსიული წყალქვეშა ნავის როლის შესასრულებლად ჩვეულებრივ თევზს, საიდას არჩევენ. საიდა ნამდვილი ჯეიმს ბონდია: ჭკვიანი, ამტანი და დამჯერი“, — ამბობს პროფესორი ენს ბალხენი.

თევზი მასში ჩანერგილი მინიატიურული ელქტროკომპასიანი, კომპიუტერიანი და საბრუნავმექანიზმიანი ავტოპილოტით იმართება. მეცნიერის თქმით, საიდა შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ დაგემორჩილოს — თუ მშიერი იქნება და ამ დროს გვერდით ჩავლილ ქაშაყს დაინახავს. ათკილოგრამიან თევზს ორი კილოგრამი აღჭურვილობის ტარება შეუძლია — მაგალითად, ვიდეოკამერა, ფეთქებადი ნივთიერების მუხტი...






# დიდი ბრიტანეთი მალულად ახალ ბირთვულ იარაღს ქმნის

როგორც Times-ი იუწყება, დიდი ბრიტანეთი ახალ ბირთვულ ქობინს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ოფიციალურად ირწმუნება, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი არსებული ბირთვული რაკეტების Trident-ების უფრო ახალი შეიარაღებით შეცვლაო, მუშაობა მაინც მიმდინარეობს. Times-ის ცნობით, ბრიტანელებს არსებულზე უფრო იაფი იარალის შექმნა სურთ.

გარდა ამისა, ახალ იარაღს მხოლოდ უკვე გამოცდილი ტექნოლოგიები უნდა ჰქონდეს, რათა საჭირო აღარ შეიქნეს ბირთვული გამოცდები.

# ჩინეთი ავიამზიდ ფლოტს ააშენებს

ჩინეთი ავიამზიდი ფლოტის აშენებას აპირებს. „ჩინეთის არმია შეიმუშავებს და ააშენებს თავის ავიამზიდს, ასევე შექმნის საკუთარ ავიამზიდ ფლოტს“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჩინეთის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის გენერალმა ვან ჩჟიუანმა. მისი თქმით, ავიამზიდი აუცილებელი ინსტრუმენტია სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში. „რადგან ჩინეთი მსხვილი სახელმწიფოა დიდი სანაპირო ზოლით, ავიამზიდები აუცილებელია ზღვაზე ჩვენი ინტერესების დასაცავად“.

ჩინური ავიამზიდი საეჭვოა უახლოეს 3-5 წელში აშენდეს, თუმცა გენერლის თქმით, ავიამზიდისთვის თვითმფრინავების, ასევე გემებისა და წყალქვეშა ნავების ნაწილი ან უკვე აშენებულია, ან დამუშავების პროცესშია.



აშენების შემდეგ, ავიამზიდს სავარაუდოდ სამხრეთ კორეის ზღვაში, მომარაგების ბაზებთან ახლოს განათავსებენ.

ამჟამად ჩინეთში სამი ყოფილი საბჭოთა ავიამზიდია — „მინსკი“, „კიევი“ და „ვარიაგი“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ბრძოლისუნარიანი. „მინსკი“ და „კიევი“ ჯართად გაიყიდა, მაგრამ ისინი გასართობ ცენტრებად აქციეს, „ვარიაგი“კი უკრაინამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გაყიდა. ამჟამად ის ჩინეთის ერთ-ერთ პორტში დგას. ექსპერტების აზრით, მას ჩინელები მალულად აშენებენ, რათა საზღვაო პილოტების მოსამზადებლად გამოიყენონ, მაგრამ სრულყოფილ ავიამზიდად „ვარიაგის“ ქცევა ეკონომიკურად წამგებიანია — ამ პროექტში იმდენი ფული უნდა ჩაიდოს, რამდენიც ახლის აშენებას ეყოფოდა. მისი იაფ ავიატრენაჟორად ქცევა გაცილებით მომგებიანი იქნება.

# ვარსკვლავური ომები ბრუნდება: პენტაგონი კოსმოსის მილიტარიზაციისთვის ფულს ითხოვს



აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო კონგრესს კოსმოსურ სივრცეში შეიარაღების გამოცდისთვის ასეულობით მილიონ დოლარს სთხოვს. როგორც გაზეთი „ბოსტონ გლობი" იუწყება, ასეთი გამოცდები შესაძლოა კოსმოსის მილიტარიზაციისა და „ცივი ომის" დროინდელი „ვარსკვლავური ომების" პროექტის განხორციელების წინა პირობად იქცეს.

პენტაგონის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც თავდაცვით, ასევე შეტევითი იარაღის გამოცდებს.

გაზეთის ცნობით, იგეგმება რაკეტების გაშვება პატარა ორბიტული თანამგზავრებიდან, განზრახული აქვთ მომცრო კოსმოსური აპარატის გამოცდაც, რომელიც სიჩქარით ბგერის სიჩქარეს 20-ჯერ აჭარბებს. პენტაგონის სპეციალისტებს ასევე სურთ, დაადგინონ, მიწაზე განლაგებულ ლაზერულ დანადგარებს რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ მოწინააღმდეგის განადგურება.

# 11 ჯავშანმანქანა სანთლებივით დაიწვა

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურა ვლადიკავკაზთან ახლოს განთავსებულ სამხედრო ნაწილში მომხდარი ხანძრის საქმეს იძიებს. მაშინ თერთმეტი საბრძოლო ქვეითთა მანქანა დაიწვა. ძირითადი ვერსიაა — ჯავშანმანქანების რემონტისას მომხდარი მოკლე ჩართვა.



სანამ ტყვიაწამალი აფეთქდებოდა, ჯარისკაცებმა ბოქსიდან 17 მანქანის გამოყვანა მოასწრეს. ცეცხლმოდებულ პარკს ალყა დროულად შემოარტყეს და 73-მილიმეტრიანი საარტილერიო ჭურვების აფეთქებას არავინ დაუშავებია.

БМП-1-ს დღეს მოძველებულ ნიმუშად თვლიან, მაგრამ მაღალი ტექნიკური მახასიათებლების გამო ჯერ კიდევ არის მასზე არმიაში მოთხოვნილება. როგორც გაირკვა, დამწვარ მანქანებს ჩეჩნეთში იყენებდნენ. საბრძოლო ვითარებაში ექსპლუატაციის შემდეგ მათ რემონტი დასჭირდათ და ტექნიკა გარნიზონ „სპუტნიკში" გადაისროლეს.

საქმეს კრიმინალისტები იკვლევენ. მათი ამოცანაა ჩატარდეს ექსპერტიზები და დადგინდეს ხანძრის გაჩენის მიზეზები. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლით „სამხედრო ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობის გამო".

# აშშ თანახმაა ოკინავადან ქვეითები 7,5 მილიარდად გამოიყვანოს

„აშშ თანახმაა იაპონური კუნძულიდან ამერიკულ გუამზე 8 ათ. საზღვაო ქვეითი გაიყვანოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონია მათი გაყვანისა და ახალ ადგილზე განთავსებისათვის 7,5 მლრდ-ს გადაიხდის", — განუცხადა ვაშინგტონში იაპონელი ჟურნალისტების ჯგუფს პენტაგონის მაღალჩინოსანმა. მისი განმარტებით, ოკინავადან საზღვაო ქვეითების ნაწილობრივ გაყვანა 10 მლრდ დოლარი ჯდება. ვაშინგტონს სურს, რომ თანხის 75% ტოკიომ დაფაროს, როგორც პირდაპირი შენატანებით, ასევე სესხებით.



# ჯავშანჟილეტი

## დაცვის გარანტია ოღონდ... არასრული

### არმიისთვის ქართულის ნაცვლად რატომღაც უცხოურ ჯავშანჟილეტებს ყიდულობენ

1983 წლის მარტი. ურალის ოლქში საბჭოთა არმიის ორი მთვრალი პრაპორშჩიკი სანაძლეოს დებს და „მაკაროვებით“ დუელს მართავს...

რამდენიმე ხნის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალის საბრალდებო დასკვნაში იწერება, რომ ერთი სამხედრო ნაწილის ორმა პრაპორშჩიკმა ხულიგნური მოტივით ჯავშანჟილეტები ჩაიცვა და ერთმანეთს სროლა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებით 20მ-ის დისტანციიდან დაუწყეს. პირველმა ააცილა, მეორემ კი ტყვია ჯავშანჟილეტში, მკერდის მარჯვენა მხარეს მოარტყა. ჯავშანჟილეტის რკინის ფურცელი ტყვიამ ვერ გახვრიტა, თუმცა ტყვიის დარტყმის ენერგიამ პრაპორშჩიკს 4 ნეკნი ჩაუმტვრია, დაიჟეჟა მარჯვენა ფილტვი, რომელიც ამოსაკვეთი გახდა. შემთხვევიდან მესამე დღეს პრაპორშჩიკი გარდაიცვალა...



ეს ამბავი იმაზე მიუთითებს, რომ ჯავშანჟილეტი გინდაც ტყვიამ არ გახვრიტოს, დარტყმის ძალამ შეიძლება ადამიანი სერიოზულად დააშავოს. გამოთვლების თანახმად, „მაკაროვის“ 9მმ კალიბრის 6,1 გ-ს მასის ტყვიის კინეტიკური ენერგია 298 ჯოულს უტოლდება. ეს იგივეა, რომ ორკილოგრამიანი გირი ორი მეტრიდან ჩამოაგდო. ალბათ გასაგები ხდება, რა მოუვიდოდა ტყვიამოხვედრილ პრაპორშჩიკს, მიუხედავად იმისა, რომ ტყვიამ ჯავშანჟილეტი ვერ გახვრიტა.

ამიტომ არ ღირს იმ მძაფრსიუჟეტიანი მხატვრული ფილმების გმირებით აღფრთოვანება, რომლებიც ტყვიებით დაცხრილულ ჯავშანჟილეტებს ადვილად იხდიან და ისევ მარდად აგრძელებენ ბრძოლას.

ის, ვინც ჯავშანჟილეტს ანდობს თავის სიცოცხლეს, კარგად უნდა იცოდეს, რომ ის პანაცეა არ არის.

ჯავშანჟილეტის დანიშნულებაა ადამიანის სხეული დაიცვას ტყვიებისა თუ ნამსხვრევების მოხვედრისგან, ან სულაც დანის დარტყმისგან. ყველაზე ეფექტიანი ჯავშანჟილეტი ნამსხვრევების შეკავებისას არის, რადგან იმავე ხელყუმბარის ნამსხვრევები დაახლოებით ორ-სამ გრამს თუ იწონის და მცირე კინეტიკური ენერგია აქვს. სულ სხვა საქმეა ტყვიის შეკავება, მით უმეტეს, თუკი ტყვიის გულა ჯავშანგამტანი მასალისგან (ლეგირებული ფოლადით, ვოლფრამით) არის დამზადებული.

ჯავშანჟილეტების კლასიფიკაციის სხვადასხვა სახეა მიღებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა მიჩნეულია, რომ პირველი კლასის ჯავშანჟილეტმა ადამიანი დანის დარტყმისგან და შედარებით მცირე კინეტიკური ენერგიის მქონე პისტოლეტის ტყვიისგან უნდა დაიცვას. მეორე კლასში გაერთიანებულია ის ჯავშანჟილეტები, რომლებიც ტტ-ს ტიპის პისტოლეტის ტყვიის მოხვედრას უძლებენ. მესამე კლასის ჯავშანჟილეტით აღჭურვილმა მებრძოლმა შეიძლება პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ჯერსაც გაუძლოს. მეოთხე კლასი უკვე ავტომატის ტყვიების „მოგერიების“ „გარანტიას“ იძლევა. მეხუთე და მეექვსე კლასის ჯავშანჟილეტებში დამატებითი დაცვისთვის ტიტანის ფილები ემატება და ისინი სნაიპერული შაშხანიდან გასროლილი ტყვიის





შესაჩერებლად არის განკუთვნილი.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯავშანჟილეტების კლასიფიკაცია მაინც პირობით სახელს ატარებს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა მანძილიდან, რა კუთხითა და რა ტიპის (ჩვეულებრივი, ცეცხლგამჩენი თუ ჯავშანგამტანი) ტყვია მოხვდება ჯავშანჟილეტს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რა მასალისგანაა დამზადებული ჯავშანჟილეტი.

პირველი-მეორე კლასის ჯავშანჟილეტები ძირითადად მხოლოდ კევლარის ტიპის ქსოვილისგან მზადდება და არ შეიცავს კერამიკულ და ტიტანის ფილებს.

მესამე კლასის ჯავშანჟილეტებში კევლარის 15-20 შრეს ემატება მეტალის, კერამიკული ან კომბინირებული ფირფიტები, რომლებმაც არა მარტო უნდა შეაჩერონ ტყვია, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირონ ტყვიის მოხვედრის ადგილის შიგნით (ადამიანის სხეულისკენ) შეზნექა. მიჩნეულია, რომ ჯავშანჟილეტის შეზნექის მაქსიმალური სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 20მმ-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს დაუზიანდება სასიცოცხლო ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ ტყვიამ ვერ გახვრიტა ჯავშანჟილეტი (გაიხსენეთ იმ პრაპორშჩიკის ამბავი, რითაც სტატია დავიწყეთ).

სხვათა შორის, ზოგჯერ ჯავშანჟილეტმა შეიძლება დამღუპველი როლიც შეასრულოს. თუკი 1-2 კლასის ჯავშანჟილეტს, რომელიც მხოლოდ „ქსოვილისგანაა“ (კევლარის 10-20 შრე) დამზადებული, მოხვდა AK-74 ტიპის ავტომატის მსუბუქი 5,45მმ კალიბრიანი ტყვია, იგი კევლარის შრეებს გახვრეტს და ამასთან მიმართულებას იცვლის; ანუ თუკი ჯავშანჟილეტის არმქონე მებრძოლს ასეთი ტყვია რბილ ქსოვილში მოხვდა, შეიძლება იგი გადარჩეს, მაგრამ ჯავშანჟილეტში მოხვედრის შემდეგ ტყვია მიმართულებას იცვლის და რბილი ქსოვილის ნაცვლად სასიცოცხლო ორგანოებს აზიანებს.

მიჩნეულია, რომ 75 კგ წონის მქონე



სამხედრო მოსამსახურის აღჭურვილობა 15 კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს, თორემ იგი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს ბრძოლისუნარიანობას. ამ 15 კგ-იდან თითქმის ნახევარი ავტომატს, ვაზნების მარაგს, ხელყუმბარებს, დანას, წყლის მათარას, ინდივიდუალურ სამედიცინო პაკეტებს „მიაქვს“. რჩება 7-8 კგ, რომელშიც უნდა „ჩაეტიოს“ ჯავშანჟილეტი და ჯავშან-მუზარადი. თუკი 1-3 კლასის ჯავშანჟილეტი 1-დან 3კგ-მდე იწონის, მაღალი დაცვის ჯავშანჟილეტების მასა 12-18 კგ-მდე (ხანდახან უფრო მეტიც) ადის. მძიმე ჯავშანჟილეტის „თრევისას“ კი მებრძოლი დიდ ენერგიას კარგავს და შესაბამისად, ნაკლები სიჩქარით მოძრაობს, ანუ მოწინააღმდეგის ცეცხლისთვის უფრო ადვილად დასაზიანებელი ხდება.

დღეს მთელ მსოფლიოში აქტიური კვლევები მიმდინარეობს, რომ მებრძოლის ინდივიდუალური დაცვის კომპლექტის სიმტკიცე კიდევ უფრო გაზარდონ, მაგრამ იმავდროულად მაქსიმალურად შეამსუბუქონ. სხვათა შორის, სტატიის ავტორი შედიოდა იმ მცირერიცხოვან დელეგაციაში, რომელმაც ჯერ კიდევ 2000 წელს პრაღაში „NATO-ს საბრძოლო და პირადი აღჭურვილობის“ საერთაშორისო გამოფენაზე ქართული წარმოების ჯავშანჟილეტები პირველად წარადგინა. მაშინ ქართული ჯავშანჟილეტების (ისევე როგორც სხვა აღჭურვილობის) ექსპოზიციას NATO-ს სამხედრო ექსპერტები დიდი გულისყურით ათვალიერებდნენ. მათი დაინტერესება გამოიწვია ჯავშანჟილეტებმა: „ელიტამ“ (ყველა სახის პისტოლეტისგან თავდასაცავი) და „თორიტექ-02“-მა, ასევე ტიტანი-კევლარის კომპოზიციურმა ჯავშანფილამ „თორი-ტ“. ეს უკანასკნელი 10 მ-ის დისტანციიდან ნასროლი AKM-ის 7,62მმ კალიბრის ტყვიას უძლებს.

მას შემდეგ 5 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ქართული წარმოების ჯავშანჟილეტებმა ქართულ არმიაში ფეხი მასობრივად მაინც ვერ მოიკიდა, ძირითადად, სუბიექტური მიზეზების გამო, რადგან იარაღისა და საჭურვლის შემსყიდველ სამხედრო ჩინოვნიკებს ხშირად უცხოურ ფირმებთან უფრო აწყობთ ურთიერთობა არცთუ ისე ძნელად გასაგები მიზეზების გამო.

ამჟამად NATO-ს ინტერესებში ახალი თაობის ჯავშანჟილეტების შემუშავება მიმდინარეობს, რომელთაც უცნაური სახელი — „მსუბუქი გამჭვირვალე ჯავშანი“ ერქმევათ. ეს ჯავშანჟილეტები საფირონის ან სხვა შერეული სილიკატების ფირფიტებისგან დამზადდება და თუკი დავუჯერებთ მათ შემქმნელებს, 25-35მმ სისქის ეს ფირფიტა გამძლეობით გაუთანაბრდება 80მმ სისქის ფოლადს, ეს კი ჯავშანჟილეტის მასას მნიშვნელოვნად შეამცირებს. სხვათა შორის, ამ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ კეკელიძე.

აშშ-ის არმიისთვის კი უფრო ორიგინალური სახის, თხევადი ჯავშანჟილეტების შექმნა იგეგმება. სპეციალური ქიმიური ხსნარით გაჟღენთილი კევლარის შრეები დრეკად ფორმას ინარჩუნებს და ჯარისკაცს გადაადგილებას არ უშლის, თუმცა ტყვიის მოხვედრისთანავე ხსნარში არსებული კვარცის ნაწილაკები ავტომატურად ქმნის დამატებით წინააღმდეგობას.

ისე კი, თუკი კევლარისგან დამზადებული დღევანდელი ჯავშანჟილეტი შემთხვევით წყალში ჩაგივარდათ ან თქვენმა მეუღლემ გარეცხა, შეგიძლიათ გადააგდოთ, რადგან წყალში კევლარი მდგრადობას კარგავს.

**ირაკლი ალადაშვილი**





# ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა



რუსული წარმოების 25 სახის თვითმფრინავისა და 6 შვეულმფრენიდან ნებისმიერი შეიძლება დაგვიპირისპირდეს...

## საქართველოს საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის როლი ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში

საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა აქვს ევროპა-აზიის გასაყარზე. მისი საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო კომუნიკაციები მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის განვითარებისთვის.

ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის განვითარებისა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების პროექტების განხორციელებისას საქართველოს საჰაერო სივრცის უსაფრთხოებას განსაკუთრებული როლი ენიჭება.

მსოფლიოში ბოლო ათწლეულების ლოკალური ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰაერში ბატონობას, ანუ საჰაერო სივრცეზე კონტროლის მოპოვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.



ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მრავალი სახეობა არსებობს, ჩვენი მიზანია საქართველოს თავისებურებებისგან გამომდინარე ყველაზე ეფექტიანი და პრაქტიკული ავარჩიოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აფხაზეთის ომის დროს, ასევე შემდგომშიც, ჩვენი საჰაერო თავდაცვის სისუსტე უსუსურობის შეგრძნებას იწვევდა. აქედან გამომდინარე, საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარებას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

რუსეთი ხშირად იყენებს ავიაციას ჩვენზე პოლიტიკური და მორალური ზეწოლისთვის. 2000-01 წლებში მორიგი დარღვევებისა და დაბომბვების შემდეგ საჰაერო თავდაცვის საკითხმა უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობა მიიღო. უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ხუთწლიანი პროგრამა. მისი მიზანი იყო NATO-ს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის პროგრამაში გაწევრება და NATO-ს საჰაერო თავდაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო ბაზასთან მიერთება. გარდა ამისა, დაისახა გადაუდებელი ღონისძიებები, რათა შექმნილიყო მინიმალური შესაძლებლობები დარღვევების აღსაკვეთად.

სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო პროგრამები მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და მათ განსახორციელებლად ერთი თეთრიც არ გამოყოფილა.

ქვემოთ მოცემულ პუბლიკაციაში გვინდა მოგითხროთ, რას წარმოადგენს საჰაერო თავდაცვის სისტემა, რა კომპონენტებისგან შედგება, რა ამოცანებისა და ფუნქციების შესრულება ეკისრება.

მშვიდობიანობის დროს საჰაერო თავდაცვის ჯარების ამოცანებია:

– დაზვერვის უწყვეტი წარმოება და შეტყობინება საჰაერო მოწინააღმდეგის თავდასხმის შესახებ;
– ქვეყნის საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების შემოჭრის აღკვეთა;
– საჰაერო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა;
– ქვეყნის საჰაერო სივრცეში გადაფრენებსა და საჰაერო სივრცის გამოყენებაზე კონტროლი.

დასახული ამოცანების შესასრულებლად იქმნება საჰაერო თავდაცვის სისტემა.

საჰაერო თავდაცვის სისტემა არის საბრძოლო წყობაში გაშლილი და ფუნქციურად შეკავშირებული საჰაერო თავდაცვის ნაწილები და ქვედანაყოფები.

საჰაერო თავდაცვის სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტების ან ქვესისტემებისგან (სისტემებისგან):

– მართვის;
– დაზვერვის;
– რეაგირების (ცეცხლის);
– უზრუნველყოფის;
– კადრების მომზადების.

მართვის სისტემას ქმნის გაშლილი და ფუნქციური კავშირებით გაერთიანებული მართვის ორგანოები, პუნქტები და საშუალებები.

დაზვერვის სისტემა წარმოადგენს რადიოელექტრონული საშუალებების აღმოჩენის ზონების ერთობლიობას. საჭიროების შემთხვევაში, იშლება ვიზუალური სათვალთვალო პოსტების ქსელი.

რადიოელექტრონულ საშუალებებში იგულისხმება რადიო, რადიოტექნიკური და რადიოლოკაციური დაზვერვის რადარები. დაზვერვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს რადიოლოკაციური დაზვერვა, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა დიაპაზონის (მეტრული, დეციმეტრული, სანტიმეტრული) რადარები.

რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვისთვის გამოიყენება „ვერა-ე“, „თამარა“ და „კოლჩუგა“-ს ტიპის პასიური სადგურები. „ვერა-ე“ და „თამარა“ ჩეხური წარმოებისაა. „ვერა-ე“ რამდენიმე წელია ჩეხეთის არმიის შეიარაღებაშია, აპრობირებულია NATO-ს ერთიან სისტემაში და შეესაბამება NATO-ს სტანდარტებს. „კოლჩუგა“-ს NATO-ს სტანდარტებთან შესაბამისობის, ასევე საბჭოური ტიპის (რუსული წარმოების) ავიაციის წინააღმდეგ გამოყენების საკითხი დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

მკითხველს არ გადავღლით რადიოტექნიკური ქვედანაყოფების გამოყენების ტაქტიკის განხილვით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საჰაერო ვითარებაზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია პასიური და აქტიური რადარების ერთობლივი გამოყენება, რადგან ავიაციის ფარულ რეჟიმში ფრენისას, როცა გამორთულია საბორტე აპარატურა (რადიოკავშირი, ნავიგაცია, მანძილმზომი, რადარი), პასიური რადარები საფრენ აპარატებს ვერ აღმოაჩენენ და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება აქტიური რადარებით უნდა მოხდეს. მიუხედავად მათი სიძვირისა, პასიური და აქტიური რადარების გამოყენება თანამედროვე ჰაერსაწინაღო ბრძოლაში, ასევე მშვიდობიანობის დროს, საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად აუცილებელია.

მთაგორიანი რელიეფიდან გამომდინარე, საქართველოს მინიმუმ 10-ზე მეტი ასეთი რადარი ესაჭიროება. ამიტომ გასაგებია, რა ძვირია საჰაერო თავდაცვის შექმნა და შემდეგ მისი შენახვა, მაგრამ ქვეყნისა და მისი საჰაერო სივრცის სუვერენიტეტი გაცილებით ძვირი ღირს.

დაზვერვის სისტემის ამოცანაა საჰაერო მოწინააღმდეგის (საჰაერო სივრცის დამრღვევის) ძებნა, აღმოჩენა, ამოცნობა, მიყოლა (გაცილება) და მის შესახებ საჭირო მოცულობისა და ხარისხის ინფორმაციის მიწოდება აქტიური საშუალებებისთვის (აქტიურ საშუალებებში იგულისხმება საზენიტო კომპლექსები, გამანადგურებელი ავიაცია, რადიოელექტრონული ჩახშობის სადგურები).

დაზვერვის სისტემის ინფორმაცია გამოიყენება ასევე საჰაერო მოძრაობის მართვის ამოცანების გადასაწყვეტად მშვიდობიან და საომარ პერიოდში, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სამსახურებისთვის.

მართვისა და დაზვერვის სისტემები ქმნიან საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის კონტროლის პასიურ შემადგენელ ნაწილს, რომლის ეფექტიანი მუშაობის გარეშე შეუძლებელია საჰაერო დამრღვევის წინააღმდეგ მოქმედება ან ჰაერსაწინაღო ბრძოლის წარმოება. ჰაერსაწინაღო ბრძოლა ყველაზე დინამიკური და რთულია.

რეაგირების ან ცეცხლის სისტემა წარმოადგენს საზენიტო კომპლექსების დაზიანების ზონების, გამანადგურებელი ავიაციის მოქმედების ზღუდეების (ზონების) და რადიოელექტრონული საშუალებების ჩახშობის ზონების ერთობლიობას. მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა მხოლოდ ერთიანი გეგმითა და შეთანხმებული მოქმედებებით. ისრაელის არმიაში ყველა ჰაერსაწინაღო საშუალება ერთ მეთაურს ექვემდებარება და საჰაერო ძალებშია გაერთიანებული, რითაც შესაძლებელია როგორც საჰაერო თავდაცვის საშუალებების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება, ასევე საკუთარი ავიაციის უსაფრთხოება.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს აქტიურ საშუალებებთან ერთად რადიოელექტრონული ჩახშობის სადგურების მოხსენიება. რადიოელექტრონული ბრძოლა ჰაერსაწინაღო ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ის სპეციალური უზრუნველყოფიდან საბრძოლო უზრუნველყოფად იქცა. თანამედროვე პირობებში ჰაერსაწინაღო ურთიერთდაპირისპირებას იგებს ის, ვინც მეტად არის დაცული რადიოელექტრონული ზემოქმედებისგან და თვითონაც იყენებს ჩახშობის ეფექტიან საშუალებებს. თვითმფრინავის საბორტე-სანავიგაციო, რადიოკავშირისა და სარადარო სისტემების ჩახშობით მისი მოქმედების ეფექტიანობა შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებისა და ჯარების დაჯგუფებების დასაცავად საზენიტო, სარაკეტო და საარტილერიო კომპლექსები გამოიყენება. საქართველოს რელიეფიდან გამომდინარე, ორი დაჯგუფება უნდა შეიქმნას: დედაქალაქისა და ზღვისპირა ზოლის (პორტების) დასაცავად. საზენიტო დაჯგუფებები იქმნება ასევე საშიშ მიმართულებებზე და ჯარების დასაცავად (საჯარისო ჰაერსაწინალო თავდაცვა). ისევ ისრაელის მაგალითს მოვიყვანთ, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა საშუალება ერთ მეთაურს (საჰაერო ძალების სარდალს) ექვემდებარება. ჰაერსაწინალო საშუალებები მათი მოქმედების სიშორის მიხედვით ზღუდეებად არის განლაგებული საშიშ მიმართულებებზე. წინა ზღუდეზე „სტინგერ“-ები და საზენიტო არტილერიაა, შემდეგ უფრო მეტ სიშორეზე მოქმედი კომპლექსებია „პეტრიოტი“-თ დამთავრებული, ე. ი. ჰაერსაწინალო თავდაცვის საშუალებები სიღრმეშია ეშელონირებული.

გამანადგურებელი ავიაცია აუცილებელია საჰაერო სივრცის სრულად გასაკონტროლებლად, განსაკუთრებით მთაგორიან პირობებში. რელიეფის გამო ფერხდება საზენიტო კომპლექსების ეფექტიანად განლაგება. გარდა ამისა, რელიეფი საგრძნობლად ამცირებს კომპლექსების საბრძოლო შესაძლებლობებს, კერძოდ, დაზიანების (განადგურების) ზონას. ამიტომ, თუ დგას ამოცანა, რომ სრულად გააკონტროლდეს ქვეყნის საჰაერო სივრცე, ჩნდება გამანადგურებელი ავიაციის არსებობის აუცილებლობა. ჩვენს პირობებში მიზანშეწონილია მრავალმიზნობრივი გამანადგურებლების შეძენა (МиГ-29 ტიპის), რათა შესაძლებელი იყოს ეფექტიანი ბრძოლა როგორც საჰაერო, ასევე მიწისზედა მიზნების წინააღმდეგ, რადგანაც რამდენიმე ტიპის თვითმფრინავების შენახვა წამგებიანია. დასავლურ ანალოგებთან შედარებით МиГ-29-ის შეძენა უფრო იაფად, დაახლოებით 3,2-დან 3,7 მლნ დოლარამდე შეიძლება (ჩვენს „თბილავიამშენს“ შეუძლია МиГ-29-ის მომსახურება). თვითმფრინავის ფასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და პერსონალის მომზადების ხარჯები.

ნაკლებად ეფექტიანი, მაგრამ ფინანსურად გამართლებული ვარიანტია ჩეხური L-39ZA ტიპის თვითმფრინავების ყიდვა (1 რგოლიდან 1 ესკადრილიამდე). ეს თვითმფრინავები ისედაც აუცილებელია ავიაციისთვის სასწავლო ფრენების შესასრულებლად. სასწავლო ამოცანების გარდა, L-39ZA-ს მეშვეობით შესაძლებელია როგორც მიწისზედა მიზნების (ის მსუბუქი მოიერიშე თვითმფრინავია), ასევე საჰაერო მიზნების განადგურება. საკმაოდ ეფექტიანია შვეულმფრენების წინააღმდეგ.

როგორც საზენიტო კომპლექსების, რადარების, ასევე ავიაციის შეძენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს NATO-სთან თავსებადობის ტექნიკური დეტალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამოცნობის სისტემის დანერგვა, რომლის გარეშეც NATO-ს ერთიან სივრცეში მოქმედებები და სამხედრო თუ სამოქალაქო თვითმფრინავების უსაფრთხოება შეუძლებელია.

რაც შეეხება რადიოელექტრონული ჩახშობის სისტემებს — რადიოელექტრონულ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბოლო ათწლეულების კონფლიქტებში და ამ მხრივ დასავლეთმა და აშშ-მა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, საბჭოურ სინამდვილეში კი მხოლოდ კონფლიქტების გამოცდილების გაანალიზების შემდეგ ექცეოდა ყურადღება. არსებობს სხვადასხვა ტიპის ჩახშობის სადგურები, რომლებიც ზემოქმედებენ საფრენი აპარატების რადიოელექტრონულ სისტემებზე. რადიოელექტრონული ბრძოლის სადგურების შეძენისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ორი საკითხი: რა ტიპის საფრენი აპარატების წინააღმდეგ ვაპირებთ მათ გამოყენებას და ელექტრომაგნიტური თავსებადობა საკუთარ რადიოელექტრონულ სისტემებთან.

უზრუნველყოფის სისტემა საჰაერო თავდაცვის ნაწილების და ქვედანაყოფების მიერ საბრძოლო მორიგეობის (მშვიდობიანობის დროს) და საბრძოლო მოქმედებების (ომიანობის დროს) წარმოების ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად იქმნება. არსებობს უზრუნველყოფის რამდენიმე ათეული(!) სახეობა, რომლებიც შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

— საბრძოლო უზრუნველყოფა;

— მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა;

— ტექნიკური უზრუნველყოფა;

— ლოგისტიკური უზრუნველყოფა.

საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების მოქმედებების უზრუნველყოფა არის ღონისძიებათა კომპლექსი გამიზნული ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის შესანარჩუნებლად და საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

უზრუნველყოფა უნდა იყოს უწყვეტი და კომპლექსური. მიუღებელია ჩავარდნები თუნდაც რომელიმე რგოლში. ასევე მიუღებელია მიდგომა — „როცა დაგვჭირდება, თანხებს გამოვყოფთ და საბრძოლო დავალებას შევასრულებთ“. უზრუნველყოფის ჩავარდნას მოჰყვება სასწავლო პროცესისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხის დაქვეითება, რაც პირდაპირ მოქმედებს საბრძოლო მზადყოფნის დონეზე.

კადრების მომზადების სისტემა არის სასწავლო-მატერიალური ბაზისა და სასწავლო-აღმზრდელობითი საშუალებების კომპლექსი (ერთობლიობა) მიმართული ჯარების მოსამზადებლად საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის.

საჰაერო თავდაცვის ნაწილებში რამდენიმე ათეული სპეციალობის სხვადასხვა კატეგორიის სამხედრო თუ სამოქალაქო პირები მსახურობენ. მათი მომზადება-გადამზადება უწყვეტი და რთული პროცესია. შეიარაღება და ტექნიკა დინამიკურად ვითარდება და ჯარებში მომსახურე სპეციალისტები მეცნიერების განვითარებას არ უნდა ჩამორჩნენ. საჭიროა მსოფლიოს წამყვან სკოლებში სპეციალისტების გაგზავნა. თეორიულთან ერთად უნდა ჩატარდეს საბრძოლო სროლები პოლიგონებზე. ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლებით საბრძოლო მზადყოფნის შეფასების ძირითადი ფორმაა. მონაწილეობა უნდა მივიღოთ საერთაშორისო სწავლებებში, მათ შორის დსთ-ის სივრცეში. მთავარია, სპეციალისტებს გავუფრთხილდეთ. მაღალკვალიფიციური სპეციალისტის გაზრდას 10-12 წელი ესაჭიროება. დღეს შეიარაღებულ ძალებში აღარავინ



რადიოტექნიკური დაზვერვის პასიური სადგური „კოლჩუგა“

დარჩა, ვისაც პოლიგონებზე რეალური საჰაერო მიზნების განადგურების გამოცდილება ჰქონდა. უნდა გავუფრთხილდეთ პირველი კლასის მფრინავებს, რომელთა გაზრდასაც ასევე დიდი დრო ესაჭიროება და მათ გარეშე გამანადგურებელი ავიაციის ათვისება შეუძლებელია. საჭიროა მათთვის ნორმალური სოციალური პროგრამის შემუშავება. მფრინავს ჰაერში არ უნდა აწუხებდეს ყოფითი პრობლემები.

ვფიქრობ, მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეექმნა საჰაერო თავდაცვის სისტემის შესახებ. ახლა განვიხილოთ საჰაერო სივრცის კონტროლის პრობლემები და პროცედურები.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის ხელყოფის პრობლემა მუდმივად დგას საქართველოს უახლეს ისტორიაში. პირველ რიგში გავარკვიოთ, ვინ ითვლება საჰაერო სივრცის დამრღვევად.

საჰაერო სივრცის დამრღვევად აღიქმება საფრენი აპარატები, რომლებიც:

– დაფრინავენ წინასწარი განაცხადისა და გეგმის გარეშე;

– დაფრინავენ შეთანხმებული გეგმის დარღვევით;

– დაფრინავენ ფრენების წესების დარღვევით.

დამრღვევად შეიძლება ჩაითვალოს როგორც საკუთარ საჰაერო სივრცეში აღმოჩენილი საფრენი აპარატები, რომლებიც არღვევენ საჰაერო სივრცის გამოყენების წესებს, ასევე ის საფრენი აპარატები, რომლებიც წესების დარღვევით უახლოვდებიან (ან გადმოკვეთენ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

– მზადყოფნაში მოყვანილ იქნეს საჰაერო თავდაცვის მორიგე ძალები;

– დარღვევის ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისად მორიგე ძალების გაძლიერება;

– საჰაერო სივრცის დამრღვევთან რადიოკავშირის დამყარება (საჰაერო მოძრაობის მართვის სამოქალაქო ორგანოების მეშვეობით) და არსებული წესების (ინსტრუქციების) თანახმად დარღვევის აღკვეთა;

– იმ შემთხვევაში, თუ რადიოკავშირი დამრღვევთან არ მყარდება, ან კავშირის დამყარების შემთხვევაში საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი არ რეაგირებს გადაცემულ ბრძანებებზე და აგრძელებს დარღვევას, პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას გამანადგურებელი ავიაციის მორიგე წყვილის აფრენაზე. მორიგე ეკიპაჟები უნდა შევიდნენ ვიზუალურ კონტაქტში დამრღვევთან და დადგენილი ნიშნებით აიძულონ შეასრულოს მათი მოთხოვნები ან დასვან გამოყოფილ აეროდრომზე.

დაუშვებელია საჰაერო ხომალდის განადგურება ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების დარღვევით. ეს საერთაშორისო ნორმებია და ამ ნორმებს საბჭოთა კავშირიც კი იცავდა. საჰაერო სივრცის დამრღვევის განადგურების პროცედურები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი დებულებებსა და ინსტრუქციებში. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს უფლებამოსილი პირი, თუ ვის აქვს ბრძანების გაცემის უფლება. ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, იტალიაში) ასეთი უფლებით სარგებლობს პრემიერ-მინისტრი, გააჩნია საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, საპარლამენტო თუ სულაც სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. საბჭოთა კავშირში განსაზღვრული რანგის სამხედრო პირებს ჰქონდათ ამის უფლება. ჩვენ ასეთი მოდელი არ გვაწყობს. საქართველოში ამის უფლება უნდა ჰქონდეს თავდაცვის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს. განსაკუთრებულ, მკაცრად განსაზღვრულ სიტუაციებში, როცა საფრთხე ემუქრება მშვიდობიან მოსახლეობას ან სტრატეგიულ ობიექტებს და გადაწყვეტილების მიღების დრო შეზღუდულია – საჰაერო ძალების სარდალს ან გენერალური შტაბის უფროსს.

დამრღვევი თვითმფრინავის (შვეულმფრენის) განადგურება შეიძლება არ აღმოჩნდეს მართებული. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთი ხშირად იყენებს ასეთ პროვოკაციულ მეთოდებს სიტუაციის გასამწვავებლად. გამორიცხული არ არის, რომ ეს ქმედებები დაგეგმილი იყოს არა კრემლის კულუარებში, არამედ გენშტაბის კაბინეტებში ან უფრო დაბალი რანგის გენერალიტეტის მიერ. საფრენი აპარატის ჩამოგდებას კი შეიძლება სამხედრო დაპირისპირებაც მოჰყვეს. ამიტომ არ შეიძლება ხელისუფლების კრიტიკა იმის გამო, რომ არ იქნა განადგურებული ესა თუ ის საფრენი აპარატი. ერთია პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც ასეთ შემთხვევებში მკაცრი უნდა იყოს, მეორეა რეალური მოქმედებები, რომლებიც აწონდაწონილი უნდა იყოს და წყალს არ ასხამდეს რუსი გენერლების წისქვილზე.

საჰაერო სივრცის კონტროლის თანამედროვე სისტემის, გამანადგურებელი (გადამჭრელი) ავიაციისა და ამოცნობის სისტემის ე.წ. „Свой-Чужой" გარეშე შეუძლებელია მოკლე ვადებში ეფექტიანი მოქმედებები და დარღვევის აღკვეთა საჰაერო სივრცეში, ასევე საჰაერო ხომალდის ზუსტი იდენტიფიცირება. პერსონალის შეცდომით შეიძლება განადგურდეს სამოქალაქო საჰაერო ხომალდი ან საკუთარი საფრენი აპარატი. არის შემთხვევები, როცა საბორტე აპარატურის გაუმართაობის გამო ეკიპაჟი ორიენტაციას კარგავს და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდება. ასეთ დროს ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტამდე მივიდეთ.

11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და საჰაერო ტერორიზმი ერთ-ერთ საფრთხედ იქცა. ბევრი ქვეყანა ცვლის თავის კანონმდებლობას. მაგალითად, რუსეთი მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რათა მოსკოვის მიმართულებით მფრენი ყველა დამრღვევი საფრენი აპარატი გაუფრთხილებლად განადგურდეს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსეთის ორმაგ სტანდარტებზე – მოსკოვის თავზე დამრღვევი სამგზავრო თვითმფრინავი უნდა განადგურდეს, სენაკის თავზე კი შვეულმფრენს უნდა „მოვეფეროთ". აღნიშნულ დარღვევას მხოლოდ პროვოკაციული და არა სადაზვერვო ამოცანა ჰქონდა. რუსეთს დაზვერვა შეუძლია როგორც კოსმოსიდან, ასევე აქაური აგენტურული ქსელის მეშვეობით.

გამოსავალი ერთია: შეიქმნას საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის საკონტროლო სისტემა, რომელიც უნდა მიუერთდეს NATO-ს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებულ სისტემას. მაშინ მთელი ცივილიზებული სამყარო დაინახავს (ინფორმაცია დროის რეალურ მასშტაბში აღბეჭდილი იქნება NATO-ს საკომანდო პუნქტების მონიტორებზე) დარღვევების ფაქტებს და პროვოკაციულ ფრენებსაც ბოლო მოეღება, ჩამოგდების (განადგურების) შემთხვევაში კი ჩვენს კანონიერ ქმედებებში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

დღეს დიდი ყურადღება ექცევა ჯარის აღმშენებლობას და მათ შორის საჰაერო თავდაცვას. იმედი მაქვს, 5-6 წლის წინ ჩასახულ ოცნებას და დაწერილ პროგრამებს ასრულება უწერია და სულ მალე საქართველო NATO-ს ერთიანი საჰაერო სივრცის შემადგენელი გახდება, რაც უდავოდ განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ უსაფრთხოებას.

**ამირან სალუქვაძე**

*საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპეცსამსახურების ყველაზე საიდუმლო დანაყოფები

**გაგრძელება**
**დასაწყისი იხ. „არსენალი" №№2-3**

1953 წლის სექტემბერში, ორი თვით ადრე გაუქმებული მე-9 განყოფილების ნაცვლად შეიქმნა მე-12 (სპეციალური) განყოფილება. საბჭოთა სპეცსამსახურების „სულის" უკეთ გასაგებად აუცილებელია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო განყოფილების ფუნქციებზე. მის ამოცანებს შეადგენდა:

– საზღვარგარეთ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებზე დივერსიების ჩატარება;

– საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე პირების (პოლიტიკოსების, სპეცსამსახურის თანამშრომლების, სამხედროების და ა.შ.) ფიზიკური ლიკვიდაცია და ტერორის განხორციელება;

– ცალკეული პირების მოტაცება და საბჭოთა კავშირში გადაყვანა და ა.შ.

განყოფილების საშტატო რაოდენობა 82 კაცს შეადგენდა, რომლებიც 10 რეგიონულ ქვედანაყოფში ირიცხებოდნენ.

1954 წლის 13 მარტს სსრკ-ის შსს-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი გამოეყო. არალეგალური დაზვერვის სამმართველო კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის მთავარ სამმართველოში აღადგინეს. „სისხლიანი საქმეების", დივერსიებისა და საბოტაჟის ახალმა სტრუქტურამ, უკვე მე-13 განყოფილების სახელწოდებით, არალეგალურ დაზვერვაში დაიდო ბინა, ფუნქციები კი იგივე დარჩა.

## საბჭოთა პოლიტბიურო – მსოფლიო ტერორიზმის მართვის ცენტრი

საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის მანძილზე სახელმწიფო ტერორიზმის ცენტრი იყო. ტერაქტები და დივერსიები კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული, გარდა ამისა, ის მსოფლიოს თითქმის ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას უწევდა ფინანსურ და სამხედრო დახმარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თვით ეშმაკსაც კი შეეკვრებოდა.

სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს ხრუშჩოვმა, რეპრესიებში თავად არანაკლებ გასვრილმა, საბჭოთა უშიშროების სტრუქტურაში არსებული სპეცაქციების (ანუ საბჭოთა კავშირის ან პირადად მისი ხელმძღვანელებისათვის არასასურველი პირების ლიკვიდაციის) დანაყოფები ვითომდა გააუქმა. სინამდვილეში კი ეს ფუნქციები მე-13 განყოფილებას გადაეცა. პოლიტიკური მკვლელობების შემკვეთი და ფაქტობრივად მთავარი ტერორისტული ორგანიზაცია იმ წლებში საბჭოთა პოლიტბიურო და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვი იყვნენ. ტერორისტული აქციები კვლავ საბჭოთა კავშირის ფარული საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად რჩებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდში პოლიტბიურომ კა-გე-ბეს ემიგრანტული და ნაციონალური (პირველ რიგში უკრაინული) ორგანიზაციების ლიდერების: ალექსანდრე ტრუშნოვიჩის, გიორგი ოკოლოვიჩის, სტეპან ბანდერასა და ლევ რებეტის ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. კილერების კანდიდატურებიც უმაღლეს პარტიულ ინსტანციაში – პოლიტბიუროში მტკიცდებოდა.

1954 წლის თებერვალში კა-გე-ბეს გამოცდილ ლიკვიდატორს, კაპიტან ნიკოლაი ხოხლოვს ანტისაბჭოთა გამოსვლებით ცნობილი, ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ოკოლოვიჩის ლიკვიდაცია დაევალა. ხოხლოვი დასავლეთ გერმანიაში ოპერაციის შესასრულებლად გაემგზავრა და ყველასგან მოულოდნელად შინ ესტუმრა მომავალ მსხვერპლს – ოკოლოვიჩს და ყველაფერში გამოუტყდა. იმავე წლის 20 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე ხოხლოვმა საჯაროდ დაადასტურა, რომ ლიკვიდაციის დავალება უმაღლესი საბჭოთა ხელმძღვანელობისგან მიიღო. მე-13 განყოფილების ფუნქციებში საბჭოთა სპეცსამსახურების გაქცეული თანამშრომლების ლიკვიდაციაც შედიოდა. 1957 წლის სექტემბერში საბჭოთა ლიკვიდატორებმა ყოფილი კოლეგის ხოხლოვის რადიოაქტიური ტალიუმით მოწამვლა სცადეს, მაგრამ ხოხლოვი შემთხვევით გადარჩა. ამის შემდეგ ამტყდარმა დიდმა საერთაშორისო სკანდალმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ იმოქმედა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე და მათ კა-გე-ბეს ახალი დივერსიები და მკვლელობები შეუკვეთეს.

1956 წლის ოქტომბერში საბჭოთა არალეგალური დაზვერვის სპეცნაწილები აქტიურად მონაწილეობდნენ ბუდაპეშტში პროვოკაციების ორგანიზებაში, რასაც საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეჭრა და დიდი სისხლის ღვრა მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ კი დასავლეთ გერმანიაში მოქმედი უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციის ლიდერების სალიკვიდაციოდ სპეციალურად შეარჩიეს კილერი – ასევე უკრაინელი ოცდახუთი წლის ბოგდან სტაშინსკი, რომელიც იმ დროისათვის კა-გე-ბეს ლვოვის განყოფილების ფარული თანამშრომელი იყო. სათანადო შემოწმებისა და მე-13 განყოფილებაში სპეციალური მომზადების შემდეგ მისი კანდიდატურა სკკპ ცკ-ში განიხილეს და დაამტკიცეს. 1957 წლის 13 ოქტომბერს მიუნხენის გაზეთები იუწყებოდნენ ცნო-

**მართალია, ნიკიტა ხრუშჩოვს თავად არ მოუკლავს პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, მაგრამ მაინც ბევრი მათგანის სისხლში აქვს გასვრილი ხელები...**



ბილი უკრაინელი ანტისაბჭოთა მოღვაწის, ლევ რებეტის მოულოდნელ გარდაცვალებას, დიაგნოზი: „გულის მწვავე უკმარისობა“. ზუსტად ორი წლის შემდეგ იმავე ქალაქში ასევე მოულოდნელად გარდაიცვალა უკრაინის ეროვნული მოძრაობის ლიდერი სტეფან ბანდერა. დიაგნოზი ანალოგიური იყო. ორივე მკვლელობის ავტორი ბოგდან სტაშინსკი 1962 წლის შემოდგომაზე კა-გე-ბესგან ფარულად გადავიდა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე და პოლიციაში აღიარა ჩადენილი დანაშაული. მკვლელობის იარაღი სპეციალურად ამ ოპერაციებისთვის დაამზადეს კა-გე-ბეს საიდუმლო ლაბორატორიებში. პისტოლეტის ფორმის იარაღიდან სახეში მისხურების შემდეგ შხამი სასუნთქ გზებში ხვდებოდა, მსხვერპლს სისხლძარღვების მკვეთრი და ძლიერი შევიწროება ეწყებოდა, რაც სპაზმებსა და რამდენიმე წუთში სიკვდილს იწვევდა. შხამიანი აირი ორთქლდებოდა და კვალს არ ტოვებდა. ტერაქტის შემსრულებელი თავდასხმის წინ სპეციალურ აბებს იღებდა, რათა შხამისგან დაცული ყოფილიყო. ამ აირის მფრქვეველი იარაღის მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ სისხლძარღვები მალე პირვანდელ ფორმას უბრუნდებოდა და გამოცდილ პათოლოგანატომსაც კი გაუჭირდებოდა სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დადგენა.

## საბჭოთა უშიშროების დივერსიები და ტერაქტები ანდროპოვის ხანაში

„დიდი მოაზროვნისა და ჰუმანისტის“ იური ანდროპოვის კა-გე-ბეს ხელმძღვანელობის პერიოდში დივერსიები, ტერაქტები და პოლიტიკური მკვლელობები და მისი განსახორციელებელი იარაღი განსაკუთრებით დაიხვეწა.

1968 წელს ანდროპოვმა ჩეხოსლოვაკიაში მღელვარების ჩასახშობად უნგრეთის (სადაც იგი საბჭოთა ელჩი იყო) გამოცდილება გაიხსენა. საბჭოთა უშიშროების არალეგალური დაზვერვის სპეცრაზმების წევრები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავიდნენ პრაღაში, ანტისაბჭოთა პროკლამაციებს ავრცელებდნენ, პროვოკაციებს აწყობდნენ, თავს ესხმოდნენ საბჭოთა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს(!) – ყველაფერი ეს იმ მიზნით კეთდებოდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრა გაემართლებინათ.

ანდროპოვმა მკვლელობების, დივერსიებისა და ტერაქტების კვალის მაქსიმალურად დასამალად, კომპრომეტირებული მე-13 განყოფილების ნაცვლად, კა-გე-ბეს „ს“ სამმართველოში (არალეგალური დაზვერვა) განყოფილება „ვ“ შექმნა. მისი ფუნქციები და შტატი ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, როცა მოულოდნელად, 1971 წელს, ამ განყოფილების ერთ-ერთი ოფიცერი ოლეგ ლიალინი ინგლისში გაიქცა. მან დაწვრილებით აღწერა განყოფილება „ვ“-ს ფუნქციები, სრულიად საიდუმლო გეგმები (დივერსიების მოწყობა ლონდონში, პარიზში, რომსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში). მაგალითად, ლონდონის რეზიდენტურის თანამშრომლებს უნდა შეერჩიათ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი წევრები, დაეწესებინათ მათზე თვალთვალი და მოემზადებინათ კრიზისულ სიტუაციაში მათი ლიკვიდაციის კონკრეტული გეგმები. ლიალინმა ასევე დაასახელა მისთვის ცნობილი საბჭოთა მზვერავების გვარები. ამ ინფორმაციის გახმაურების შემდეგ ინგლისიდან 105 საბჭოთა მზვერავი გამოაძევეს. ეს იყო საბჭოთა სპეცსამსახურების ყველაზე დიდი და სამარცხვინო კრახი.

ამის შემდეგ სადამსჯელო ღონისძიებებმაც არ დააყოვნა და საბჭოთა პოლიტბიუროს(!) საიდუმლო გადაწყვეტილებით განყოფილება „ვ“ გაუქმდა.

ანდროპოვის ხელმძღვანელობის პერიოდში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევიდან კა-გე-ბე ცდილობდა ფართომასშტაბიანი სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციები და სისხლიანი საქმეები შეძლებისდაგვარად უცხოეთის ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციების ხელით ეკეთებინა და თვითონ ჩრდილში ყოფილიყო.

1967 წელს არაბული ქვეყნების ისრაელთან განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ, რასაც მოსკოვში საკუთარ დამარცხებადაც მიიჩნევდნენ, საბჭოთა პოლიტბიურომ საიდუმლო დადგენილება მიიღო არაბი მებრძოლების სამხედრო-დივერსიული მომზადების გაძლიერების შესახებ. ხუთ წელიწადში შვიდ ათასზე მეტმა პალესტინელმა, ეგვიპტელმა, სირიელმა და ერაყელმა გაიარა სამხედრო-დივერსიული მომზადების სრული კურსი საბჭოთა კავშირში – ბაქოს, ტაშკენტის, სიმფეროპოლისა და ოდესის სპეციალურ საიდუმლო სამხედრო ნაწილებში. ასეთივე მომზადებას გადიოდნენ არაბი და სამხრეთამერიკელი ტერორისტები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში (ძირითადად, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიასა და ბულგარეთში).

უცხოელი დივერსანტ-ტერორისტების მომზადების ძირითადი ცენტრი, რომელიც 1965 წლიდან მოქმედებდა, სიმფეროპოლისა და ალუშტას შორის მდებარეობდა და მას თვალის ასახვევად 165-ე სასწავლო ცენტრი ერქვა. 1980 წლიდან ის უკვე სიმფეროპოლის გაერთიანებული სამხედრო სასწავლებლის სახელს ატარებდა. დაარსების დღიდან სსრკ-ის დაშლამდე მხოლოდ ამ ცენტრში სადაზვერვო-დივერსიული მომზადება (ხიდების, რკინიგზებისა და ავტომობილების აფეთქება, თვითმფრინავების ჩამოგდება, მძევლების აყვანა და სხვა კიდევ ბევრი ტერორისტული „გმირობა“) განვითარებადი ქვეყნების 18-20 ათასმა ბოევიკმა გაიარა.

ტერორისტების მოქმედების არეალის მხოლოდ ჩამოთვლაც გვიჩვენებს, ტერაქტების რაოდენ გრანდიოზული გეგმები ჰქონდათ მათ: აშშ-ის, ევროპის, ისრაელის, საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების სამხედრო ნაწილები, სამრეწველო ობიექტები და სამოქალაქო დაწესებულებები (კაფე-ბარები, კინოთეატრები, დისკოთეკები და ა.შ.) თავდასხმის ძირითადი ობიექტები იყო. ტერორისტული ოპერაციებისათვის ბოევიკებს ხშირად თანამედროვე იარაღი და ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები გადაეცემოდათ. ფინანსური, ტექნიკური და ორგანიზაციული დახმარების საკითხები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე – პოლიტბიუროს სხდომაზე წყდებოდა.

საბჭოთა სპეცსამსახურები პოლიტბიუროს დავალებით ფარულად აწვდიდნენ ფულსა და იარაღს ირლანდიის რევოლუციური არმიის მებრძოლებსა და ეტა-ს ბასკ სეპარატისტებს.

ამ პერიოდში კა-გე-ბეს განხორციელებული ორი ტერაქტი ფართო საზოგადოებრიობისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ტოდორ ჟივკოვის რეჟიმის მთავარი კრიტიკოსი ბულგარელი მწერალი და შემდგომ დისიდენტი გიორგი მარკოვი ინგლისში ემიგრაციაში ცხოვრობდა და ბი-ბი-სის რედაქციაში მუშაობდა. მის ლიკვიდაციაში დახმარება ბულგარელებმა კა-გე-ბეს სთხოვეს. მთავარი ამოცანა იყო, თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი და სიკვდილი მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო.

1978 წელს ქოლგაში ჩამონტაჟებული შხამიანი კაფსულით ჩხვლეტის შემდეგ მარკოვი ლონდონში მოკლეს, ხოლო მეორე ბულგარელი დისიდენტი – კოსტოვი პარიზში დაჭრეს. ორივე შემთხვევაში დიაგნოზი „გულის მწვავე შეტევა“ იყო.

1950-70 წლებში სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფებს კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვის) ჯერ განყოფილება „ვ“, ხოლო შემდეგ კი მე-8 განყოფილება (საზღვარგარეთ დივერსიების, მკვლელობებისა და ტერაქტების ძირითადი ორგანიზატორი) ამზადებდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Занятие исходного положения – საწყისი მდგომარეობის დაკავება

Занятие полевое – საველე მეცადინეობა

Заострение – წამახვა

Западня – მახე

Запал – ფალია, ამნთები

Запалить – სროლის ატეხა

Запальный – საფალიე

Запас – მარაგი

Запас – თადარიგი

Запасной, Запасный – სათადარიგო

Запевала – სიმღერის დამწყები (მწყობრში)

Записка – ბარათი

Заправка – გაწყობა

Запретный – აკრძალული

Запросчик-ответчик – შემკითხველი-მო ასუხე

Заражение – დასნებოვანება

Заря – დაფიონი

Заряд – მუხტი

Заряд отомный – ატომური მუხტი

Заряд боевой – საბრძოლო მუხტი

Заряд донный – საფსკერო მუხტი

Заряд Зажигательный – ამნთები მუხტი

Заряжение – გატენვა, დამუხტვა

Засада – ჩასაფრება; საფარი; ჩასაფრებული რაზმი

Засекречивать – გასაიდუმლოება

Засечка – ჩანიშვნა

Заслон – საფარი

Засов – ურდული

Заспину – მხარიღლივ

Застава – სადარაჯო (დანაყოფი)

Заставить врасплох – ანაზდად თავს დადგომა

Застрельщик – მოთავე, თაოსანი

Застройка – გაშენება

Затвор – საკეტი

ნენ. ეს უპირატესად პრაქტიკული მომზადება იყო.

საბჭოთა უშიშროების სისტემაში სპეციალური სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფებისთვის კადრების მიზნობრივი თეორიულ-პრაქტიკული მომზადება შედარებით გვიან, 1969 წლიდან დაიწყო. ამ წელს კა-გე-ბეს უმაღლესი სკოლის შემადგენლობაში „ოფიცერთა შემადგენლობის სრულყოფის კურსები“ შეიქმნა. ოპერატიულად ის დაზვერვას ექვემდებარებოდა. კურსების მთავარი ამოცანა იყო უშიშროების ოპერატიული თანამშრომლების გადამზადება, გარკვეულწილად კვალიფიკაციის შეცვლა და ბოევიკებად გაზრდა. მათი გამოყენება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ან საბრძოლო ვითარების დროს მტრის ღრმა ზურგში იგეგმებოდა. კურსების ხანგრძლივობა შვიდ თვეს შეადგენდა. სასწავლო პროგრამა სპეციალურ ფიზიკურ, საცეცხლე, საჰაეროსადესანტო, სამთო მომზადებას შეიცავდა. საბრძოლო მომზადება პარტიზანული ბრძოლისა და დივერსიების ტაქტიკის, დანაღმვისა და ტოპოგრაფიის გაძლიერებულ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ითვალისწინებდა. მოსამზადებელ ბაზად შერჩეულ იქნა საბჭოთა დივერსანტებისა და ლიკვიდატორების ისტორიული სამჭედლო – მოსკოვთან ახლოს მდებარე ბალაშიხა.

ავღანეთში სახელმწიფო გადატრიალების წინ კურსების შემადგენლობაში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი „ზენიტის“ სახელწოდებით, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ავღანეთის პრეზიდენტ ამინის სასახლის შტურმში, ქაბულის სასიცოცხლო და სტრატეგიული ობიექტების მწყობრიდან გამოყვანაში და ა.შ.

ავღანეთში შეჭრიდან სულ 5-6 თვეში გამოჩნდა საბჭოთა რეგულარული სამხედრო ნაწილების უუნარობა და სისუსტე პარტიზანულ ბრძოლებში მოჯაჰედების წინააღმდეგ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც საბჭოთა დამპყრობლებს არც საბრძოლო და არც მორალური უპირატესობა არ ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდათ. საბჭოთა პოლიტბიუროს დანაშაულებრივმა გადაწყვეტილებამ უამრავი ჯარისკაცის, ოფიცრისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა, განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში.

ამ ვითარებაში ავღანეთის ომის მთავარმა ავტორებმა კა-გე-ბეს შეფმა ანდროპოვმა და თავდაცვის მინისტრმა უსტინოვმა ფორმალურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს – ავღანელი პარტიზანების წინააღმდეგ გამოეყენებინათ მცირერიცხოვანი მობილური, სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები.



ავღანეთის ომში საბჭოთა სამხედრო სპეცდანიშნულების რაზმის მონაწილეობის შესახებ „არსენალის“ წინა ნომერში გიამბეთ, ამჟამად კი ვნახოთ, რა შეძლო კა-გე-ბეს სპეცდანიშნულების რაზმმა.

1980 წლის ივნისში კა-გე-ბეს განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული ბრიგადის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური დანიშნულების ჯგუფი „კასკადი“, რომლის პირადი შემადგენლობა დაახლოებით ათასი კაცი, ხოლო მეთაური პოლკოვნიკი ლაზარენკო იყო.

„კასკადს“ თავიდანვე ურთულესი და, შეიძლება ითქვას, შეუსრულებელი ამოცანები დაუსახეს. თავად განსაჯეთ: პარტიზანების წინააღმდეგ ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის ორგანიზება და ამის საფუძველზე მე-40 არმიის უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით; ავღანეთის უშიშროების ორგანოების რეორგანიზაცია საბჭოთა სპეცსამსახურების ყაიდაზე; საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ფიზიკური ლიკვიდაცია და სხვ.

ავღანეთის ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე ეს ამოცანები ობიექტურად შეუსრულებელი იყო, თანაც იმ პირობებში, როცა „კასკადის“ პირადი შემადგენლობის უმრავლესობამ არ იცოდა ადგილობრივი ენები და დიალექტები, ადათ-წესები, არ ჰქონდათ პარტიზანული ბრძოლების გამოცდილება და ა.შ.

„კასკადის“ საქმიანობა ავღანეთში რომ მთლად წარმატებული არ იყო, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1983 წლის გაზაფხულზე „კასკადის“ შექმნის მთავარი ინიციატორის, გენსეკ იური ანდროპოვის სიცოცხლეშივე რაზმი ავღანეთიდან გამოიყვანეს. „კასკადი“ „ომეგამ“ შეცვალა, რომლის ძირითადი ფუნქ-

ციაც ავღანეთის უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების მომზადებით შემოიფარგლებოდა. „ომეგამ“ მხოლოდ ერთი წელი გაძლო და ის 1984 აპრილში გაიყვანეს ავღანეთიდან.

## „ალფა“ და „ვიმპელი“ — მითი და რეალობა

1970-90 წლებში საბჭოთა უშიშროების სპეცრაზმების სპეციალიზაციაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანეს. ამ პერიოდში სპეციალური დანიშნულების რაზმებს შორის „შრომის განაწილება“ ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით შემდეგი სახის იყო:

1. საზღვარგარეთ დივერსიებისა და ტერაქტების ჩატარება და საბრძოლო მოქმედებები კა-გე-ბეს არალეგალური დაზვერვის სპეციალურ ჯგუფებს („ზენიტი“, „კასკადი“, „ვიმპელი“) ევალებოდათ;
2. საზღვარგარეთ პოლიტიკური მკვლელობები არალეგალური დაზვერვისა და საგარეო კონტრდაზვერვის სამმართველოების ბოევიკებს უნდა განეხორციელებინათ;
3. საბჭოთა კავშირში ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილ მოქალაქეთა გათავისუფლება და ტერორისტთა განადგურება სპეცრაზმ „ალფას“ მოვალეობა იყო;
4. სტრატეგიული ობიექტების (ატომური ელექტროსადგურები, სამხედრო ქარხნები, ქიმიური საწარმოები და ა.შ.) ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებას „ვიმპელი“ უნდა აღდგომოდა წინ;
5. საბჭოთა კავშირის შიგნით პოლიტიკური მკვლელობები უპირატესად კა-გე-ბეს მე-7 სამმართველოს სპეციალიზაცია იყო.

იმ წლებში გახშირებული ტერაქტებისა და სამგზავრო თვითმფრინავების გატაცებების წინააღმდეგ სპეცღონისძიებების ჩასატარებლად 1974 წლის 29 ივლისს კა-გე-ბეს სტრუქტურაში სპეციალური ანტიტერორისტული რაზმი „ალფა“ შეიქმნა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ეს სპეცრაზმი იმ დროს გახმაურებულ თითქმის ყველა სისხლიან სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. კერძოდ, 1983 წლის ნოემბერში თბილისში სწორედ მათ განახორციელეს ტუ-134-ის შტურმი; 1990 წლის აგვისტოში სოხუმში საბრძოლო ოპერაცია ჩაატარეს საგამოძიებო იზოლატორში მყოფი მძევლების გასათავისუფლებლად; 1991 წლის იანვარში შეიჭრნენ ვილნიუსის ტელეცენტრში, რამაც მშვიდობიანი მოსახლეობა იმსხვერპლა და სხვ.

შემდგომ წლებში „ალფა“, უკვე როგორც რუსეთის უშიშროების სპეცდანაყოფი, ბუდიონოვსკში, მახაჩყალაში, გროზნოში, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ჩატარებულ სპეცოპერაციებში მონაწილეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციები საკმაოდ დაბალ დონეზე ჩატარდა და ორივე მხრიდან მრავალი მსხვერპლი მოჰყვა.

„ზენიტის“, „კასკადისა“ და „ომეგასგან“ განსხვავებით, რომლებიც კადრირებული სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები არ იყვნენ, საბჭოთა პოლიტბიუროს საიდუმლო დადგენილებით, 1981 წლის 19 აგვისტოს, კა-გე-ბეს დაქვემდებარებაში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების განსაკუთრებით საიდუმლო რაზმი — ოფიციალური სახელწოდებით „სსრკ სუკ-ის ცალკეული სასწავლო ცენტრი“ (სამხედრო ნაწილი 35690). ეს სპეცრაზმი ისტორიაში უფრო „ვიმპელის“ სახელით შევიდა. მის პირველ მეთაურად ევალდ კოზლოვი დაინიშნა.

საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმების ისტორიაში „ვიმპელი“ ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ათწლეულების გასვლის შემდეგაც მას ამ სფეროში ეტალონად მიიჩნევენ, რასაც კა-გე-ბეს ვეტერანების (იური დროზდოვის, ფილიპ ბობკოვის, ვადიმ კირპიჩენკოს, ლეონიდ შებარშინის და სხვ.) მემუარებმაც შეუწყო ხელი. მიღებული პრაქტიკაა, როცა სპეცსამსახურების ვეტერანები მემუარებშიც „მშობლიური კანტორის“ ქებათა ქებით და მოწინააღმდეგე სპეცსამსახურის მიღწევების ირონიული შეფასებებით ოპერატიულ (უფრო — დეზინფორმაციულ) დავალებებს ასრულებენ.

„ვიმპელის“ შექმნის შემდეგ მისი წინამორბედების — „კასკადისა“ და „ომეგას“ არსებობა, შეიძლება ითქვას, ფორმალური გახდა. საბჭოთა უშიშროების მთელი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები „ვიმპელისკენ“ „გა-


წიგნის ავტორის შესახებ:

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში — დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე


საქართველოს პარლამე
ეროვნული ბიბლიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიქარა“. საბჭოთა არალეგალური დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელისა და „ვიმპელის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორის იური დროზდოვის ინფორმაციით, ერთი სპეცრაზმელის მომზადება საკმაოდ დიდხანს, 2-5 წელიწადს გრძელდებოდა. რიაზანის სამხედრო-სადესანტო მეთაურთა სასწავლებლის კურსდამთავრებულის გადამზადებას ორი წელი, ხოლო სამოქალაქო პირის ინდივიდუალური პროგრამით მომზადებას ხუთი წელი სჭირდებოდა. „ვიმპელი“ ავღანეთის გარდა სტაჟირებას მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებშიც (ვიეტნამი, ლაოსი, კუბა, ანგოლა, მოზამბიკი, ნიკარაგუა და სხვ.) გადიოდა. ალბათ საარქივო მასალებიდან და მემუარებიდან მალე გაირკვევა ის „საქმენი საგმირონი“, რასაც „ვიმპელი“ სჩადიოდა. თუმცა ნათელია, რომ მათი საქმიანობა პროსაბჭოთა რეჟიმების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული.

დროზდოვის თქმით, ერთი საბჭოთა „სუპერმენის“ მომზადება წელიწადში 100.000 მანეთი ჯდებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სპეცრაზმში 1000 კაცამდე იყო, მაშინ გამოდის, რომ ასი მილიონი მანეთი ყოველწლიურად მხოლოდ ერთ-ერთ საბჭოთა სპეცრაზმზე იხარჯებოდა, რაც ძნელად დასაჯერებელია. ცნობილია, რომ დროზდოვი, როგორც ყოველთვის, აქაც ალამაზებს საბჭოთა იმპერიის ბნელ წარსულს.

რეალობა კი გაცილებით უფრო მძიმე იყო — „ვიმპელი“, ისევე როგორც სხვა საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმები, გაცილებით ცუდად იყვნენ შეიარაღებული და აღჭურვილი (რომ არაფერი ვთქვათ ანაზღაურებაზე — სპეცრაზმელი ოფიცერი საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომელ კოლეგაზე ორჯერ ნაკლებს იღებდა), ვიდრე ამერიკელი „მწვანე ბერეტები“ ან ბრიტანეთის „სას“-ს მებრძოლები. ისინი გაცილებით ცუდად ისროდნენ, ვიდრე კუბელი და ნიკარაგუელი დივერსანტები და მთელი თავით ჩამორჩებოდნენ ვიეტნამელ და ლაოსელ პარტიზანებს შენიღბვასა და ბუნებრივი პირობების საფარად გამოყენებაში.

80-იანი წლების მეორე ნახევარში „ვიმპელმა“ საბრძოლო სწავლებების პროგრამით რამდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაატარა. ერთ-ერთი უშუალოდ საქართველოს სსრ სტრატეგიულ ობიექტებზე „სავარჯიშო დივერსიებს“ ეხება. „ვიმპელის“ რაზმი ორი კვირის მანძილზე ფარულად მოქმედებდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე — შეუფერხებლად დანაღმეს ნავთობ და გაზსადენი, სტრატეგიული სამრეწველო ობიექტები, ხიდები და ა.შ. ამ სასწავლო ოპერაციების შესახებ მხოლოდ საქართველოს სსრ-ის სუკ-ის ხელძღვანელობა იყო ინფორმირებული. სარეჟიმო ობიექტებზე მაშინ არსებულ კონტროლს დღევანდელი რომ ვერ შეედრება, საკამათო არ უნდა იყოს. ამიტომ დღეისათვის ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დაცვა რა საფრთხის ქვეშაა, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

„ვიმპელის“ სასწავლო-საბრძოლო ოპერაციების მეორე მიმართულება პოლიტიკური მკვლელობები იყო. მრავალთვიანი ვარჯიშის შემდეგ მათთვის 30-40 წამიც საკმარისი იყო რომელიმე ქვეყნის პირველი პირის სალიკვიდაციოდ.

80-იანი წლების ბოლოს „ვიმპელი“ საბჭოთა კავშირის შიგნით კა-გე-ბეს პროვოცირებულ ცხელ წერტილებში (ბაქო, ერევანი, ნახჭევანი და ყარაბაღი) აქტიურად ჩაერთო. სავარაუდოა მისი მონაწილეობა თბილისში 1989 წლის 9 თებერვალს მომხდარ ტრაგედიაში. ეჭვს არ იწვევს და დადასტურებულია, რომ „ვიმპელი“ აფხაზ და ოს სეპარატისტებსაც აქტიურად ეხმარებოდა.

1991 წლის აგვისტოს პუტჩის და გკჩპ-ს შემდეგ „ვიმპელი“ რუსეთის უშიშროების სისტემაში იყო. 1994 წლის 25 იანვარს სპეცრაზმი პრეზიდენტ ელცინის განკარგულებით რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. თუმცა 500 მებრძოლიდან მხოლოდ 50 დათანხმდა მილიციაში გადასვლას, დანარჩენებმა კომერციულ სტრუქტურებსა და კრიმინალურ დაჯგუფებებს მიაშურეს. ამის შემდეგ რა გასაკვირია იმ პერიოდში შეკვეთილი და კილერების პროფესიულად შესრულებული (თუნდაც ოთარ კვანტრიშვილის) მკვლელობების რეკორდული ზრდა რუსეთში.

1995 წლის აგვისტოში რუსეთის ანტიტერორისტულ ცენტრში სამმართველო „ვ“ შეიქმნა (400 მებრძოლის შტატით), რომლის მეთაურად დაინიშნა კარელიის ადგილობრივი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი პრონიჩევი, რომელმაც შემდგომში, განსაკუთრებით 1998 წლიდან, პუტინის აღზევების შემდეგ თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა და შეფის, პატრუშევის პირველი მოადგილე და გენერალ-პოლკოვნიკი გახდა. იმ წლებში პრონიჩევი საქართველოს ხშირი, ბევრისთვის ძალზე სასურველი სტუმარი(?!) იყო. დღეს იგი რუსეთის სასაზღვრო ჯარებს მეთაურობს.

1999 წლის ივლისში რუსეთის ფეეს-ბეში სპეციალური ოპერაციების სამსახური შეიქმნა, სადაც გაერთიანდნენ „ა“ და „ვ“ (შესაბამისად, ყოფილი „ალფა“ და „ვიმპელი“) სამმართველოები. სახელწოდებების შეცვლამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს — რუსეთის ორივე სპეცრაზმს იგივე ფუნქციები დარჩა, რაც სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, გორბაჩოვისა და ელცინის დროს ჰქონდა: დივერსიების, ტერაქტებისა და პოლიტიკური მკვლელობების ორგანიზება. გაფართოვდა მხოლოდ მოქმედების არეალი — ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და მათი ამჟამინდელი ხელმძღვანელები, რომლებიც საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთისგან დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებას მოიწადინებენ, უმალ ამ სპეცრაზმების დაუნდობელი ოპერაციების სამიზნენი ხდებიან.

რამდენად არიან მზად საქართველოს სპეცსამსახურები ამ იერიშების მოსაგერიებლად? რამდენადაა დაცული ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები დივერსიებისაგან? შეესაბამება თუ არა ხელისუფლების პირველი პირების დაცვა თანამედროვე მოთხოვნებს? ქვეყანას, რომელსაც ორი ტერიტორიული ერთეული დასაბრუნებელი აქვს, ჰყავს კი მაღალი დონის სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფები?

ამ კითხვებზე პასუხს „არსენალის“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.



ბესიკ ალადაშვილი

# ოპერაცია „საჩუქარი“



1968 წლის 22 ივლისს კომპანია „ელ-ალის“ თვითმფრინავი, რომელიც ისრაელი-რომის მიმართულებით მიფრინავდა, არაბმა ტერორისტებმა ჩაიგდეს ხელთ და პილოტები აიძულეს ლაინერი ალჟირში დაესვათ. ოთხი თვის შემდეგ, 26 ნოემბერს, ბეირუთიდან ათენში ჩასულმა ორმა ტერორისტმა სროლა აუტეხა „ელ-ალის“ კომპანიის თვითმფრინავს, რომელიც ასაფრენად ემზადებოდა. დაიღუპა ისრაელის ერთი მოქალაქე და დაიჭრა ბორტგამცილებელი, თვითმფრინავი კი ძლიერ დაზიანდა. ისრაელის სპეცსამსახურის მებრძოლების სწრაფი რეაგირების წყალობით ტერორისტები დააპატიმრეს. ტერორისტულ აქტებზე პასუხისმგებლობა აიღო პალესტინის განმათავისუფლებელმა სახალხო ფრონტმა, რომლის შტაბბინა მაშინ ბეირუთში იყო განთავსებული.

იმ დროისთვის ცივილიზებული სამყარო საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროების შეცნობასა და გააზრებას იწყებდა. პირველი ქვეყანა კი, რომელმაც ამ საშინელებას თვალებში ჩახედა, ისრაელი იყო. ქვეყანა იმ დროს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და მას არ ჰქონდა უფლება, დაუსჯელად დაეტოვებინა ტერორისტთა გამოხდომები. ისრაელის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ტერორისტებისთვის მცირეოდენი დათმობაც კი მათი ახალი დანაშაულებისკენ წაქეზებას ნიშნავდა და ისრაელის სპეცსამსახურებისთვის მთავარ ამოცანად ტერორისტებისთვის საპასუხო დარტყმის მიყენება იქცა. „სისხლი სისხლისა წილ“ – გადაწყვიტეს ებრაელებმა და შურის საძიებლად ბეირუთის აეროპორტი აირჩიეს, სადაც არაბული ავიახაზების თვითმფრინავები იყრიდნენ თავს.

## დაზვერვა და რეკოგნოსცირება

დაზვერვითმა სამუშაოებმა და ადგილმდებარეობის რეკოგნოსცირებამ სპეცდანიშნულების ხელმძღვანელებს საშუალება მისცა დეტალურად შეესწავლათ მომავალი



ოპერაციის რაიონი, შეეფასებინათ მოწინააღმდეგის ძალები და საომარი საშუალებები.

ბეირუთის აეროპორტი ისრაელ-ლიბანის საზღვრიდან ჩრდილოეთით, 90 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, აღმოსავლეთიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე კი ზღვა აკრავს. იგი ორი ასაფრენ-დასაფრენი ზოლისგან შედგება, რომლებიც გაშლილი მაკრატელივით მახვილი კუთხით უერთდება ერთმანეთს. გადაკვეთის ადგილას მდებარეობს სამგზავრო ტერმინალი, დიდი ღია მოედნით. ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ზოლების ახლოსაა ანგარები და თვითმფრინავების ტექნიკური უზრუნველყოფის თანამშრომელთა სადგომები. ტერმინალის სამხრეთით საავარიო სამსახურის სარეზერვო პავილიონი იყო, სადაც განთავსებული იყვნენ აეროპორტის სახანძრო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაზმები. აეროპორტის უშიშროებას უზრუნველყოფდა სპეცსამსახურების 90 თანამშრომელი, რომლებსაც მსუბუქი პირადი იარაღი ჰქონდათ. გარდა ამისა, აეროპორტიდან 3 კილომეტრის მოშორებით დისლოცირებული იყო ლიბანის არმიის სწრაფი რეაგირების რაზმი. ლიბანელ პოლიციელებსა და ჟანდარმებს ბეირუთიდან აეროპორტამდე მისასვლელად დაახლოებით ნახევარი საათი, ხოლო ჯავშანტრანსპორტიორებსა და სხვა მძიმე ტექნიკას ბრძანების გაცემიდან ერთი საათი დასჭირდებოდათ. დაზვერვის მონაცემების თანახმად, ჰაერიდან და ზღვიდან საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, ოპერაცია მოულოდნელობების გარეშე მაინც ვერ წარიმართა – ებრაელი მეომრები არაბებმა ოპერაციის დაწყებისთანავე შენიშნეს.

## მზადება

ოპერაცია „საჩუქრის“ ჩასატარებლად მზადება ტერორისტებმა 22 ივლისს, თვითმფრინავის გატაცებისთანავე დაიწყეს. თავიდან ბეირუთიდან მხოლოდ თვითმფრინავის გატაცება ჰქონდათ განზრახული. თუმცა ათენის მოვლენების შემდეგ ასეთი პასუხი არაადეკვატური იქნებოდა, ამიტომ ისრაელის თავდაცვის გენერალურმა შტაბმა გეგმა გადასინჯა და თვითმფრინავის გატაცების ნაცვლად უპირატესობა მათ ადგილზევე განადგურებას მიანიჭა.

ოპერაციის გეგმა მაშინვე გააცნეს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობას. ორი დღის შემდეგ, 28 დეკემბრის შაბათ საღამოსთვის სამხედრო ავიაბაზა „რამატ დავიდზე“ საგანგებო რაზმი მზად იყო სამოქმედოდ. ოპერატიული შენაერთების წინაშე დასმული ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა – ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტში უნდა განადგურებულიყო არაბული ავიკომპანიების რაც შეიძლებოდა მეტი თვითმფრინავი. ამასთან, ზიანი არ უნდა მიეყენებინათ სამოქალაქო პირებისთვის და სხვა ავიაკომპანიების თვითმფრინავებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა ჩათვლიდა, რომ ავიალაინერების არასაკმარისი რაოდენობა იყო განადგურებული, სპეცრაზმელებს იერიში სამხედრო აეროდრომზე უნდა მიეტანათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე უნდა გაენადგურებინათ სამხედრო დანიშნულების სტაციონარული ობიექტები, რათა ჩაეშალათ ლიბანის სამხედრო-საჰაერო ძალების საწინააღმდეგო ქმედებების მცდელობა.

## გეგმა

აეროპორტის ტერიტორია სამ ოპერატიულ ზონად — აღმოსავლეთისა და დასავლეთის სექტორებად და ტერმინალის ტერიტორიად დაიყო. თითოეულ სექტორზე სამოქმედოდ გაიწვრთნა თითო რაზმი, რომლებშიც 20 მეომარი შედიოდა. მათ ხელმძღვანელობდა მეწინავე ჯგუფი ბრიგადის გენერალ რაფაელ ეიტანის ხელმძღვანელობით. სამეთაურო მეწინავე ჯგუფი 12 მეომრისგან შედგებოდა.

22 ელიტური კომანდოსისგან შემდგარ რაზმს, რომელსაც პოლკოვნიკი უზი მეთაურობდა, ნაბრძანები ჰქონდა შვეულმფრენებიდან აეროდრომის ჩრდილო-დასავლეთის ზოლის ბოლოს გადმომსხდარიყო. მათ დასავლეთის მხარეზე განლაგებული თვითმფრინავები უნდა გაენადგურებინათ. საომარი მოქმედების საზღვარი სამგზავრო ტერმინალის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე იყო. დავალების შესრულების შემდეგ რაზმს უკან, საევაკუაციო პუნქტ „ლონდონისკენ" უნდა დაეხია, რომელიც ორი ასაფრენი ზოლის გადაკვეთაზე მდებარეობდა.

მეორე 20 კაცისგან შემდგარი რაზმი, რომელსაც მაიორი დიგლი მეთაურობდა, აეროპორტის მთავარი შენობის სამხრეთით უნდა გადმომსხდარიყო და მათ ახლოს მდგარი თვითმფრინავები გაენადგურებინა. მისიის დასრულების შემდეგ რაზმი იმავე საევაკუაციო პუნქტ „ლონდონისკენ" უნდა წასულიყო. იმ შემთხვევაში, თუ იძულებული გახდებოდნენ ევაკუაცია ზღვით მოეხდინათ, მაიორ დიგლის რაზმს დანარჩენებისთვის ფარის როლი უნდა შეესრულებინა.

მესამე რაზმს, რომელიც სადაზვერვო ჯგუფების 22 მეომრისგან შედგებოდა, უშუალოდ ოპერაციის ხელმძღვანელი, კაპიტანი ნევბი მეთაურობდა. ეს რაზმი აღმოსავლეთის ასაფრენი ზოლის ჩრდილოეთ მხარეზე უნდა გადმომსხდარიყო და სამგზავრო ტერმინალის სამხრეთით განლაგებული თვითმფრინავები გაენადგურებინა, რის შემდეგაც საევაკუაციოდ იმავე გზას მიმართავდნენ, როგორსაც დანარჩენი ორი რაზმი.

შვეულმფრენთა ჯგუფს ლეიტენანტი ელეზერი ხელმძღვანელობდა. მსუბუქი შვეულმფრენით, რომლის ბორტზეც პარაშუტისტი ოფიცერი, მედიკოსები და ბორტმექანიკოსი იმყოფებოდნენ, მას კოორდინირება უნდა გაეწია აეროპორტის ტერიტორიაზე მოქმედი რაზმებისთვის და აუცილებლობის შემთხვევაში ჰაერიდან დაეფარა.

თითოეული არაბული თვითმფრინავი უნდა გაენადგურებინათ მაგნიტური ნაღმების საშუალებით, რომლებსაც თვითმფრინავის ცხვირზე, ბორბლებსა და სიმაღლის საჭეზე მიამაგრებდნენ. მაგნიტური ნაღმები თვითმფრინავის დაზიანებისა და მისი თითქმის განადგურების გარანტიას იძლეოდა. აფეთქებების სისტემა ორმაგად იყო გათვლილი. თითოეული თვითმფრინავის სათითაოდ აფეთქების გარდა შესაძლებელი იყო ყველას ერთად აფეთქებაც.

ჯგუფების საევაკუაციოდ გათვალისწინებული იყო ძირითადი და სათადარიგო მარშრუტები, რომლებსაც შექმნილი მდგომარეობისდა მიხედვით გამოიყენებდნენ. მისიის შესრულების შემდეგ ჯგუფები თავს იყრიდნენ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გადაკვეთის წერტილში (საევაკუაციო პუნქტ „ლონდონში"), საიდანაც ისინი სამ შვეულმფრენს უნდა აეყვანა. ევაკუაციის სათადარიგო წერტილი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. მისი პირობითი სახელწოდება იყო „რომი". აქედან ევაკუაცია ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების კატარღების მეშვეობით უნდა მოეხდინათ. საცეცხლე ფარი ნაპირზე წინასწარ განლაგებულ სამხედრო ფლოტის სპეცრაზმელებს უნდა უზრუნველეყოთ.

საზღვაო ევაკუაციის ვარიანტი გათვალისწინებული იყო ოპერაციის ჩავარდნის შემთხვევაში. გარდა ამისა, ევაკუირებულთა დასახმარებლად საჰაერო ბაზა „რამატ დავიდიდან" სპეცრაზმის 36 მეომრის გაგზავნაც გადაწყდა. ოპერაციის შესასრულებლად პირველი ჯგუფის გადმოსხმიდან სრულ ევაკუაციამდე 30 წუთი იყო გამოყოფილი.

ოპერაციის დაწყება თავიდან 28 დეკემბერს, 22 საათსა და 00 წუთზე იყო დაგეგმილი, მაგრამ დრო შეიცვალა, რადგან ახალი სადაზვერვო მონაცემების თანახმად, 21 საათსა და 15 წუთზე ბეირუთის აეროპორტში არაბული კომპანიების თვითმფრინავთა მაქსიმალური რაოდენობა მოიყრიდა თავს.

## სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის როლი

ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა ძირითად შემადგენლობაში ექვსი შვეულმფრენის გამოყენებას, ორი კი ამ დროს თადარიგში უნდა ყოფილიყო. შვეულმფრენებს კომანდოსები აეროპორტის სამ წერტილში უნდა გადმოესხათ და ნახევარი საათის შემდეგ მათი ევაკუაცია მოეხდინათ. გარდა ამისა, თუკი სიტუაცია მოულოდნელად გართულდებოდა, პირადი შემადგენლობის გადასარჩენად ამოქმედებულ იქნა 7 შვეულმფრენი „ბელი" (ერთი თადარიგში), ხუთი — პირადი შემადგენლობისთვის, ერთი ხელმძღვანელი ჯგუფისთვის და ერთიც ოპერაციის ზონის საპატრულოდ და რადიოკავშირის დასამყარებლად; 4 თვითმფრინავი „ნორატლასი" (ერთი რეზერვში), ორი ევაკუაციის უზრუნველსაყოფად და ორიც რაკეტების გასაშვებად, რადიოკავშირისა და საზღვაო ფლოტის სპეცრაზმის მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ოპერაციაში მონაწილეობდა ორი სამხედრო თვითმფრინავი, ორი მოიერიშე, ოთხიც საგანგებო მოწყობილობებით აღჭურვილი თვითმფრინავი, რომლებსაც სიტუაციის გართულების შემთხვევაში დავალებული ჰქონდათ გაენათებინათ აეროპორტის ტერიტორია და ლიბანის ძალოვანი სტრუქტურების აქტიური წინააღმდეგობისგან დაეცვათ თავიანთი მოიერიშე ჯგუფები.

ზღვის მხრიდან მზადყოფნაში იყვნენ ორი სატორპედო და ოთხიც სარაკეტო კატარღა; იმ შემთხვევისთვის კი, თუ ევაკუაცია ზღვით დაიწყებოდა, მზად ჰქონდათ რეზინის 13 ნავი.

სამხედრო-საზღვაო ძალების რაზმები დათქმულ დროს უნდა შეკრებილიყვნენ ევაკუაციის პუნქტ „რომიდან" ექვსი მილის დაშორებით და ოპერაციის დასაწყისისთვის ნაპირიდან 1500 მეტრის მანძილზე გაშლილიყვნენ. სატორპედო კატარღები ნაპირიდან 12 მილის მანძილზე დადგებოდნენ. ხაიფის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან დასახულ წერტილებში მისასვლელად მეზღვაურებს სამსაათ-ნახევარი ჰქონდათ გამოყოფილი.

## ოპერაცია

ისრაელის სამხედრო შვეულმფრენები ბაზა რამატ დავიდიდან 20 საათსა და 37 წუთზე აფრინდნენ. დაახლოებით თორმეტი კილომეტრის სიღრმეში ისინი საბრძოლო რიგად დაეწყვნენ და სანაპიროს გაუყვნენ, დადგენილი წერტილიდან კი მკვეთრად გადაუხვიეს ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტისკენ. მიზანთან მიახლოებისას 200-300 ფუტის სიმაღლეზე დაეშვნენ და მოიერიშე ჯგუფები 21 საათსა და 18 წუთიდან ორ-ორი წუთის ინტერვალით გადმოსხეს. დათქმულ დროზე 5 წუთის დაგვიანებით გადმოისხა ოპერაციის ხელმძღვანელი ჯგუფი. შვეულმფრენებმა პირველი და მეორე შემოვლის დროს 95 საკვამლე ყუმბარა გადმოყარეს, გაუშვეს 20 საკვამლე-სასიგნალო რაკეტა, რომლებმაც საფრენი ზოლების სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე კვამლის სქელი ფარდა შექმნეს. შემდეგ ერთ-ერთმა შვეულმფრენმა აეროპორტისკენ მიმავალ გზატკეცილზე საგანგებო წინაღობები ჩამოყარა და მოძრაობა შეაფერხა. აეროპორტში პანიკა ატყდა, შეშინებული მოქალაქეები შეეცადნენ სატრანსპორტო საშუალებებით დაეტოვებინათ აეროპორტი, მაგრამ რადგან გზა ქალაქისკენ უკვე ჩახერგილი იყო, მანქანები გზატკეცილზე გაიჭედა და საცობი შექმნა, ამას დაემატა ბეირუთიდან დასახმარებლად წამოსული მეხანძრეებისა და ჟანდარმების მანქანები და ჯავშანტრანსპორტიორები. ერთი სიტყვით,




რამდენიმე წუთში ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალი გზატკეცილი საიმედოდ გადაიკეტა. ამ დროს ხელოვნურად მოწყობილი საცობის თავზე დაფრინავდა შვეულმფრენი, რომელიც სიტუაციას აკვირდებოდა და როცა ქალაქის მხრიდან საშველად წამოსული ერთ-ერთი სამხედრო სატვირთო ავტომანქანა გზიდან გადავიდა და საცობის შემოვლას შეეცადა, შვეულმფრენიდან გაშვებულმა რაკეტამ წამსვე ააფეთქა იგი.

ამასობაში კი უზის, დიგლისა და ნეგზის სპეცრაზმელები აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებზე მუშაობდნენ. ისინი დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად — გამანადგურებლებად და შემაფერხებლებად იყვნენ დაყოფილნი... როცა ერთნი თვითმფრინავიდან თვითმფრინავამდე გარბი-გამორბოდნენ და ნაღმებს აყენებდნენ, მეორენი სროლით აფრთხობდნენ ცნობისმოყვარე მოსეირეებს, მუშებსა და პოლიციელებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ოპერაციისთვის. შეიარაღების უპირატესობამ ებრაელებს საშუალება მისცა იოლად შეევიწროებინათ აეროპორტის თანამშრომელთა წინააღმდეგობა და მოიერიშე ჯგუფებისთვის მოქმედების თავისუფლება უზრუნველეყოთ.

## უზის რაზმი

უზის რაზმმა იერიში მიიტანა თვითმფრინავების სამ ჯგუფზე. პირველ ჯგუფში ხუთი თვითმფრინავი იყო, მეორეში კი სამი. რადგან მესამე ჯგუფის თვითმფრინავები ერთმანეთთან მჭიდროდ იდგნენ, კომანდოსებმა ისინი ერთად ააფეთქეს, მერე კი დაიწყეს დანარჩენი თვითმფრინავების სათითაოდ დანაღმვა და სამხრეთისკენ გადაადგილება, თან ლაინერებს რიგრიგობით აფეთქებდნენ. რაზმმა თავი აარიდა აეროპორტის სამხედრო ნაწილში შესვლას, საიდანაც მათი მიმართულებით ისროდნენ. ამიტომ ბევრი თვითმფრინავი, რომლებიც ამ რაიონში გადიოდნენ მომზადებას, ხელუხლებელი დარჩა. უზის რაზმმა პირველი და მეორე ჯგუფიდან ოთხი თვითმფრინავის აფეთქება შეძლო, მეხუთე თვითმფრინავი არაბულ ავიაკომპანიებს არ ეკუთვნოდა და ამიტომ უვნებლად დატოვეს, მესამე ჯგუფის სამივე თვითმფრინავი კი გაანადგურეს. სულ შვიდი რეაქტიული თვითმფრინავი დააზიანეს. ოპერაციის დროს, როცა უზის ჯგუფმა საევაკუაციო წერტილისკენ სვლა დაიწყო, მათ გზა გადაუღობეს აეროპორტის უშიშროების სამსახურის მებრძოლებმა, მაგრამ ებრაელთა საიერიშო შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების რამდენიმე გამაფრთხილებელმა ჯერმა ლიბანელებს უკან დახევა აიძულა და უზის რაზმი დაუბრკოლებლად დაბრუნდა „ლონდონში“.

## დიგლის რაზმი

აეროპორტის ღია მოედანზე გადმოსვლისთანავე დიგლის რაზმმა საომარი პოზიცია საავარიო სამსახურის ახლოს დაიკავა. მებრძოლები კარგად ხედავდნენ პროჟექტორებით განათებულ ოთხ თვითმფრინავს. სამ მათგანს ლიბანური ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ორის დანაღმვა მოხერხდა, უკან დახევამ მოუწიათ, რადგან სამგზავრო ტერმინალიდან მათი მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. საპასუხოდ ებრაელებმა ტერმინალის ფანჯრებს გაუხსნეს ცეცხლი, რამაც ჯგუფს მესამე თვითმფრინავის დანაღმვის საშუალება მისცა. აფეთქების შემდეგ ჯგუფი ევაკუაციის წერტილისკენ დაიძრა.

## ნეგბის რაზმი

რაზმი დათქმულ წერტილში გადმოვიდა და სამხრეთისკენ გაემართა. მეწინავე მზვერავებმა ყველა ლიბანური თვითმფრინავი დააფიქსირეს და მენაღმეები გაგზავნეს. იდენტიფიცირებულ იქნა სამი თვითმფრინავი, კიდევ ერთი ანგარში იდგა. კაპიტან ნეგბის ოთხივე თვითმფრინავის ერთდროულად განადგურება ჰქონდა განზრახული. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავების დანაღმვის შესახებ მოახსენეს, მან აფეთქების ბრძანება გასცა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება რადიოთი გადაიცა და მეგაფონითაც გამეორდა, ანგარში მდგომი თვითმფრინავის დამნაღმველმა ჯგუფმა იგი ვერ გაიგო. მათ მხოლოდ მაშინ დატოვეს ანგარი, როცა აფეთქების მოლოდინში მიწაზე გაწოლილი თანამებრძოლები დაინახეს. საბედნიეროდ თვითმფრინავზე დაყენებული ნაღმის დეტონატორი არ ამოქმედდა, რამაც მებრძოლებს სახიფათო ზონის უვნებლად დატოვების საშუალება მისცა. რაზმის ნაწილმა აეროპორტის საწვავის საწყობებისკენ დაიხია და რადიოთი მათი აფეთქების ნებართვა ითხოვა, მაგრამ ხელმძღვანელობისგან უარი მიიღო და რაზმიც ევაკუაციის ადგილისკენ დაიძრა.

## ევაკუაცია

ნეგზის რაზმი პირველი მივიდა „ლონდონში“ რაც საევაკუაციო შვეულმფრენებისთვის დათქმული ნიშანი იყო. 21 საათსა და 47 წუთზე პირველი შვეულმფრენი დაეშვა და ბორტზე აიყვანა სპეცრაზმელები, თხუთმეტი წუთის შემდეგ კი, ბოლო, მესამე შვეულმფრენი აფრინდა ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტიდან და მცველავი ფრენით ისრაელისკენ გაეშურა.

## სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაზმი

სრულ მზადყოფნაში მყოფი საზღვაო კომანდოსების რაზმი ნაპირიდან მილ-ნახევარის მანძილიდან ადევნებდა თვალს სპეცრაზმელების მოქმედებებს. მას შემდეგ კი, რაც დარწმუნდნენ, რომ თანამებრძოლებმა დავალება შეასრულეს და უდანაკარგოდ დაბრუნდნენ, სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაზმი თავის ბაზას დაუბრუნდა.

## შედეგი

ოპერაცია „საჩუქრის“ მსვლელობისას განადგურდა 14 თვითმფრინავი, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ავიაკომპანიებს ეკუთვნოდა. მათ შორის: ორი „ბოინგ 707“, სამი „კომეტა C-4“; თვითმფრინავები — „კარაველა“ და „ვიკონტი“. ზარალმა კი სულ 42-44 მილიონი დოლარი შეადგინა.




# ავსტრიული გრავიორის ნახელავი

ეს ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის, 150 წლის წინ დაიწყო. მაშინ ევროპელი ბიურგერ-მონადირის ცხოვრება ფატალური აზრით იყო სავსე. ბედნიერი დღეები გამოზომილად და მდორედ მიედინებოდა: ქალაქი, პროვინცია, პირველი სანადირო თოფი, პირველი სიყვარული, საყვარელი მეძებარი ძაღლი, მოკლული იხვებით გატენილი ჩანთა, ისევ ქალაქი, სამსახური, ანგარებიანი ქორწინება, პენსიაში გასვლა, რომელსაც მეუღლის გასვენება მოსდევდა, სევდა, მცირეოდენი კონიაკი ან შნაპსი სამხრობის წინ, ავადმყოფობა ან ნადირობა – გააჩნია, ვის როგორ გაუმართლებდა...



იმ დროს გარეული ფრინველი იმდენად ბევრი იყო, რომ თოფების გამორჩეულ თვისებებზე, მიზანში მიტანასა და ჭრისუნარიანობაზე ბევრი არ ამახვილებდა ყურადღებას. ღარიბი მონადირეები იმათ თოფებს ეტანებოდნენ, ვინც ნახელავში ნაკლებ თანხას ითხოვდა. მეიარაღეთა ნაკლებობა კი ევროპაში არ იგრძნობოდა. შეძლებული ბატონები, პირიქით, დიდხანს ფიქრობდნენ, რომელი გამოჩენილი ოსტატის ნახელავით გაემდიდრებინათ საკუთარი არსენალი.

ინგლისელები, ბებერი კონტინენტის უძველესი მეიარაღე ოსტატები, უმშვენიერეს თოფებს აკეთებდნენ და საფასურსაც საკმაოდ სოლიდურს ითხოვდნენ. ამავე დროს მოღვაწეობდნენ ბრიუსელელი მეიარაღეები, ბერლინელი, პარიზელი და ვენელი ოსტატები. მართალია, ფერლახის შესახებ ბევრს არ სმენოდა, სამაგიეროდ პარიზში უკვე მუშაობდნენ სახელგანთქმული ლე პაჟი და ჯასტინ-რენეტი.

ავსტრიის დედაქალაქს არასდროს მოჰკლებია ღირსეული საზოგადოება, რადგან ვენა არის მოცარტი, ბეთჰოვენი, შუბერტი, ბრამსი, შტრაუსი. მოკლედ, ამ ქალაქში თავს იყრიდა მსოფლიო კულტურა და აქაური საზოგადოების წიაღში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ცხენების, ქალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის დამფასებლები. ამის გამო ვენაში დასაბამიდან მუშაობდნენ საუკეთესო მეიარაღე ოსტატები, რომელთათვისაც ყოველთვის შეგეძლო წყვილი, მოხდენილი საგზაო დამბაჩის შეკვეთა; ანდა ძვირფასი კაფსულდეტონატორიანი, ვერტიკალურლულიანი შტუცერის ყიდვა – ეს იარაღი იმდენად იშვიათი იყო, რომ მისი გაკეთება მხოლოდ პრაღელ ოსტატ ა. ვ. ლებედას შეეძლო. მატიას ნოვოტნი (Mathias Novotny), ბოჰემიის მკვიდრი (ასე უწოდებდნენ ჩეხეთს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში 1919 წლამდე), ვენაში 1836 წლის დასაწყისში ჩავიდა. იმავე წლის ზაფხულში კი ქალაქის მაგისტრატურისგან იარაღის კეთების უფლება მიიღო. თავდაპირველად მას საიარაღო სახელოსნოს დაარსება მხოლოდ ქალაქის გარეუბანში შეეძლო, მაგრამ არ გასულა ორი წელიწადი და მატიას ნოვოტნიმ მეუღლე ანა ჰაასთან ერთად სახელოსნო ვენის ცენტრალურ ნაწილში გადმოიტანა. მაშინდელ ვენის ცენტრში საიარაღო სახელოსნო იშვიათობა იყო.



არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩეხი ოსტატების ღვაწლი. სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ეცხოვრათ – პრაღაში, ფერლახში, ბერლინში, ვენაში თუ სანქტ-პეტერბურგში – ისინი თავისი საქმის დიდოსტატები იყვნენ.

თავის სახელოსნოში მატიასი რამდენიმე ოსტატთან და მეუღლესთან ერთად შრომობდა. ანა ჰაასი თუმცა შეუხედავი გახლდათ, მშვენიერი მეოჯახე ბრძანდებოდა. მომსვლელები ყოველთვის მადლიერებით იხსენებდნენ მის სტუმართმოყვარეობას. თუმცა ყველაფერზე მეტად აქ მათ მისი მეუღლის ნახელავი იზიდავდათ. დამკვეთთა წრე დღითი დღე ფართოვდებოდა.

და აი, 1853 წლის 24 სექტემბერს ნოვოტნიმ ვენის მაგისტრატურისგან მიიღო უწყება, რომლითაც ხელისუფლება მეიარაღეს აცნობებდა, რომ მას საფაბრიკო საწარმოს დაარსების უფლება ჰქონდა. მეიარაღის დიდი ხნის ოცნება ასრულდა. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი...“ – მატიას ნოვოტნის თავდავიწყებით შეუყვარდა მეზობლის მშვენიერი მეუღლე. რაკი გრძნობდა საკუთარი მდგომარეობის უიმედობას, მატიასი დიდ დროს უთმობდა სახელოსნოში მუშაობას და მხოლოდ გვიან ღამით ადიოდა დასაძინებლად, ცოტა რომ დაესვენა და სისხამ დილით კვლავ საქმეს შესდგომოდა. მიუხედავად კატორღული შრომისა (ასე ეჩვენებოდა ოსტატს), მისი ხელიდან ისეთი შედევრები გამოდიოდა, რომელთა გამეორებაც ქვეყნად არავის შეეძლო.

ფირმა თავისი დიდების ზენიტში იყო, დედაქალაქში ყველაზე დიდი სახელით სარგებლობდა და მაღალი საზოგადოების პერსონალური მუშტარი ჰყავდა. წამიერი მიდრეკილების, ეშმაკეული ცდუნებისა და საკუთარი ოჯახის წმინდა სახელის შებღალვის უფლება მეიარაღეს არ ჰქონდა.

1856 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დილით მატიას ნოვოტნიმ, როგორც ყოველთვის, სისხამ დილით გაიღვიძა, აუჩქარებლად ჩაიცვა, თავი მოიწესრიგა, წუთით სამუშაო მაგიდასთან ჩამოჯდა. შემდეგ მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა კედელზე ჩამოკიდებულ საყვარელ მტუცერს, ჩამოხსნა და სახელოსნოში ჩავიდა. მოსამსახურე ქალს ყურადღება არ მიუქცევია ოდნავ გასაგონი მოგუდული ბათქისთვის, რომელიც სახელოსნოდან გაისმა. მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ აღმოაჩინა სამსახურში მოსულმა გრავიორმა პატრონის უსულო სხეული. გრავიორი იოჰან შპრინგერი იყო.

ცხოვრება გრძელდებოდა. 1857 წლის თებერვალში ნოვოტნის ქვრივმა ფირმა იოჰან შპრინგერს მიჰყიდა. ხუთი თვის შემდეგ მემკვიდრემ ქალაქის მესვეურებისგან, გარდა იარაღის კეთებისა და ვაჭრობისა, ახალი აბრის გამოკვრის უფლებაც მიიღო. Joh. Springer, vorm Mathias Novotny (იოჰან შპრინგერი – ყოფილი მატიას ნოვოტნი) იუწყებოდა ახალი აბრა.

შპრინგერი 1819 წლის 18 ნოემბერს დაიბადა უნგრეთის დაბა ლიოეტშაუში. მამამისი მეიარაღე (მეკონდახე) იყო. ოცდაერთი წლისა ვენას გაემგზავრა და მატიას ნოვოტნისთან გრავიორად დაიწყო მუშაობა. იმ დროს იარაღის დამკვეთები წინასწარ თანხმდებოდნენ თოფის გაფორმებასა და იარაღის დეკორზე, ამიტომ ახალგაზრდა გრავიორს ყველა კარგად იცნობდა.

მატიას ნოვოტნისთან მუშაობისას შპრინგერმა ცოდნა გაიღრმავა და იარაღის კეთების თითქმის ყველა საიდუმლოს ჩასწვდა. ასე რომ, არც ერთი შეკვეთა მის გარეშე არ სრულდებოდა. ნოვოტნი სავსებით ენდობოდა ახალგაზრდა მეიარაღეს, რომელსაც უფლება ჰქონდა, მისი არყოფნის დროსაც მიეღო შეკვეთა. გარდა ამისა, შპრინგერს მასწავლებლის ოჯახთან ნათესაობაც აკავშირებდა. 1847 წელს იგი ნოვოტნის დაზე, კატერინაზე დაქორწინდა. თუმცა ბედნიერი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1861 წელს კატერინა გარდაიცვალა და შპრინგერი ვენელი ძმრის მწარმოებლის ქალიშვილზე დაქორწინდა. ორი წლის შემდეგ მეიარაღემ ვენის ცენტრალურ უბანში სახლი იყიდა და აი, უკვე 140 წელზე მეტია ჟოსეფსგასეს 10 ნომერში მდებარე მოკრძალებულ შენობას მისი ფირმის ფირნიში ამშვენებს.

1872 წლის 28 ნოემბერს გამოშვებული იარაღის საუკეთესო ხარისხისათვის შპრინგერს სამეფო კარის მეიარაღის ტიტული – „მეფისა და კაიზერის მეიარაღე“ ებოძა. სამწუხაროდ, არაფერია ამქვეყნად მარადიული. 1875 წლის 24 თებერვალს, თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გაფურჩქვნის ხანაში, იოჰან შპრინგერი მოულოდნელად გარდაიცვალა. ცოლს, ლეოპოლდინას, ხუთი შვილი დაუტოვა, სამი პირველი ქორწინებიდან, ორი – რუდოლფი და გუსტავი კი მეორედან.

რადგან მეიარაღის შვილები არასრულწლოვანები იყვნენ, საქმის გაძღოლა ძმრის მაგნატის ქალიშვილმა ლეოპოლდინა შპრინგერმა იკისრა. ძველი აბრა ფაბრიკის შესასვლელ კარზე მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 1888 წელს შეიცვალა – Johann Springer's Erben (იოჰან შპრინგერის მემკვიდრეები) იუწყებოდა ფირნიში.

შპრინგერის მეორე ქორწინებიდან უფროსმა შვილმა რუდოლფმა მეიარაღის საუკეთესო სკოლა გაიარა. მან მუშაობა ჯერ ვაიპერტში, ოსტატ შმიდლის სახელოსნოში დაიწყო, შემდეგ ბირმინგემში გადავიდა, საბოლოოდ კი მეიარაღის მეცნიერების კურსი ლიეჟში, სახელგანთქმულ შარლ ფრანკოტისთან დაასრულა. 1901 მარტს რუდოლფი მოულოდნელად გარდაიცვალა და ცოლს მცირეწლოვანი ვაჟი დაუტოვა, რომელსაც პაპის პატივსაცემად იოჰანი ერქვა. ფირმის ხელმძღვანელობა გარდაცვლილის უმცროსი ძმის გუსტავის ხელში გადავიდა. სწორედ გუსტავ შპრინგერის ხელმძღვანელობის დროს მოიპოვა ფირმამ მსოფლიო აღიარება. 1911 წელს მას უზენაესი განკარგულების საფუძველზე ერთობ პრესტიჟული ტიტული Kaiser und Konig Hof-und Kammerlieferant (იმპერატორის კარისა და სამეფო არსენალის მომმარაგებელი) ეწოდა. 1899-1912 წლები ავსტრია-უნგრეთის მაღალი საზოგადოების პირთაგან მრავალრიცხოვანი შეკვეთებით აღინიშნა. გარდა ამისა, შპრინგერის ფირმას საუკეთესო იარაღს უკვეთდნენ: გერმანიის, სერბიის, ესპანეთის, რუსეთის, ინდოეთის, პოლონეთის არისტოკრატები. მხოლოდ ფრანც-ფერდინანდმა, თავგადაკლულმა მონადირემ და ფირმის მუდმივმა





ეროვნული ბიბლიოთეკა



კლიენტმა, რომელმაც თავისი მოკლე ცხოვრების მანძილზე 270 ათასი გარეული ფრინველი მოინადირა, შპრინგერს 28 თოფი შეუკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ თოფები Johann Springer წარწერით მთელ მსოფლიოს მოედო, ვენაში 87 წლის განმავლობაში (1870-1957) მხოლოდ 5662 თოფი გამოუშვეს, პირობითად, 60 ეგზემპლარი წელიწადში. ეს ციფრებიც მეტყველებს შპრინგერის მემკვიდრეობის უნიკალურობაზე. შპრინგერის ნახელავის სერიული ნუმერაცია მკაცრი თანამიმდევრობით — 5 ათასიდან იწყება და 10662-ით მთავრდება. ეს ნომერია ამოტვიფრული უკანასკნელ თოფზე, რომელიც 1957 წელს დაამზადეს. ის იარაღი, რომლის ნომრებიც აღნიშნულს არ ემთხვევა და მთელ მსოფლიოშია მოდებული, ვენის საიარაღო ქარხანაში ვაიპერტის, ზულისა და ლეჟეს მიერ არის დამზადებული. ნაწილობრივ კი ბელგიაში, სადაც შპრინგერისთვის მუშაობდნენ „ავგუსტ ფრანკოტი", „ალფონს ფორჟერონი" და „ლიეჟის მანუფაქტურა". ამ ფოთებს სამიზნე თამასაზე J. Springer's Erben Gewehrfabrikanten Wien აწერია. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ სავაჭრო დამღა, ზოგჯერ კი ლულის ქვედა მხარეზე აწერდნენ მწარმოებლის სრულ სახელწოდებას.

გარდა საშუალო კატეგორიის თოფებისა, ესე იგი მთლიანად საზღვარგარეთ დამზადებული ნაწარმისა, Springer-ის მარკით საუკეთესო თოფებიც კეთდებოდა. ამ იარაღს აწყობდნენ ვაიპერტსა და ლიეჟში დამზადებული ნაწილებისგან. საბოლოოდ მათი შემკობა-გაფორმება და გამოცდა კი ვენაში ხდებოდა. რა თქმა უნდა, ასეთ იარაღს აქვს ნომერი, რომლებიც 5000-10662 სერიულ დიაპაზონშია მოქცეული. ყველაზე პრესტიჟული იარაღი 1899-1912 წლებშია დამზადებული (9000-დან 10662-მდე). თოფების უმრავლესობას აქვს დამღა Wienna Best, ესე იგი იარაღი საუკეთესო ინგლისური მანერით არის დამზადებული. ამ „ელიტურ ათასეულს" ბადალი არ მოეძებნება ფირმის მთელ პროდუქციაში, მიუხედავად მისი ტიპისა და მექანიზმების კონსტრუქციისა, მათ სამართლიანად უყენებენ გვერდით James Purdey&Sons, Boss&Co, Holland&Holland, Lebeau-Courally ფირმების საუკეთესო ეგზემპლარებს. გამძლეობის მიხედვით კი შპრინგერის იარაღს სპეციალისტები უდავო პირველობას ანიჭებენ.

მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოვიყვანთ „ელიტური ათასეულის" ურთიერთშეფარდებას ტიპებისა და კალიბრების მიხედვით: 620 გლუვლულიანი, მათ შორის — 360 ორლულიანი 16 კალიბრისა, 186 — 12-კალიბრიანი ორლულიანი და ბოლოს 74 ცალი თოფი 24, 20, 10 და 8 კალიბრისა.

260 ერთლულიანი და ორლულიანი შტუცერი („ექსპრესი" და „ინტროექსპრესი" სხვადასხვა კალიბრისა).

70 „პარადოქსი".

50 კომბინირებული თოფი — ორი და სამლულიანები.

უჩახმახო თოფებს როგორც კოლოფისებური, ისე გვერდითა დაფაზე მოთავსებული საკეტები ჰქონდათ. ჩახმახიანები კი ქვედა და შებრუნებული საკეტებით იყვნენ აღჭურვილნი.

ვენაში დამზადებული თოფების უმრავლესობა სიმძიმით გამოირჩევა. თუმცა ამ ნაკლს მთლიანად აუფერულებს მათი მაღალსაიმედოობა და გამძლეობის უნარი. გამონაკლისია ის ორლულიანი თოფები და შტუცერები, რომლებსაც Vienna Best-ის ტრადიციული კლასიკური საკეტები აქვთ.

ორიგინალური „შპრინგერების" გამძლეობა განპირობებულია არა იმდენად სამუშაო და საკეტი მექანიზმების ფილიგრანული მორგებით, არამედ მთლიანად იარაღის ჭკვიანური, გააზრებული კონსტრუქციით. ლულისქვემოთა მასიური კავები მაქსიმალურად დაშორებული იყო ერთმანეთისგან, უკანა კავის ბოლო თოფის გადახსნისას სავაზნე ჭრილიდან 5 მილიმეტრით გამოიწეოდა ხოლმე. ხუნდების ბალიშები შედარებით გრძელი იყო, მაგრამ გვერდითა დაფებიანი საკეტებით თოფს გამორჩეულად ნატიფი იერი ეძლეოდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-18) ფირმამ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მხოლოდ იმიტომ შეამცირა, რომ მისი მუშები ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო საიარაღო ქარხნებში გაიწვიეს სამუშაოდ. ომის დამთავრების შემდეგ კი ფირმამ ვერ შეძლო ადრინდელი სიმძლავრის აღდგენა. თექვსმეტი წლის განმავლობაში (1912-28) ვენაში მხოლოდ 300 ერთეული სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი დამზადდა. მომდევნო რვა წლის განმავლობაში კი 200 ერთეული. უკანასკნელი 21 წელი მინიმალური მწარმოებლობით აღინიშნა — მხოლოდ 162 თოფი.

1914 წელს გუსტავ შპრინგერმა სახელოსნოში შეგირდად მიიღო უკვე წამოზრდილი ძმისშვილი იოჰანი. 1944 წელს, ბიძის გარდაცვალების შემდეგ, იგი გახდა შპრინგერების მრავალრიცხოვანი დინასტიის (მამაკაცთა მხრიდან) უკანასკნელი წარმომადგენელი (გუსტავ შპრინგერს შვილები არ ჰყავდა, მან უდროოდ დაღუპული ძმის რუდოლფის ვაჟები, იოჰანი და კარლო იშვილა). მეორე მსოფლიო ომის წინ შპრინგერის სახელოსნოში 140 კაცი მუშაობდა, რომელთაგან უმრავლესობა გერმანელებმა „შურისძიების იარაღის" ბალისტიკური რაკეტა Fau-2-ის საწარმოებლად გაიწვიეს.

1945 წლის გაზაფხულზე ავსტრიელებმა შვებით ამოისუნთქეს — ისინი ფაშისტური გერმანიისგან გათავისუფლდნენ და განმათავისუფლებელთა პატივსაცემად მთელი ათი წლის განმავლობაში იოჰან შპრინგერ-უმცროსი საბჭოთა ოფიცრებისა და გენერლების შეკვეთებს ასრულებდა. ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თოფი საგანგებოდ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის უფროსის, მარშალ კონევისთვის დაამზადეს.

1957 წელს ფირმამ თავისი უკანასკნელი თოფი გამოუშვა და წარმოება შეწყვიტა. სამაგიეროდ სავაჭრო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო.

იოჰან პაულ შპრინგერი 1963 წელს გარდაიცვალა. ფირმა კი ქალიშვილს, მარგარეტ ვაიკსელბრაუნს დაუტოვა. ასე რომ, შპრინგერების იარაღის ეპოქა ზუსტად ერთ საუკუნეს გაგრძელდა, პაპა იოჰან შპრინგერიდან შვილიშვილ იოჰან შპრინგერამდე.

დღეისთვის ვენური ფირმა ძველებურად ატარებს Johann Springer's სახელს. სავაჭრო სახლს ხელმძღვანელობს დამფუძნებლის შთამომავალი მარგარეტ ვაკსელბრაუნი. მას ეხმარებიან უფროსი ქალიშვილი მონიკა ჰოლცერი და უმცროსი ვაჟი კრისტიან შპრინგერი. საგვარეულო საქმის გასაგრძელებლად და ფირმის სახელის შესანარჩუნებლად 1982 წელს საოჯახო თათბირზე გადაწყდა, რომ კრისტიანს გვარი შეეცვალა. რაც უნდა იყოს, მის ძარღვებშიც ჩქეფს დამფუძნებლის სისხლი. და ვინ იცის, იქნებ გავიდეს რამდენიმე წელი და იარაღის მაღაზიებში კვლავ შევხვდეთ ძვირფას თოფს, რომელსაც სამიზნე თამასაზე ლამაზი წარწერა — Johann Springer's Erben Gewehrfabrikanten Wien — ექნება.

# БТР-80

# ჯავშანი ბორბლებზე

## საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორის „სამჭედლო“ კინაღამ ქუთაისი გახდა





ქუთაისში დამზადებული საცდელი ჯავშანტრანსპორტიორი „ობიექტი-1015“



БТР-80

ჯავშანტრანსპორტიორი ქვეითთა ბრძოლის ველამდე მიყვანის გავრცელებული მექანიზებული საშუალებაა. გასული საუკუნის 60-80-იან წლებში მსოფლიოში ძირითადად ამერიკულ მუხლუხებიან **M113**-სა და საბჭოთა **БТР**-ებს იყენებდნენ. საბჭოთა **БТР** იმ რაოდენობითაა გამოშვებული, რომ მხოლოდ ლეგენდარულ „კალაშნიკოვს“ თუ ჩამოუვარდება. „არსენალის“ მკითხველთა დიდი ნაწილისთვის შეიძლება უცნობი იყოს ის ფაქტი, რომ ამ **БТР**-ების დიდსერიული წარმოება თავდაპირველად ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში იგეგმებოდა, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა. 1958 წლის დამლევს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წყალში მცურავი ჯავშანტრანსპორტიორის „ობიექტი-1015“ კონსტრუირება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურომ დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



БТР-80-ები სამხედრო აღლუმზე. თბილისი, 26 მაისი 2004 წელი

ქუთათურ ინჟინრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ოთხღერძიანი, რვაბორბლიანი და მთლიანად შეჯავშნული ჯავშანტრანსპორტიორის შექმნა, რომელშიც მძღოლ-მექანიკოსიანად 21 შეიარაღებული მებრძოლი ეტეოდა.

1960 წელს საქართველოს გზებზე დაწყებული გამოცდებისას ქუთაისურმა ჯავშანტრანსპორტიორმა მაქსიმალური 90კმ/სთ სიჩქარე განავითარა ასფალტირებულ გზაზე, ხოლო ოღროჩოღროზე კარგი გამავლობა აჩვენა. გარდა ამისა, თავისუფლად შედიოდა მდინარეში და 10 კმ/სთ სიჩქარით მიცურავდა. ეს ტექნიკური მონაცემები იმ დროისთვის კარგ მაჩვენებლებად ითვლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისურმა ჯავშანტრანსპორტიორმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მაინც ქალაქ გორკში გამოშვებული БТР-60 მიიღეს. ერთი მხრივ, შეიძლება ეს კარგიც იყო, რადგან თუ ქუთაისში უზარმაზარი საბჭოთა არმიის БТР-ებით შესაიარაღებლად ათასობით ჯავშანტრანსპორტიორის გამოშვებას შეუდგებოდნენ, მაშინ მთელი საბჭოთა კავშირიდან ათასი ჯურისა და ეროვნების ხალხი უნდა ჩამოეყვანათ, რაც მშვენიერ ქალაქს პეწს ნამდვილად დაუკარგავდა. მოგვიანებით ქუთაისური ჯავშანტრანსპორტიორის ბაზაზე თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ОСА“-ს შექმნა სცადეს, რაც ასევე წარუმატებლად დამთავრდა.

დავუბრუნდეთ საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორებს. გორკში ჯერ БТР-60ПБ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორი აითვისეს, რომელსაც ორი კარბიურატორიანი ძრავა ჰქონდა, შემდეგ მისი კონსტრუქცია დახვეწეს და БТР-70-ის სახით გაუმჯობესებული ვარიანტი შექმნეს. თუმცა ავღანეთის ომმა ორივე ჯავშანტრანსპორტიორს ბევრი ნაკლი გამოუვლინა, მათ შორის ძრავების სიმძლავრის სიმცირე მთაგორიან რელიეფზე მოძრაობისას. ამასთან, არც БТР-60ПБ-ისა და არც БТР-70-ის ტყვიამფრქვევების ლულები მაღლა ვერ იწეოდა და მთის მწვერვალზე გამაგრებულ მოჯაჰედებს ვერაფერს აკლებდა.

ასე მომწიფდა ჯავშანტრანსპორტიორის ახალი ვერსია – БТР-80. ეს მართლაც ახალი სიტყვა გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ორი კარბიურატორიანი ძრავას ნაცვლად ერთი მძლავრი დიზელის ძრავა დაუყენეს, რომელიც გაზრდილი სიმძლავრითა და საწვავის ნაკლები ხარჯით გამოირჩეოდა (თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ორძრავიან БТР-ს ბრძოლის ველიდან გამოღწევის მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე ერთძრავიან БТР-80-ს).

მიუხედავად იმისა, რომ БТР-80-ის პირველ მოდიფიკაციებს ისეთივე საბრძოლო კოშკურა ჰქონდათ, როგორც მის წინამორბედებს (ერთი 14,5მმ კალიბრიანი КПВТ ტიპის და მასთან შეწყვილებული, ერთი 7,62 მმ კალიბრის ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევები), კოშკურაში დაყენებული ტყვიამფრქვევების მაღლა აწევის კუთხე თითქმის მართკუთხედს ქმნიდა, ეს კი ჯავშანტრანსპორტიორში მჯდომ მსროლელს საშუალებას აძლევდა, მიზანში ამოეღო მთებზე (თუნდაც მრავალსართულიანი კორპუსის სახურავზე) გამაგრებული მოჯაჰედების საცეცხლე წერტილები.

БТР-80 კონსტრუქციულად შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: წინა ნაწილში მძღოლ-მექანიკოსს მარჯვნივ მეთაური უზის. მათ უკან, შუაში, მსროლელ-დამ-



БТР-60



БТР-70




არაბებმა БТР-80-ს ЗУ-23-2 ტიპის ავტომატური საზენიტო ქვემეხი დაუყენეს

მიზნებელი ზის დაკიდებულ სკამზე, რომელიც კოშკურასთან ერთად ბრუნავს. მათ უკან შვიდი მედესანტის სკამია განთავსებული.

ძველი მოდიფიკაციის БТР-ებისგან განსხვავებით БТР-80-დან დესანტირება უფრო მოსახერხებელი და უხიფათოა. БТР-60ПБ-დან დესანტი მხოლოდ ზემო ლიუკებიდან გადმოდიოდა და მოწინააღმდეგის კარგი სამიზნე ხდებოდა. БТР-70-ს ზედა ლიუკების გარდა, ბორტის მხარეს, ბორბლებშუა, გვერდითი სადესანტო ლიუკებიც ჰქონდა. თუმცა ის პატარა და მოუხერხებელი იყო. ყოფილა შემთხვევა, როცა ლიუკში ნახევრად გაჭედილი ჯარისკაცისთვის ჯავშანტრანსპორტიორის უკანა ბორბლებს გადაუვლია.

БТР-80-ს დარჩა როგორც ზემოთა ლიუკები, ისე გვერდითი, ოღონდ მათი ფართი გაიზარდა, რაც უფრო მცირე დროში იძლევა დესანტირების საშუალებას. მედესანტეებისთვის ჯავშანტრანსპორტიორის ბორტებზე დატანებულია სპეციალური სათოფურები, საიდანაც მათ „კალაშნიკოვების“ ლულების გაყოფა და სროლა შეუძლიათ.

БТР-80-ის უკანა ნაკვეთურში რვაცილინდრიანი 260 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავაა დამონტაჟებული. წყალში შესვლისას იღება სპეციალური წყალმტყორცნის ხვრელი, რომელიც ჯავშანტრანსპორტიორის წყალში ცურვას უზრუნველყოფს.

БТР-80-ების სიმცირეს ქართული არმია მუდმივად განიცდიდა. იმ დროისთვის თანამედროვე რამდენიმე БТР-80 მაშინდელი უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის დაქვემდებარებაში არსებული მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადის ფარეხებში იდგა, თავად ქართულ არმიაში კი უფრო БТР-70-ები ჭარბობდა.

გასულ 2005 წელს ათზე მეტი БТР-80 შეიძინა თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში, რომელთა ნახვა 26 მაისის სამხედრო აღლუმზე შეიძლებოდა. თავის მხრივ, შსს-მაც იყიდა იგივე ჯავშანტრანსპორტიორები და ისინი შავნაბადის ანტიტერორისტულ ცენტში განათავსა.

სამწუხაროდ, თანამედროვე ჯავშანტრანსპორტიორების რაოდენობით ქართული არმია ვერ დაიკვეხნის. მიუხედავად იმისა, რომ БТР-80-ის გვერდითა ჯავშანს ავტომატის ჯავშანგამტანი ტყვიაც კი ხვრეტს ახლო მანძილიდან, ჯავშანტრანსპორტიორების ყოლა აუცილებელია, რადგან ისინი უფრო სწრაფები და მობილურები არიან, ვიდრე მუხლუხებიანი ქვეითთა საბრძოლო მანქანები.

*ირაკლი ალადაშვილი*

**ჩვენი დოსიე:** ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80 13,6 ტონას იწონის; მისი სიგრძე 7,6 მ-ია, სიგანე 2,9მ, ხოლო სიმაღლე 2,3მ; 260 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა ასფალტირებულ გზაზე მაქსიმალური, 80კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა; წყალში ცურვის სიჩქარე 9კმ/სთ-ს უტოლდება. საწვავის ერთი გაწყობით ჯავშანტრანსპორტიორი 600 კმ მანძილს ფარავს.




БТР-80

# მსოფლიოს უდიდესი არმიები



**სამხედრო აღლუმისთვის თვალის დევნება ძალიან სასიამოვნო თავშესაქცევია, თუმცა აღლუმზე ხომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას იღებ (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღლუმზე მთელი ძალებია წარმოდგენილი). საბედნიეროდ ისეთი აღლუმი არასოდეს გამართულა, სადაც ქვემოთ მოყვანილი არმიების დემონსტრირება იქნებოდა შესაძლებელი, ამიტომ გვინდა მსოფლიოს უდიდესი არმიების შესახებ მცირეოდენი რამ გაცნობოთ...**

I ადგილი

## ჩინეთი

*პირადი შემადგენლობა:* 2300000 კაცი.

*მთავარი დამრტყმელი ძალები:* ბირთვული მუხტის მატარებელი რაკეტების რიცხვით ჩინეთმა დიდი ხანია გადაუსწრო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს – 24 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა DF-5, რომლებსაც გაშლადი ქობინები აქვთ (ფრენის სიშორე 13 ათას კილომეტრამდე), 30 მონობლოკური DF-31 (ფრენის სიშორე 8000 კმ-მდე) მობილური ბაზირების 100 ბალისტიკური რაკეტა DF-21 (ფრენის სიშორე 1800კმ) და ერთადერთი სარაკეტო წყალქვეშა ატომური ნავი „სია“. მალე კიდევ ერთი ჩინური ატომური წყალქვეშა ნავი გამოჩნდება ასპარეზზე, რომლისთვისაც ახალი ტიპის რაკეტები JL-2 პროექტირდება (ფრენის სიშორე 8000 კილომეტრამდე).



*ცოცხალი ძალა:* ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია რაოდენობის მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვანია მსოფლიოში. სახმელეთო ჯარებში 1600000 ჯარისკაცი ირიცხება, სამხედრო-საჰაერო ძალებში 420000, საზღვაო ფლოტში 250000, საზღვაო ქვეითთა რაოდენობა კი 10000-ს შეადგენს. 4000 თვითმფრინავიდან, რომლებიც ჩინეთს შეიარაღებაში ჰყავს, უმეტესობა მოძველებული საბჭოთა თვითმფრინავების ასლებია. მათ შორის ყველაზე თანამედროვე Су-27СМК და რუსული წარმოების Су-30-ია, რომლებიც ჩინური ელექტრონიკით არიან აღჭურვილნი. ზღვაში წყალქვეშა ნავ „სიას“ მხარდასაჭერად გამოყოფილია 6 საერთო დანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი და 66 დიზელისძრავიანი სუბმარინა.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* ჩინელებმა, ჯერ კიდევ კორეასთან ომის დროს შეიმუშავეს ახალი, ექსკლუზიური ტაქტიკა, რომელსაც „ცოცხალი ტალღა“ უწოდეს.

**ჩინელები სამხედრო ტაქტიკას — „ცოცხალ ტალღას“ არავის უმალავენ. უბრალოდ, მის გამოსაყენებლად არც ერთ სხვა ერს ცოცხალი ძალის რესურსი არ ეყოფა...**






სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას ამერიკული ოცეულის მეთაურსა და ათეულის მეთაურსაც კი უფლება აქვთ დასახმარებლად ავიაცია გამოიძახონ.




პენტაგონი ძლიერ არის დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე...

მისი არსი გაუთავებელ შეტევაში მდგომარეობს – ჯარისკაცების ნაკადი მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდეებს თავისი სიმრავლით ავიწროებს და მოწინააღმდეგის დაღლასა და მისი საბრძოლო მასალების ამოწურვაზეა გათვლილი. შეტევა მანამ გრძელდება, სანამ მტერი მოწინააღმდეგის ხოცვით არ დაიქანცება, ტყვია-წამალი არ გაუთავდება ან ფსიქოლოგიურად არ დამარცხდება ათასობით ჯარისკაცის გვამის შემხედვარე. მოსახლეობის ისეთი რაოდენობის მქონე ქვეყანას როგორიც ჩინეთია, მსგავსი ტაქტიკა ვერაფერს დააკლებს. საომარი საფრთხის არსებობისას ჩინეთს დაუყოვნებლივ შეუძლია 5 მილიონი კაცის მობილიზაცია. ჩინელი ჯარისკაცი საოცრად მიზანდასახულია, კარგად იტანს შიმშილს, სიცხეს, ყინვასა და საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობას.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ჩინეთის არმიაში დამუშავდა „მეხუთეს პრინციპი“ – მარშის დროს ოთხ ჯარისკაცს ხელით მიჰყავს მეხუთე, რომელიც ამ დროს ისვენებს.

არავის ეგონოს, თითქოს ჩინეთის სახალხო არმია კალაშნიკოვებიანი გლეხების კრებულია, ჩინელები ხომ ტექნოლოგიების საუკეთესო „ამწაპნელებად“ ითვლებიან – სახელმწიფო საიარაღო კორპორაცია „ნორინკო“ ძირითადად იმით არის დაკავებული, რომ საუკეთესო უცხოური იარაღის ასლებს ამზადებს და მოდიფიცირებას უკეთებს. მართალია, ტრადიციული ჩინური ხარისხი იარაღსაც ეტყობა, მაგრამ ამდენი საზარბაზნე ხორცის მქონე ქვეყანაში ხარისხი არავის აღელვებს.

*სამხედრო პრეტენზიები:*

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარი სტრატეგიული მიზანი ტაივანის დაბრუნებაა. „ორი ჩინეთის“ გაერთიანების მთავარი ხელის შემშლელი კი 500000 ტაივანელი ჯარისკაცია, რომლებიც თანამედროვე ამერიკული სამხედრო იარაღით არიან აღჭურვილნი. გარდა ამისა, ტაივანზე შეჭრა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის უკმაყოფილებას გამოიწვევს, ამიტომ ჩინელები ჯერჯერობით ტაივანისკენ მხოლოდ სასწავლო რაკეტების გაშვებას სჯერდებიან.

## II ადგილი
## ამერიკის შეერთებული შტატები

*პირადი შემადგენლობა:* 1433600.

*დამრტყმელი ძალა:* 550 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა 2000 თვითდამიზნებადი ატომური ქობინით (ფრენის სიშორე 13000 კილომეტრი), 14 სარაკეტო Ohio-ს კლასის ატომური წყალქვეშა ნავი, რომლებზეც 425 Trident-ის ტიპის რაკეტაა მოთავსებული, ეს კი დამატებით 2125 ბირთვული მუხტია (ფრენის სიშორე 8000კმ). არ უნდა დაგვავიწყდეს 207 სტრატეგიული ბომბდამშენიც, რომლებსაც გარდა ჩვეულებრივი ჭურვებისა, ფრთიანი რაკეტების ტრანსპორტირება შეუძლია. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ისეა შექმნილი, რომ ერთდროულად ორი საშუალო ინტენსივობის ლოკალურ კონფლიქტთან გამკლავება ძალუძს. საჭიროების შემთხვევაში თითქმის მილიონ-ნახევარ ჯარისკაცს 1000000 რეზერვისტი მიემატება. სახმელეთო ჯარებში 502000, სამხედრო-საჰაერო ძალებში – 380000, სამხედრო-საზღვაო ფლოტში კი 552000 ჯარისკაცი მსახურობს. კიდევ 171300 საზღვაო-ქვეითთა რიგებში ირიცხება. აშშ-ის ფლოტს სიძლიერით დღეს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება.

აშშ-ს 12 დამრტყმელი ძალის ავიამზიდი (მათგან 9 ატომური), 14 სტრატეგიული რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავი და 54 საერთო დანიშნულების ატომური წყალქვეშა სუბმარინა აქვს. გარდა ამისა, 56 საესკადრო კრეისერი და 44 დიდი სადესანტო ხომალდი (მათგან 12 შეიარაღებულია ვერტიკალური აფრენის Harrier-ის ტიპის თვითმფრინავებითა და სამხედრო შვეულმფრენებით), სამხედრო ხომალდების საერთო რაოდენობა კი ათასს აღწევს.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* ამერიკელი მეომრების კომფორტის სიყვარული არაერთხელ გამხდარა დაცინვისა და ქილიკის საგანი – ერაყის უდაბნოშიც კი არ შეუძლიათ ბიოტუალეტებისა და პროფესიონალი მზარეულების გარეშე. მათ კომფორტს უამრავი კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომლებიც ყოველთვის ვერ დაიკვეხ-



ზალპი მთელი ბორტიდან USS Iowa

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიან კეთილსინდისიერებით. კანონის თანახმად, კონტრაქტორები მხოლოდ ამერიკის მოქალაქეები უნდა იყვნენ — უცხოელებს არ აქვთ უფლება, პენტაგონის ხარჯზე გაისქელონ ჯიბეები.

კიდევ ერთი დაცინვის ობიექტი ჯარისკაცების აუცილებელი დაზღვევაა. ხელშეკრულება ისეა შედგენილი, რომ ნებისმიერ ამინდში მებრძოლებს თან უნდა ჰქონდეთ მთლიანი საბრძოლო კომპლექტი, რომელიც 50 კილოგრამზე მეტს იწონის.

ყოველივეს მიუხედავად, ამერიკელი ჯარისკაცები პროფესიონალები არიან. მცირე ზომის ქვედანაყოფებსაც კი შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, რაც თითოეული ჯარისკაცის მრავალსაფეხურიანი მომზადების დამსახურებაა. გარდა ამისა, დიდი უფლებამოსილება აქვს უმცროს მეთაურთა შემადგენლობას — შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის არმიას სერჟანტები მეთაურობენ. სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას ოცეულის მეთაურსა და ათეულის მეთაურსაც კი უფლება აქვთ დასახმარებლად ავიაცია გამოიძახონ.

აშშ-ის არმიის ნაკლად ოპონენტები (ძირითადად რუსები) იმ გარემოებას თვლიან, რომ უკიდურესადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე. მაგალითად, 1993 წელს, სომალის კამპანიისას, ტელევიზიით აჩვენეს, როგორ დაათრევდნენ აფრიკელები ამერიკელი პილოტის დასახიჩრებულ გვამს მოგადიშოს ქუჩებში. პრეზიდენტმა კლინტონმა გაითვალისწინა აღშფოთებული საზოგადოების აზრი და სომალიდან ჯარების გამოყვანის ბრძანება გასცა.

პენტაგონში სულ უფრო პოპულარული ხდება „უკონტაქტო ომის“ იდეა. ამერიკელმა სტრატეგებმა დაამუშავეს ე. წ. „რევოლუციური ტრანსფორმაციებისა“ და „გლობალური დომინირების“ თეორიები, რომელთა თანახმად, მთელ პლანეტაზე უნდა განლაგდეს სტრატეგიული დარტყმის სისტემა. ამიტომაა, რომ ამერიკელები მსოფლიოს რაც შეიძლება მეტ რეგიონსა და ქვეყანაში ცდილობენ ფეხის მოკიდებას. დღეისთვის აშშ-ს ფარგლებს გარეთ 400000 ამერიკელი ჯარისკაცია განლაგებული, მათი სამხედრო ბაზები კი ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული.

*პრეტენზიები:* ბევრი არაფერი — დომინირება მთელ მსოფლიოზე.



არსებული შიდა კონფლიქტების მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ძალების სტრუქტურა და ორგანიზაცია კვლავ „ევროპის დაპყრობისა“ და კალიფორნიაში დესანტის გადასხმის მითებით ერთობა

### III ადგილი

## რუსეთი

*პირადი შემადგენლობა:* 1200000.

*დამრტყმელი ძალები:* ხმელეთზე განლაგებული 496 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა 1770 ბირთვული ქობინით (226 შახტური ბაზირებისა და 270 მობილური კომპლექსი PC-12M „ტოპოლი“), 12 ატომური წყალქვეშა ნავი 376 რაკეტით და 1200 ატომური ქობინით (ფრენის სიშორე 6000-10000 კილომეტრი) და „ბირთვული ტრიადის“ ბოლო კომპონენტი — 78 სტრატეგიული დანიშნულების თვითმფრინავი.

არმიის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერ ხერხდება. ამიტომ მოყვანილი ციფრები ზედმიწევნით ზუსტი არ არის. ოფიციალურად შემდეგი ციფრები სახელდება: სახმელეთო ჯარებში 360000 ჯარისკაცი (22000 ტანკი. ამერიკელებს 7620 ტანკი აქვთ), სამხედრო-საჰაერო ძალებში — 186600 (1630 სამხედრო თვითმფრინავი, ამერიკელების სამხედრო ავიაციის 3600-სა და საზღვაო ავიაციის 1700 ერთეულის წინააღმდეგ), საზღვაო ფლოტში კი 155000 კაცი მსახურობს.

რუსებს აქვთ 12 ერთეული ატომური წყალქვეშა რაკეტმზიდი, 15 საერთო დანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი, 1 ავიამზიდი (40 თვითმფრინავი) 18 სარაკეტო საესკადრო კრეისერი. სამხედრო ხომალდების საერთო რაოდენობა 400 ერთეულს შეადგენს.

განსაკუთრებული თავისებურებანი: მიუხედავად უაპელაციო განცხადებებისა, რომ რუსეთის არმია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ნახევრად დაშლილია, მას მსოფლიოში ანგარიშს მაინც უწევენ. 1979 წლიდან ჯერ საბჭოთა არმია და შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე, ფაქტობრივად, არ გამოსულა საომარი მდგომარეობიდან — ავღანეთი, ანგოლა, იემენი, ეთიოპია, ყარაბაღი, ბალტიისპირეთი, ტაჯიკეთი, საქართველო (სამაჩაბლო და აფხაზეთი), ჩეჩნეთი, კოსოვო და კვლავ ჩეჩნეთი.

მიუხედავად წვრილმანი კონფლიქტებისა, სამხედრო ძალების სტრუქტურა და ორგანიზაცია კვლავ „ევროპის დაპყრობისა“ და კალიფორნიაში დესანტის გადასხმის მითებით ერთობა, ამ დროს კი ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა ჯარისკაცებისა და დაბალი რანგის ოფიცრების მხრებზე გადადის. ამავდროულად რუსები ცდილობენ, რომ თავიანთი სამხედრო ძლიერება საბჭოთა იმპერიის შესაკონწე-



მეტწილად „ტუპოი“ გენერალიტეტის მიუხედავად რუსი ჯარისკაცები ძლიერ სამხედრო ძალად ითვლებიან



რუსი გენერლების (მარჯვნივ) მთავარ კოზირად „ინტელექტუალურ გამომეტყველებას“ დავასახელებდით...



დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ ინდოეთ-პაკისტანს შორის სასაზღვრო დაპირისპირება იწყება, ხანდახან შეიარაღებული შეტაკებებიც ხდება...



დღემდე ინდოეთის შეიარაღებული ძალები მსოფლიოში სერიოზულ ძალად არავის მიუჩნევია...

ბლად გამოიყენონ.

საბჭოთა პერიოდიდან რუსეთის არმიამ მემკვიდრეობად ძველი იარაღის მთები, სავალდებულო-სამხედრო სამსახური და უნიკალური სამხედრო სკოლა მიიღო. დღეს რუსულ არმიაში ვინ ვის ემორჩილება, ძნელად გასარკვევია. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში არმიის გარდა ათეულობით სამხედრო ორგანიზაცია არსებობს (საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, უშიშროების ფედერალური სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) თავიანთი შტაბებით, უნიფორმებით, გენერლებითა და სხვა ატრიბუტებით, მათი შემყურე უცხოელი ჯაშუშების ცოდვით დაიწვება კაცი.

გავრცელებული აზრია, რომ რუსული არმია ბრძოლის დროს გამომგონებლობითა და მოქმედების მოქნილობით გამოირჩევა. თუმცა ეს უფრო ალჭურვილობის სიმწირითაა გამოწვეული ვიდრე სამხედროების ნიჭიერებით. ფართოდ გამოიყენება ჯავშანტექნიკა და ტაქტიკური დესანტი. ფაქტობრივად, სახმელეთო ძალების მოქმედებები ყოველთვის არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით მიმდინარეობს. თვალში საცემი უარყოფითი მხარეებია თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებების გამოუყენებლობა და კავშირების საიდუმლოდ წარმართვის შესაძლებლობების უქონლობა.

*პრეტენზიები:* მსოფლიოში მოწინავე სამხედრო სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება, საკუთარი ტერიტორიების გაფართოება (აფხაზეთი, სამაჩაბლო) და დაცვა, დსთ-ის ქვეყნებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სამხედრო დომინირება. NATO-ს გაფართოებისთვის ხელის შეშლა. მოკლედ რომ ვთქვათ, „ჩექმის ინდოეთის ოკეანეში გარეცხვა"...

## ინდოეთი

*პირადი შემადგენლობა:* 1145000.

*დამრტყმელი ძალები:* 50-100 ბალისტიკური რაკეტა მონობლოკური ბირთვული ქობინებით (ფრენის სიშორე 2000 კილომეტრი), სამხედრო-საჰაერო ძალების მინიმალურ რაოდენობას უნდა დავუმატოთ რეზერვისტებიც (528000 ჯარისკაცი) და ტერიტორიული ჯარები (334000 ჯარისკაცი). სახმელეთო ჯარებში 980000 ჯარისკაცი მსახურობს. ინდოეთს აქვს 3400 ტანკი (ძირითადად, მოძველებული T-72.) სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს 140000 ჯარისკაცი. ჰყავს 777 საბრძოლო თვითმფრინავი და 34 სამხედრო შვეულმფრენი. საზღვაო-სამხედრო ძალებში 55000 სამხედრო მოსამსახურე ირიცხება. საზღვაო შეიარაღებაში 17 წყალქვეშა ნავს, 1 ავიამზიდს, 6 საესკადრო კრეისერს, 18 ფრეგატს, 19 კორვეტს, 7 სადესანტო გემს და 28 დამხმარე ხომალდს ითვლიან. საზღვაო ავიაციაში 68 საბრძოლო თვითმფრინავი და 83 სამხედრო შვეულმფრენი ირიცხება. საზღვაო კორპუსში 10000 ჯარისკაცი მსახურობს.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* დღემდე ინდოეთის შეიარაღებული ძალები მსოფლიოში სერიოზულ ძალად არავის მიუჩნევია. მიუხედავად ამისა, ინდოელები ჯიუტად მიისწრაფვიან აზიის რეგიონში სამხედრო დომინირებისაკენ და ამ მიზნის მისაღწევად წელიწადში 90 მილიარდ დოლარს ხარჯავენ.

დაახლოებით ათ წელიწადში ერთხელ ინდოეთ-პაკისტანს შორის დაპირისპირება იწყება, ზოგჯერ საქმე ატომური იარაღის გამოცდით თავდება, მაგრამ ხანდახან შეიარაღებული შეტაკებებიც ხდება (როგორც 2002 წელს). მუდმივად ომის მოლოდინში მყოფი ინდოეთი დიდი რაოდენობის იარაღს ყიდულობს.

ინდური არმია ინგლისური სამხედრო სკოლისა და ინდური ტრადიციების უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს. სამწყობრო ნაბიჯი, წოდებები და ბრძანებები მემკვიდრეობად ბრიტანეთისგან ერგოთ. კასტურობა, ჩალმები და სამოქალაქო მოსახლეობისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება წმინდა ინდური ტრადიციებია.

პრეტენზიები: სამხრეთ აზიაში დომინირება, შრი-ლანკის კონტინენტური შელფის კონტროლი, სასაზღვრო დავები ჩინეთსა და პაკისტანთან.



ინდური არმია ინგლისური სამხედრო სკოლისა და ინდური ტრადიციების უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს.





ბრაზილიას სასაზღვრო კონფლიქტები აქვს, განსაკუთრებით ურუგვაისთან, მაგრამ არმიას უფრო ხშირად ნარკოტრაფიკთან ბრძოლისთვის, მონებით ვაჭრობის ბაზებისა და მეკობრეთა ბანდების ლიკვიდაციისთვის იყენებენ, თუმცა როგორც მარცხენა ფოტოზე ჩანს, თავისუფალი დრო მაინც ბლომად რჩებათ...



## ბრაზილია

*პირადი შემადგენლობა:* 296000.

*დამრტყმელი ძალები:* 100 ტაქტიკური რაკეტა X-20 (ფრენის სიშორე – 20 კილომეტრი) და X-40 (ფრენის სიშორე – 40 კილომეტრი). აქვს მზვერავი თანამგზავრი. არსებობს ეჭვი, რომ საიდუმლოდ მუშაობს ბირთვული იარაღის შესაქმნელად.

სახმელეთო ჯარებში 183000 კაცი და 700 ტანკი (უმთავრესად ბრაზილიის, აშშ-ისა და გფრ-ის წარმოებისა), სამხედრო-საჰაერო ძალებში 700 თვითმფრინავი (მათგან 230 საბრძოლო) და 6 საბრძოლო შვეულმფრენი ირიცხება. სამხედრო-საზღვაო ძალებში 49700 სამხედრო მოსამსახურე და 160 ხომალდია, მათ შორის 8 წყალქვეშა ნავი და 6 სარაკეტო საესკადრო კრეისერი.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* ბრაზილიის არმია რიცხოვნობის მიხედვით მეხუთეა მსოფლიოში და სამხრეთ ამერიკაში ყველაზე ძლიერად ითვლება, რის გამოც ქვეყანას „დიდი სახელმწიფოს" სტატუსის პრეტენზია აქვს.

ბრაზილიაში სამხედრო-სავალდებულო სამსახურის კანონი მოქმედებს. ახალგაზრდები ჯარში დიდი ხალისით მიდიან, რადგან სამხედრო სამსახური მათ დროებით ათავისუფლებს სიღატაკისგან, მით უმეტეს, რომ სამსახურს, რომლის ვადაც მხოლოდ 10 თვეა, იმავე რეგიონში გადიან, სადაც ცხოვრობენ.

ბრაზილიის სამხედრო მრეწველობას თანამედროვე ტანკების წარმოება შეუძლია, მაგრამ თავიანთი ნახელავით არმიას არ აიარაღებენ, მთელი პროდუქცია არაბულ ქვეყნებში იყიდება. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ფასია და ბრაზილიელი სამხედრო მოხელეები დღეს იმაზე ფიქრობენ, ხომ არ აჯობებდა უფრო იაფფასიანი T-72-ები შეეძინათ.

სამხრეთ ამერიკა შორიდან წყნარ და მშვიდობისმოყვარე კონტინენტად მოჩანს, მაგრამ საკამათო და დასაპირისპირებელი საკმაო მიზეზი არსებობს. ბრაზილიას არაერთხელ ჰქონია სასაზღვრო კონფლიქტები, განსაკუთრებით ურუგვაისთან, მაგრამ არმიას უფრო ხშირად საშინაო პრობლემების გადასაწყვეტად იყენებენ – მაგალითად, ნარკოტრაფიკთან ბრძოლა, მონებით ვაჭრობის ბაზებისა და მეკობრეთა ბანდების ლიკვიდაცია. ამის გამო არმიის სტრუქტურაში სპეცსამსახურების მრავალი ჯგუფი ირიცხება. ისინი, ძირითადად, შვეულმფრენებითა და კატარღებით არიან აღჭურვილნი. ზოგჯერ მათ სათვალთვალო თვითმფრინავები და მსუბუქი მოიერიშეები ეხმარებიან, რომლებსაც კონტრპარტიზანულ ავიაციას უწოდებენ.



ინდური და ...



...ფრანგული ტრადიციები





**ბირთვული იარაღის რაოდენობა ფრანგებმა ბოლო წლებში საგრძნობლად შეამცირეს და მხოლოდ იმისთვის დაიტოვეს, რომ ვინმემ „შანტაჟი“ არ გაუბედოს. რაც შეეხება ლოკალურ კონფლიქტებს, ამისთვის 30000 მომზადებული სამხედრო ჰყავთ, რომელთა შორისაც ცნობილი უცხოური ლეგიონი ერთ-ერთი წარჩინებულია...**

ბრაზილიელი ჯარისკაცები ვალდებულნი არიან, გაიარონ ველურ ბუნებაში გაძლებისა და გადარჩენის კურსი, მათ ასწავლიან ჯუნგლებში მცენარეულისა და გარეული ცხოველების ხორცის საკვებად გამოყენების ხერხებს. ხელჩართული ბრძოლის ილეთებს კაპოიერის მიხედვით ასწავლიან. ეს უკანასკნელი იგივე კარატეა, ოღონდ ბრაზილიური.

*პრეტენზიები:* საზღვაო შელფის ნავთობი და გაზი, სასაზღვრო პრეტენზიები მეზობელ სახელმწიფოებთან.

## საფრანგეთი

*პირადი შემადგენლობა:* 244000.

*დამრტყმელი ძალები:* საფრანგეთის ბირთვული კოზირი 4 ატომური წყალქვეშა სარაკეტო გემი „ტრიუმფია“ (აღჭურვილები არიან 64 რაკეტით, რომელთაგან თითოეულს 6 ბირთვული ქობინი აქვს. ფრენის სიშორე 5300 კილომეტრი). საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში ირიცხება 50 ერთეული ბომბდამშენი „Mirage-2000“, საგემბანო ბაზირების 40 თვითმფრინავი „სუპერ ეტანდარი“ და „რაფალი“, რომლებსაც ბირთვული რაკეტა ASMP-ს ტრანსპორტირება შეუძლიათ (ფრენის სიშორე 300 კმ).

სახმელეთო ჯარებში 136000 ჯარისკაცი მსახურობს, ჰყავს 809 ტანკი (311 თანამედროვე „ლე კლერკი“ და 498 მოძველებული AMX-30). აქვეა მიწერილი სწრაფი რეაგირების დივიზია „მარინიც“ (14700 ჯარისკაცი), რომელშიც შედის მსოფლიოში სახელგანთქმული საფრანგეთის უცხოური ლეგიონი (8000 ჯარისკაცი). საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში 63000 კაცი მსახურობს, ჰყავთ 473 საბრძოლო თვითმფრინავი. სამხედრო-საზღვაო ძალებში ირიცხება 45000 მეზღვაური, ჰყავთ 4 ატომური წყალქვეშა ნავი და 1 ატომური ავიამზიდი (40 თვითმფრინავი). საზღვაო ავიაცია დაკომპლექტებულია 126 თვითმფრინავითა და 110 შვეულმფრენით. საზღვაო ქვეითთა კორპუსში (2000 მეზღვაური) შედის კომანდოსების 4 და მეომარ-მოცურავეთა 1 ჯგუფი.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* საფრანგეთის არმია დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერად ითვლება. იგი კარგად არის შეიარაღებული. თუმცა ბირთვული იარაღის რაოდენობა ბოლო წლებში საგრძნობლად შეამცირეს და მხოლოდ იმისთვის დაიტოვეს, რომ რომელიმე ქვეყანამ „ბირთვული შანტაჟი“ არ გაბედოს. რაც შეეხება ლოკალურ კონფლიქტებს, ისინი საფრანგეთისთვის უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ფრანგებს მუდმივ მზადყოფნაში ჰყავთ 30-ათასიანი კონტინგენტი, რომლის ბრძოლაში ჩართვაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ. რომელიმე ბანანის რესპუბლიკაში მორიგი გადატრიალებისას, როგორც წესი, სწორედ ფრანგები ამყარებენ წესრიგს.

საფრანგეთის არმიაში საოცრადაა შერწყმული მშვიდობიანობის დროს ზნეკეთილობა და ზღვარგადასული სისასტიკე ომისას. ინდოჩინეთსა და ალჟირში ფრანგების ულირს საქციელზე დღესაც ლეგენდებს ჰყვებიან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ყოფაში ისინი ჩვეულებრივი ევროპელი სამხედროები არიან – სამსახურში 18 საათსა და 00 წუთამდე არიან, შემდეგ კი ყველა შინ მიდის.





**ბრიტანელები ცდილობენ არმია თანამედროვე იარაღით აღჭურვონ, ამცირებენ ჩვეულებრივ სამხედრო ფორმირებებს და ზრდიან მაღალტექნოლოგიური რიცხვს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



NATO-ს გამოკვლევით მომარაგების მხრივ ბრიტანეთის არმია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია

პრობლემა ის არის, რომ ფრანგები სამხედრო სამსახურს არ ეტანებიან. სწორედ ამან აიძულა ხელისუფლება 1997 წელს ჯარისკაცთა რაოდენობა 500000-დან 244000-მდე შეემცირებინა. გარდა ამისა, კოლონიური წარსულისგან საფრანგეთმა მემკვიდრეობად მრავალი დაშორებული ტერიტორია და პროტექტორატი მიიღო, რომელთა საშინაო საქმეებშიც აქტიური მონაწილეობა სურთ. გასაკვირი არაა, რომ რესპუბლიკაში კვლავ ყვავის უცხოური ლეგიონი, მას ხომ დიდი ხნის სასახელო ისტორია აქვს. სწორედ ეს ლეგიონი წყვეტს ძირითად სამხედრო ამოცანებს. მათი 10 პოლკი მუდმივად არის განლაგებული ყველაზე პრობლემურ რეგიონებში: გაბონში, ჩადში, კოსოვოში და ა.შ. დღევანდელი უცხოური ლეგიონის მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც არიან.

*პრეტენზიები:* მსოფლიოში მოწინავე სამხედრო სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა; ლათინურ ამერიკაში, ატლანტისა და წყნარი ოკეანეების რეგიონში არსებული ტერიტორიების კონტროლი და მესამე ქვეყნების საქმეებში შესაძლებელი ჩარევა.

## დიდი ბრიტანეთი

*ჯარის რაოდენობა:* 200000.

*დამრტყმელი ძალები:* 3 ატომური წყალქვეშა,სარაკეტო Vanguard-ის ტიპის ნავი, რომელზეც 64 ბალისტიკური Trident DC რაკეტაა მოთავსებული. თითოეული მათგანი აღჭურვილია 6 ბირთვული ქობინით, რომლებიც ინგლისშია დამზადებული.

სახმელეთო ჯარებში 102500 კაცი ირიცხება. ჰყავთ 543 ტანკი. სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს 48500 ჯარისკაცი, ჰყავთ 415 საომარი თვითმფრინავი. სამხედრო ფლოტში მსახურობს 37500 მეზღვაური. ხომალდები: 3 Invisible-ტიპის ავიამზიდი (9-12 შვეულმფრენითა და 30 თვითმფრინავით Hurrier), 4 წყალქვეშა ატომური რაკეტმზიდი. 12 საერთო დანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი, 1 შვეულმფრენმზიდი (30 შვეულმფრენი), 11 სარაკეტო საესკადრო კრეისერი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაცია: 159 თვითმფრინავი და 160 შვეულმფრენი.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* დიდი იმპერიის აჩრდილი, რომელშიც „მზე არასოდეს ჩადიოდა", მოსვენებას არ აძლევს ბრიტანელებს, ამიტომაც არის, რომ ინგლისელები თავიანთ მთავარ და დიდ მოკავშირესთან ერთად ყველა მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში ერევიან, მაგრამ დამოუკიდებლად, აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე იარაღის გამოყენებას არ აპირებენ. უკანასკნელად ბრიტანეთის არმიამ სამხედრო მოქმედებები ფოლკლენდის კუნძულებზე აწარმოა და სხვადასხვა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზის გამო საკმაოდ გაუჭირდა გამარჯვება. როდესაც 1983 წელს ჩინელებმა ჰონკონგის დაბრუნება მოითხოვეს, მარგარეტ ტეტჩერმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ბრიტანეთს ბირთვული იარა-



ისრაელში სავალდებულო-სამხედრო სამსახურის კანონი ყველასთვის მოქმედებს. კაცები 3 წელიწადს მსახურობენ, ქალები — 21 თვეს



როგორც ამბობენ, „შეშინებულ ებრაელზე მამაცი ჯარისკაცი არ არსებობს"



ლი აქვს და არ სურს ჰონკონგის დათმობა. ჩინელებმაც არ დაიხიეს უკან და პრემიერ-მინისტრს უპასუხეს, ჩინეთი არგენტინა არ არის და ბირთვული იარაღი მასაც აქვსო. ახლა ჰონკონგი ჩინეთისაა. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს...

ბრიტანელები ცდილობენ არმია თანამედროვე იარაღით აღჭურვონ, ამცირებენ ჩვეულებრივ სამხედრო ფორმირებებს და ზრდიან მაღალტექნოლოგიური თვითმფრინავებისა და წყალქვეშა ნავების რიცხვს. აპირებენ რამდენიმე თანამედროვე ავიამზიდის აშენებასაც. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ბრიტანული სპეცდანიშნულების რაზმები მსოფლიოში საუკეთესოები არიან. სამაგიეროდ NATO-ს სპეციალისტების გამოკვლევით მომარაგების მხრივ ბრიტანეთის არმია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია (მოგეხსენებათ ყველაფერი შედარებითია). ინგლისელები მუდმივად წუწუნებენ საკვებისა და უნიფორმის ცუდი ხარისხის გამო. უარყოფითად მოქმედებს ტრადიციებიც. მაგალითად, ისტორიულად ჩამოყალიბდა აზრი, რომ ბრიტანულ არმიაში სასჯელი უაზრო უნდა იყოს, ჯარისკაცს დაკარგული დრო რომ დაენანოს. ყველაზე გავრცელებული სასჯელი უზარმაზარი ბორბლის გადაბრუნებაა.

*პრეტენზიები:* მსოფლიოსა და NATO-ში მოწინავე სამხედრო სახელმწიფოს სტატუსისა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობის შენარჩუნება. ბრიტანეთის მეგობარი ქვეყნების (ფაქტობრივად, ყველა ყოფილი კოლონია) დახმარება.

## ისრაელი

*პირადი შემადგენლობა:* 167600.

*დამრტყმელი ძალები:* ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების 20 გასაშვები აგრეგატი (ფრენის სიშორე 2000 კილომეტრამდე). შესაძლებელია ჰქონდეს ატომური იარაღი. აქვს ჯაშუში თანამგზავრი.

სახმელეთო ჯარებში 130000 ჯარისკაცი (9 დივიზიიდან 5 ჯავშანსატანკოა 3800 ტანკი), სამხედრო-საჰაერო და კოსმოსურ ძალებში კი 30000 კაცი მსახურობს, ჰყავს 583 საბრძოლო თვითმფრინავი, 95 საბრძოლო შვეულმფრენი და 100 უპილოტო საფრენი აპარატი. სამხედრო-საზღვაო ძალებში 7000 მეომარი ირიცხება, რომლებსაც 56 საბრძოლო ხომალდი და კატარღა ემსახურება. რეზერვისტების რიცხვი, რომლის გამოძახებაც ისრაელის ხელისუფლებას ნებისმიერ დროს შეუძლია, 530000-ს შეადგენს.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* როგორც გასული საუკუნის სამოციან წლებში ხუმრობდნენ, „შეშინებულ ებრაელზე მამაცი ჯარისკაცი არ არსებობს“. ნებსით თუ უნებლიეთ, ისრაელს მთელ ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი არმიის შექმნა მოუწია. ქვეყანაში სავალდებულო-სამხედრო სამსახურის კანონი ყველასთვის მოქმედებს.



**საუდის არაბეთის ხელისუფლება ხარჯებს არ ეპუება და საკუთარ არსენალს მსოფლიოს საუკეთესო იარაღით ავსებს**

კაცები 3 წელიწადს მსახურობენ, ქალები – 21 თვეს. ყველა ახალბედა ჯარისკაცი მეომრის მრავალსაფეხურიან კურსს გადის, რის შემდეგაც მათ სამსახურის ადგილებზე ანაწილებენ. ყველაზე პრესტიჟული ჯავშანსატანკო და საავიაციო ნაწილებია. ებრაელებმა უარი თქვეს ავტომატების ხიშტებზე (ვითომ სანამ ლულაზე ხიშტს წამოვაგებ, ვიღაცას ვატაკებ და მერე უკან გამოვაძრობ, ამ დროში მტერს ასჯერ შეუძლია მომკლასო), სამაგიეროდ ავტომატ „გალილ“-ზე საგანგებოდ აქვთ დაყენებული ბოთლის გასახსნელი. ავტომატი ჯარისკაცის განუშორებელი ატრიბუტია. იგი მას შვებულებაში ყოფნის დროსაც თან მიაქვს, რადგან ისრაელელი პატრიოტი მტრის მოსაგერიებლად ყოველთვის მზად უნდა იყოს.

ისრაელი ერთ-ერთი სახელმწიფოა მესამე რიგის ქვეყნებიდან, რომელიც თავად ქმნის და აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ თანამედროვე იარაღს. ისრაელში შექმნილი რაკეტები, თვითმფრინავები და ტანკები მხოლოდ და მხოლოდ სინაის უდაბნოში გამოსაყენებლად არის გათვლილი.

*პრეტენზიები:* ისრაელის სახელმწიფოს შენარჩუნება, პალესტინისა და სამხრეთ ლიბანის ტერიტორიების კონტროლი, არაბულ სახელმწიფოებისგან მოსალოდნელი აგრესიების მოგერიება.

## საუდის არაბეთი

*პირადი შემადგენლობა:* 105500.

*დამრტყმელი ძალები:* ჩინური წარმოების DF-3A რაკეტების 12 გასაშვები დანადგარი (ფრენის სიშორე 2000 კილომეტრამდე). სახმელეთო ჯარებში მსახურობს 70000 ჯარისკაცი. ჰყავთ 1055 ტანკი (მათ შორის 700 „აბრამსი“). სამხედრო-საჰაერო ძალებში 18000 კაცი მსახურობს (დამატებით საჰაერო თავდაცვაში 4000), ჰყავს 450 სამხედრო თვითმფრინავი, 120 საბრძოლო შვეულმფრენი და სარაკეტო კომპლექს პატრიოტ-ის 160 გასაშვები დანადგარი. სამხედრო-საზღვაო ძალებში ირიცხება 13500 მეზღვაური, რომელთა განკარგულებაშია 5 საესკადრო კრეისერი, 13 სარაკეტო, 57 საპატრულო კატარღები და 50 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა, 77000 საუდელი არაბი ეროვნულ გვარდიაში მსახურობს, 10500 კი სასაზღვრო დაცვის ნაწილებში.

*განსაკუთრებული თავისებურებანი:* ეს არის მსოფლიოში ყველაზე უზრუნველყოფილი არმია. მისი წლიური ბიუჯეტი 27,2 მილიარდი დოლარია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აწარმოა საომარი მოქმედებები (ერაყის წინააღმდეგ 1991 წელი), ქვეყნის ხელისუფლება ცდას არ აკლებს, რომ არსენალი მსოფლიოს საუკეთესო იარაღით შეავსოს.

საუდის არაბეთის არმიაში შარიათის კანონები მოქმედებს, ამიტომ დანაშაულისთვის სასჯელიც შესატყვისია, რაც თავისთავად უმკაცრეს წესრიგს განაპირობებს. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს საკმაოდ კარგი ხელფასი აქვთ. ესეც წესრიგის ერთ-ერთი ფაქტორია. ულტრათანამედროვე ძვირად ღირებული სამხედრო ტექნიკის ათვისებას საუდელები არ ჩქარობენ — მათი უდიდესი ნაწილი ხელუხლებლად აწყვია სამხედრო საწყობებში.

*პრეტენზიები:* არაბულ სამყაროში სამხედრო დომინირება, ნავთობისა და გაზის მარაგის დაცვა, მთელ მსოფლიოში ვაჰაბიზმის მომხრეთა დახმარება (ვაჰაბიზმი საუდის არაბეთის სახელმწიფო რელიგიაა); ისრაელის სახელმწიფოს განადგურება-მოსპობა.

# დადიანების „ოქროს ალბომის" კავკასიური სახეები

**1857 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თავისი კორონაციის დღეს სამეგრელოს უფლისწულს საჩუქრად ოქროს ალბომი გადასცა. რუსეთის იმპერატორის ძღვენი უნიკალური იყო, რადგან იგი მთელი კავკასიის ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა თუ ისტორიულ პირთა ნახატებით იყო სავსე. ყველა ნამუშევარს ცნობილი მხატვრის ხელმოწერა ამშვენებდა.**

ასეთი საჩუქარი შემთხვევითი არ იყო, ნიკო დადიანი ხომ ბავშვობიდანვე დიდი სამხედრო კარიერისათვის ემზადებოდა, გარდა ამისა, მისმა წინაპრებმა კავკასიის ფრონტზე რუსეთის ერთგულების ნიშნად ბევრჯერ ისახელეს თავი.

დადიანების სასახლეში დღემდე ინახება კავკასიის ომის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე სრული და შთამბეჭდავი სამხედრო არქივი, რაც იმას ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავრები ჩრდილოეთ კავკასიაში თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ და ამ მიზნით იმპერიის შეიარაღებულ ძალებს ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ.

ჯერ კიდევ 1830 წელს კარლ ჰესსე ლევან დადიანს შემდეგი შინაარსის საიდუმლო წერილს სწერდა: „უმორჩილესად გთხოვთ მე, ვითარცა შეიძლება, (მაცნობოთ) განწვლილებით, რა გზებითა (შეიძლება გასვლა) თქუენს სამთავროზე კაბარდოს, ეკატერინოგრადს, ქვის ხიდებისაკენ ყუბანზე და მალვას, ვითარ მდგომარეობაში არიან იგინი, თუ შეუძლიათ მათზე გასვლა ჯართა და თოფხანასა. გარემოება ესე უნდა იყოს დაცული ულრმესსა საიდუმლოსა შინა".

ცხადია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს სამეგრელოს მთავრები გულგრილად ვერ უყურებდნენ, რადგან იქ განვითარებული პროცესები მათ სამთავროზეც აისახებოდა — აფხაზები და ჩრდილოკავკასიელი ბეგები ხომ სამთავროს მუდმივად არბევდნენ. ამიტომ ზუგდიდის სასახლე ხშირად პრორუსული ორიენტაციის კავკასიელ ხანებს მასპინძლობდა, აქვე არაერთხელ დაგეგმილა შამილის საწინააღმდეგო საბრძოლო ოპერაციები. ამიტომ ზუგდიდში დაცული სამხედრო კანცელარია უნიკალურია და სწორედ მისი შემადგენელი ნაწილი გახლავთ ზემოხსენებული ოქროს ალბომი, რომელიც დღემდე შეუსწავლელ ხელოვნების ბევრ ნიმუშს შეიცავს. ამჯერად ყურადღებას რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ.

ყველაზე გამორჩეული ერთ-ერთი პორტრეტია — მასზე თეთრ ცხენზე ამხედრებული წარმოსადეგი ახალგაზრდა ასახული, მას მკლავზე მიმინო აზის (სწორედ ამიტომაც მოგვიანებით ნახატზე მცდარი წარწერა გაუკეთებიათ „იბრაჰიმ ხანი მიმინოთი ნადირობის დროს"). მისი ვინაობა აქამდე უცნობი იყო, თუმცა მუზეუმის დამაარსებლის აკაკი ჭანტურიას აქტების შესწავლის შემდეგ ბევრ საკითხს სინათლე მოეფინა. კერძოდ, პორტრეტის აღწერილობის შემდეგ მითითებულია: „მუჰამედ ამინი, ნახატი ჯერ ჩარჩოში ყოფილა, შემდეგ იგი ალბომში ჩაუდვიათ, მინაწერი კი დაკარგულა". (დსგფმ. ჭ.ს №28. გვ.12).

*ასე რომ, საქართველოში შამილის ყველაზე ცნობილი ნაიბის ერთადერთი და დღემდე უცნობი პორტრეტი აღმოჩნდა, მას ექსკლუზიურად პირველად „არსენალის" მკითხველისთვის ვაქვეყნებთ.*

მუჰამედ ამინი კავკასიური ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მთავარსარდალია. იმპერატორის გენერალი და კარის ის-



მუჰამედ ამინი



იუსუფ-ბეგი



1



2



3



4

ტორიკოსი, ნიკოლოზ კარლჰოფი, რომელსაც შამილის თანამებრძოლისადმი არანაირი სიმპათია არ ჰქონდა, საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამინს როგორც გამორჩეულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ისე უნდა ვაფასებდეთ“. მუჰამედი ყაზიყუმუხელი ხანების შთამომავალი იყო. შამილის მურიდი 17 წლის ასაკში გახდა, განათლება ცნობილი დაღესტნელი ალიმისგან, აბდურაჰმან სოგრატლინელისგან მიიღო. ბრძოლებს თუ მოლაპარაკებებს იმდენად მამაცურად და გონივრულად წარმართავდა, რომ შამილი მასზე დიდ იმედს ამყარებდა.

1853 წლის ივლისში მუჰამედ ამინმა 10 ათასზე მეტ ქვეითს მოუყარა თავი და ისინი ყარაჩაისკენ დაძრა. ამინი ყარაჩაის დაპყრობის შემდეგ ყაბარდოზე შეტევას გეგმავდა. ამ აქციის მიზანი კავკასიის მეორე მხარეს მდებარე შამილის ნაწილებთან შეერთება იყო, მაგრამ ყარაჩაელებმა ამინს გზა გადაუკეტეს და რუსებს დახმარება სთხოვეს.

მუჰამედმა რაზმს მიმართულება შეუცვალა და ბელორეჩენსკის გავლით ზღვის პირისკენ გაჭრა სცადა, მაგრამ ეს ცდაც დამარცხებით დამთავრდა.

გულხელდაკრეფილი არც შამილი იყო. მან 15 ათასამდე მთიელი შეკრიბა და 10 აგვისტოს ვედენოდან ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგისაკენ წავიდა. 24 აგვისტოს ის ჯარის ოლქის, მაშინ უკვე ზაქათალის რაიონში გამოჩნდა, სადაც რუსეთის ჯარი და ქართული მილიციის ქვეითი რაზმები გენერალ გრიგოლ ორბელიანის სარდლობით შეხვდნენ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ შამილი იძულებული გახდა, უკან დაეხია. მისი ოცნება საქართველოს გავლით თურქეთის სულთნის აბდულმეჯიდის ჯარებს შეერთებოდა, აუხდენელი დარჩა.

1853-54 წლების ზამთარში შამილი და მუჰამედ ამინი ახალი საომარი ოპერაციებისთვის გულდასმით ემზადებოდნენ. ამინის სამიზნე დასავლეთ საქართველოს ქალაქები იყო. ზუგდიდსა და ბათუმში თურქების ჯარების შემოჭრის შემდეგ მთიელები უნდა აჯანყებულიყვნენ და სულთანს შეერთებოდნენ.

თურქეთის სარდლობამ კი ძირითადი და გადამწყვეტი დარტყმის ობიექტად თბილისი აირჩია. ამიტომ შამილსაც თავისი მურიდებით აქეთ უნდა წარემართა შეტევა. რაც შეეხება მუჰამედ ამინს და თურქ სარდალ სეფერ ბეი ზანუყოს (ეს უკანასკნელი ამ დროს დიდი დესანტით სოხუმში გადმოსხდა), ისინი ყარაჩაითა და აფხაზეთით უნდა შემოჭრილიყვნენ დასავლეთ საქართველოში და ზუგდიდის აოხრების შემდეგ იმერეთში თურქეთის არმიის ბათუმის კორპუსს უნდა შეერთებოდნენ. ამ გეგმის მეორე ნაწილს წარმატება არ მოჰყოლია – 1854 წლის ივლისში რუსეთის ჯარებმა მდინარე ჩოლოქზე სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსი დაამარცხეს, ხოლო მუჰამედ ამინმა რუსების წინააღმდეგ ყარაჩაელების აჯანყება ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, კახეთში შამილი შემოიჭრა – მას თბილისზე თავდასხმა ჰქონდა განზრახული. იმამი დარწმუნებული იყო, რომ თურქეთის ჯარები საპირისპირო მხრიდან მხარს აუბამდნენ, მაგრამ ქართველი მეომრებისა და რუსი კაზაკების გმირულმა წინააღმდეგობამ იმამის გეგმები სამუდამოდ ჩაფუშა.

1855 წლის 30 სექტემბერს მუჰამედ ამინი სოხუმში ჩავიდა და თურქ სარდალს ომარ ფაშას 150 ჩერქეზისაგან შემდგარი რაზმი გადასცა. სამეგრელოში შემოჭრის შემდეგ ისინი განსაკუთრებული სისასტიკით ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ომარის არმია რუსმა კაზაკებმა და მეგრული მილიციის ნაწილებმა დედოფალ ეკატერინე დადიანის მთავარსარდლობით სასტიკად დაამარცხეს. ჩრდილოკავკასიელთა ყოველგვარი ცდა, დაემორჩილებინათ საქართველო, უშედეგოდ დამთავრდა. სასახლის სამხედრო არქივს არა მარტო მუჰამედ ამინის უნიკალური სახება შემორჩა. აქვე ინახება 7 კაზაკის მშვენიერი პორტრეტი, რომლებიც სავარაუდოდ სამეგრელოში მსახურობდნენ და მოგვიანებით შამილის ნაიბისა და ომარ ფაშას რეგულარული ნაწილების წინააღმდეგ ზუგდიდის მისადგომებთან იბრძოდნენ (*პორტრეტები პირველად ქვეყნდება*). მათი ავტორი ცნობილი გერმანელი მხატვარი ფრანც კრიუგერია. უცქერით ამ ნამუშევრებს და რწმუნდებით მისი თანამედროვის სიტყვებში: „მან შექმნა განსაკუთრებული მანერა. ის ღია ნაცრისფერ ქაღალდზე დაუჯერებელი სისწრაფით გადმოსცემდა პირთა ხასიათებს. ტანსაცმლის ნაირნაირობას“. კრიუგერის მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი ბერლინის ნაციონალური გალერეის მარგალიტებად ითვლება.

ზუგდიდის პორტრეტებზე წარმოდგენილნი არიან: **„სუნჯის პოლკის კაზაკი თეოდორ ავერდოვი“** (ზსიემ1258, გრფ38), **„ლაბინის 2 პოლკის კაზაკი ანდრეი კოვალევი“** (ზსიემ1255, გრფ35), **„კოპერის 2 პოლკის ურიადნიკი ანდრეი კალაუშინი“** (ზსიემ1257, გრფ37), **„ყუბანის 2 პოლკის კაზაკი დანილო პრიბიტკოვი“** (ზსიემ1259, გრფ39) და სხვები. ყველა პორტრეტი 1851 წელსაა შესრულებული.

ჩრდილოკავკასიელ მმართველებთან დადიანების სამთავრო კარს ბრძოლის გარდა მეგობრობაც აკავშირებდა. სასახლეში დიდი პატივით მასპინძლობდნენ და ეხმარებოდნენ მათ, ვინც შამილის მოწინააღმდეგე იყო. ასეთთა შორის იყო ერთ-ერთი იუსუფ-ბეგ ყურინელი. დღემდე მისი პორტრეტის არსებობა არც კი იყო ცნობილი, თუმცა იგი ოქროს ალბომში აღმოჩნდა.

ძველი კავკასიური ციხის ფონზე თეთრ ულაყზე ამხედრებული წარმოსადეგი ვაჟკაცი ჩანს, რომელიც მთებს გაჰყურებს.

იუსუფ-ბეგი იმპერატორის ამალის გენერალ-მაიორი იყო და რუსების სამსახურში ძმასთან, ჯაბრაილ-ბეგთან ერთად თავი განსაკუთრებით გამოიჩინა. მისი წინაპარი ასლანხანი საქართველოს კარგად იცნობდა, ერთხანს სამეგრელოშიც ცხოვრობდა და ძალაუფლების განსამტკიცებლად, სავარაუდოდ, სამეგრელოს მთავრებისაგან დახმარებასაც ელოდა.

იუსუფი ლეკების მნიშვნელოვან პროვინციას, ყურინს 1847 წლიდან განაგებდა, 1859 წლის 12 ოქტომბერს მას ხანის წოდება მიენიჭა და ერთპიროვნული მმართველი 1864 წლამდე იყო. იგი შამილის ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე გახლდათ.

დადიანების სამხედრო გალერეას პორტრეტების გარდა მეომრების აღჭურვილობაც შემორჩა, მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებითაც ქართველები კავკასიის ომში იბრძოდნენ.

ამჟამად ოქროს ალბომი და დადიანების სამხედრო კოლექცია ისეთ დოკუმენტებსა და ნივთიერ მასალას შეიცავს, რომელთაც კავკასიური ომის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი კალანდია

*„დადიანების სასახლეთა გადარჩენის“ ფონდის თავმჯდომარე*

*ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი*

# წყალქვეშა დივერსიები

**პირველი მსოფლიო ომი მთავრდებოდა, როცა იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტს პაოლუჩისა და მისგან დამოუკიდებლად ინჟინერ-მექანიკოს როზეტის ავსტრიელთა მთავარ საზღვაო ბაზაში, რომელიც პოლაში მდებარეობდა, წყალქვეშ შეღწევისა და სამხედრო ხომალდის ჩაძირვის იდეა დაებადათ.**





1918 წლის დასაწყისში იტალიელი ოფიცრები ერთმანეთს შეხვდნენ და მოკლე დროში მართვადი ტორპედო ააგეს.

სიგარის ფორმისა და 7 მეტრი სიგრძის ტორპედო მოძრაობაში შეკუმშულ ჰაერს მოჰყავდა. სიჩქარე 3,5 კვანძს არ აღემატებოდა. ტორპედოზე წინ მძღოლი, უკან კი მყვინთავი სხდებოდნენ. ეკიპაჟის წევრებს ეცვათ რეზინის კოსტიუმები ჰაერის ჯიბეებით, რომლითაც ცურვადობასა და თავებს წყლის ზედაპირის ზემოთ ინარჩუნებდნენ. ჩაყვინთვა მხოლოდ საშიშროების შემთხვევაში ხდებოდა.

30 ოქტომბერს ვენეციაში იტალიელმა ოფიცრებმა ახალი იარაღი სატორპედო კატარღაზე დატვირთეს და ადრიატიკის გადაცურვის შემდეგ პოლადან 450 მეტრში ზღვაში ჩაუშვეს. პორტში სხვადასხვა დაბრკოლების დაძლევას რამდენიმე საათი მოანდომეს, სანამ ავსტრიელთა უახლეს სახაზო ხომალდ „ვირიბუს უნიტისს" მიადგებოდნენ. ბოლო მომენტში იტალიელებს არ გაუმართლათ, ტორპედო მწყობრიდან გამოვიდა და ჩაიძირა.

ოფიცრებმა ტორპედოს ორი 170-კილოგრამიანი ფეთქებადი მუხტი მოხსნეს და სახაზო ხომალდის კორპუსზე მაგნიტების საშუალებით მიამაგრეს. ჩაირთო საათის მექანიზმი და ძლიერი აფეთქებისგან 22 ათასი ტონა წყალწყვის „ვირიბუს უნიტისი" ზღვის ფსკერზე აღმოჩნდა.

1935 წლის 2 ოქტომბერს იტალიამ ეთიოპიასთან ომი დაიწყო. მუსოლინი შიშობდა, რომ ომს სხვა ქვეყნებთან დაპირისპირება მოჰყვებოდა. იტალიელი სამხედროების აზრით, მომავალ ომში მოულოდნელი წყალქვეშა დივერსიული ოპერაციები ეფექტიანი საშუალება იქნებოდა და კარგ შედეგს მოიტანდა.

იმავე წლის 22 ოქტომბერს იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ორმა ინჟინერ-მექანიკოსმა ტეზეო ტეზეიმ და ელიოს ტოსკიმ სპეციის წყალქვეშა ნავების ბაზის სარდალს ახალი აპარატის ნახაზები გადასცეს. ერთ-ერთზე გამოსახული იყო წყალზე მოცურავე ტორპედო, რომელზეც მყვინთავის კოსტიუმში გამოწყობილი ორი კაცი გადამჯდარიყო. ტეზეი-ტოსკიმ თავიანთი პირმშო 1918 წელს როზეტის შექმნილი მართვადი ტორპედოს საფუძველზე დააპროექტეს და „მაიალე" („ღორის ხორცი") უწოდეს.

6 მეტრი სიგრძის „მაიალე" მინიწყალქვეშა ნავს ჰგავდა და 3 კვანძის სიჩქარით 5-6 საათი ცურვა შეეძლო. აპარატის ცხვირის ნაწილში 250-300 კგ ფეთქებადი ნივთიერება თავსდებოდა. სამოქმედო რაიონამდე წყალქვეშა ნავს გადაჰქონდა, შემდეგ კი ეკიპაჟი დამოუკიდებლად მოქმედებდა.

ეკიპაჟის წევრებს მსუბუქი საყვინთი კოსტიუმი ეცვათ და წყალზევით მხოლოდ თავები მოუჩანდათ, ხოლო საშიშროების შემთხვევაში ჟანგბადის სასუნთქი აპარატით სუნთქვაზე გადადიოდნენ და 40 მეტრის სიღრმემდე ჩაყვინთვა შეეძლოთ.

„მაიალეზე" ცურვა რთული იყო. მებრძოლებს დაღლილობისა და სიცივისთვის უნდა გაეძლოთ. ცურვა ხან წყლის ზედაპირზე, ხანაც სიღრმეში უწევდათ, რის გამოც წნევა 1-დან 5 ატმოსფერომდე იცვლებოდა. ამავდროულად საჭირო იყო აპარატის მართვა. არცთუ იშვიათი იყო ოპერაციისას ტორპედოს დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა. იყო შემთხვევები, როცა მებრძოლები ტორპედოს სრულ სიბნელეში ან ელექტროფანრის მბჟუტავ შუქზე არემონტებდნენ. სამიზნემდე მისასვლელ გზაზე ნაღმები, სპეციალური ბადეები, საპატრულო კატარღები და სხვა დაბრკოლებები დამატებით სიძნელეებს ქმნიდა. მებრძოლი ძალიან მამაცი და თავდადებული უნდა ყოფილიყო, რომ ამდენი სირთულეების მიუხედავად ამოცანის შესრულება შესძლებოდა.

დიდი წონისა და მოუხერხებელი „მაიალე" ეკიპაჟის მოქმედებას ერთგვარად ზღუდავდა. გაჩნდა ტორპედოს ნაცვლად მსუბუქი მაგნიტური ნაღმების გამოყენებისა და ამ მიზნით წყალქვეშა ქვეით მებრძოლთა ქვედანაყოფის „გამას" შექმნის იდეა.

წყალქვეშა ქვეით მებრძოლთა სკოლა ლივორნოში გაიხსნა. მებრძოლი სპეციალური შეიარაღებითა და ინსტრუმენტებით იყო აღჭურვილი, ხოლო დივერსიისათვის საჭირო ნაღმებს ზურგით ატარებდა. ეცვა მყვინთავის კოსტიუმი, რომელიც მოძრაობას არ ზღუდავდა. ცურვის გასაიოლებლად და ასაჩქარებლად ფეხზე რეზინის ფარფლები ეკეთა. წყალქვეშ 30 წუთზე გათვლილი შეკუმშული ჰაერის ბალონიდან სუნთქავდა. წყალზევით ცურვისას შემჩნევადობის შესამცირებლად სახეს შავად იღებავდა და თავზე წყალმცენარეებს იმაგრებდა.

დავალების შესრულება მებრძოლები-

საგან დიდ ფიზიკურ გამძლეობასა და წყალზევით-წყალქვეშ ცურვის ორიენტაციას მოითხოვდა. სისტემატური ვარჯიშით ზოგიერთები წყალქვეშ 2 კილომეტრის დაფარვას ახერხებდნენ. სამიზნე ობიექტებამდე მებრძოლები სწრაფმავალ კატარღებს ან წყალქვეშა ნავს მიჰყავდა. ზოგჯერ, სათანადო პირობების არსებობისას, ოპერაციები ნეიტრალური ქვეყნების ტერიტორიიდანაც ტარდებოდა.

წყალქვეშა მებრძოლთა არსენალში შედიოდა მაგნიტური ნაღმები „მანიატა“ („წურბელა“) და „ბაულილო“ („სკივრი“). პირველი 2 კგ ფეთქებად მასას შეიცავდა, გემის კორპუსზე მაგრდებოდა და საათის მექანიზმი აფეთქებდა. ფიზიკურად კარგად მომზადებულ მოცურავეს 4-5 „მანიატას“ გადატანა შეეძლო. „ბაულილოს“ 4,5 კგ-იანი ტროტილის მუხტი ჰქონდა და გემის ცურვის დროს ფეთქდებოდა, როცა სიჩქარე 5 კვანძს აღწევდა.

1941 წლის 15 მარტს იტალიის ფლოტის მოიერიშე საშუალებები მე-10 ფლოტილიაში გაერთიანდნენ, რომელთაც თავადი ვალერიო ბორგეზე მეთაურობდა.

პირველი ოპერაციის ჩატარება ალექსანდრიის პორტში დაიგეგმა, სადაც ბრიტანელთა ესკადრა იდგა. იტალიელებს არ გაუმართლათ – 1940 წლის 30 ოქტომბერს პორტიდან 22 მილში ბრიტანელებმა წყალქვეშა ნავი „გონდარი“ სამ „მანიალესთან“ ერთად ჩაძირეს, ხოლო მართვადი ტორპედოს ერთ-ერთი გამომგონებელი ლეიტენანტი ტოსკი ტყვედ ჩავარდა.

წარუმატებელი აღმოჩნდა 1941 წლის 6 მაისს ოპერაცია გიბრალტართან, ალხესირასის უბეში, როცა ტექნიკური მიზეზებით 3 ტორპედო ჩაიძირა. უშედეგო გამოდგა 1941 წლის 26 ივლისს შეტევა ლა-ვალეტაზეც, რომლის დროსაც მეორე გამომგონებელი, ლეიტენანტი ტეზეო ტეზეი დაიღუპა.

წარმატებას იტალიელებმა 1941 წლის 20-21 სექტემბერს ალხესირასის უბეში მიაღწიეს, სადაც 3 ბრიტანული სატრანსპორტო გემი ჩაძირეს.

რაც შეეხება წყალქვეშა მებრძოლთა ჯგუფ „გამას“ – 1942 წლის 13-14 ივლისს ალხესირასის უბეში 12 წყალქვეშა მებრძოლის მიერ ჩატარებულ ოპერაციას 1500-დან 3900 ტონამდე წყალწყვის 4 სატვირთო გემის მეტ-ნაკლები დაზიანება მოჰყვა.



მეორე მსოფლიო ომში იტალიელ წყალქვეშა მებრძოლთა 17 ოპერაციიდან 10 წარმატებული გამოდგა, რომლის შედეგად ჩაიძირა 19 და დაზიანდა 3 სატრანსპორტო გემი. აგრეთვე დაზიანებები მიიღო ორმა ბრიტანულმა სახაზო ხომალდმა „ველიანტმა“ და „ქუინ ელიზაბეტმა“. ოპერაციის წარმატებას ბევრად განაპირობებდა პორტების დაცვა და ტორპედოების საიმედოობა.

1943 წლის მაისში იტალიელთა სასწავლო ცენტრში მომზადება ორმა გერმანელმა ოფიცერმა გაიარა და იმავე წელს გერმანელთა მოიერიშე-დივერსიულ საშუალებათა შენაერთი „K“ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო, თუმცა მიღებული გამოცდილების სრულად გამოვლენა ვერ მოასწრო. ომი მალე დამთავრდა და გერმანელმა წყალქვეშა მებრძოლებმა ევროპის მდინარეებზე რამდენიმე ხიდისა და რაბის აფეთქება შეძლეს.

1942 წლის ოქტომბერში ბრიტანელმა წყალქვეშა მოცურავეებმა პირველი წყალქვეშა დივერსიული ოპერაცია ნორვეგიაში გერმანული სახაზო ხომალდის „ტირპიცის“ წინააღმდეგ ჩაატარეს. ბრიტანელებმა თავიანთი ტორპედო იტალიური „მაიალეს“ კონსტრუქციის გაცნობის შემდეგ შექმნეს და მას საკმაოდ წარმატებითაც იყენებდნენ. ჩაძირეს ორ ათეულზე მეტი სატრანსპორტო გემი და იტალიური კრეისერები „ულპიო ტრაიანო“ და „ბოლცანო“.

დიდი მუშაობა გასწიეს ბრიტანელმა წყალქვეშა მებრძოლებმა ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმის წინ, როცა სანაპირო ზოლის ფსკერის საფუძვლიანი ჰიდროგრაფიული გამოკვლევა და საინჟინრო დაზვერვა ჩაატარეს.

1944 წელს წყნარ ოკეანეში იაპონელებმა წყალქვეშა მებრძოლთა რაზმები „ფუკურიუ“ (დრაკონის ბედნიერება) გამოიყენეს. დახურული ციკლის სასუნთქი აპარატით აღჭურვილ მებრძოლს 60 მეტრ სიღრმემდე ცურვა შეეძლო. მთავარი იარაღი ჯოხზე დამაგრებული ფეთქებადი მუხტი იყო, რომელიც წყლის ზედაპირზე ცურვადობას ღორის გაბერილი ბუშტის დახმარებით ინარჩუნებდა. შეტევის ობიექტთან მიახლოებისას მებრძოლი ბუშტს ხანჯლით ხვრეტდა, მუხტთან ერთად სიღრმეში ეშვებოდა, გემის წყალქვეშა ბორტს მთელი ძალით ეჯახებოდა და თავს იფეთქებდა.



პირველმა შეტევებმა იაპონელებს იმედი ჩაუსახა, რომ ომის მიმდინარეობას შეცვლიდნენ და 1945 წლისათვის წყალქვეშა მებრძოლთა რიცხვის 6 ათასამდე გაზრდა დაგეგმეს.

წყალქვეშა „კამიკაძეებისთვის“ შეიქმნა მართვადი, სპეციალური ტორპედო „კაიტენი“ („გზა სამოთხისაკენ“). საკმაოდ დიდი, 8,3 ტონა წყალწყვის ტორპედო 550 კილოგრამ ფეთქებად ნივთიერებას შეიცავდა. თავიდან „კაიტენის“ მძღოლები მოხალისეები იყვნენ, მაგრამ ომის ბოლოს ბრძანებით ინიშნებოდნენ.

სამოქმედო რაიონამდე „კაიტენი“ წყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალქვეშა ნავს მიჰყავდა. ოპერაციას მძოლი დამოუკიდებლად ატარებდა – შეტევის წინ ტორპედოდან საბრძოლო ნაწილს ხსნიდა, მიზნისაკენ მაქსიმალური 52 კმ/სთ-ში სიჩქარით მიმართავდა და გემს აჯახებდა. 1945 წლის აპრილში „კაიტანებმა“ პირველი, მაგრამ არცთუ წარმატებული შეტევები განახორციელეს. ცნობილია 2-3 სატრანსპორტო გემის ჩაძირვის შემთხვევა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ლოკალურმა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა წყალქვეშა მებრძოლთა სამოქმედო არეალი მნიშვნელოვნად გააფართოვა. ტრადიციულ ამოცანებს სახმელეთო სპეციალური ოპერაციები დაემატა.

წყალქვეშა მებრძოლები ჩვეულებრივად მოქმედებენ იქ, სადაც სამხედრო-საზღვაო ძალების სხვა საშუალებათა გამოყენება შეუძლებელია და იმ დროს, როცა მოწინააღმდეგე ამას არ ელოდება. ოპერაციის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული სადაზვერვო ინფორმაციის ზუსტ მონაცემებზე, რისთვისაც დაზვერვის სხვადასხვა საშუალება გამოიყენება.

ერთმა წყალქვეშა დივერსიულმა ოპერაციამ 1986 წელს საბჭოთა კავშირი სამხრეთ აფრიკასთან ლამის ომამდე მიიყვანა. მაშინ ანგოლა სამხრეთ აფრიკასა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პარტიზანებს ებრძოდა.

1986 წლის ივნისის დასაწყისში ანგოლის პორტ ნამიბიში განტვირთვას ელოდნენ საბჭოთა სამშრალტვირთო გემები „კაპიტანი ჩირკოვი“ და „კაპიტანი ვისლობოკოვი“, აგრეთვე კუბის „ჰავანა“. გემებზე ანგოლის არმიისა და პროკომუნისტური პარტიზანებისათვის განკუთვნილი 25 ათასი ტონა იარაღი, საბრძოლო მასალა და კვების პროდუქტები იყო.

სამხრეთ აფრიკის დაზვერვა ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა. ტვირთის განადგურება დაევალა სამხრეთ აფრიკის სპეციალურ ძალებს, რომლის შემადგენლობაში იყო წყალქვეშა დივერსიული ოპერაციებისათვის მომზადებული მე-4 სადაზვერვო ჯგუფი.

პორტამდე რჩეული 18 წყალქვეშა მებრძოლი სამხრეთაფრიკულმა წყალქვეშა ნავმა, ან მეორე ვერსიით, იაპონიის დროშით მცურავმა ტრაულერმა მიიყვანა.

ამის შემდეგ მყვინთავთა 12-კაციანმა ჯგუფმა სამივე გემზე 12-კილოგრამიანი ოთხ-ოთხი ნაღმი დააყენა. მეორე 6-კაციანი ჯგუფი ნაპირზე მოქმედებდა. დაინაღმა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების ანძები; ნავთობსაცავის რეზერვუარების წინ, სამფეხებზე, 5 ყუმბარმტყორცნი დაიდგა. ჯგუფმა თავისი საქმე შეუმჩნევლად გააკეთა და სანაპიროდან რეზინის ნავებით გემზე დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ პორტში საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი მუდმივად იმყოფებოდა, მაგრამ იმ დღეს რაზმი ოკეანეში იყო გასული.

ღამით, 5-დან 6 ივნისს, პირველმა აფეთქებებმა „კაპიტანი ვისლობოკოვი“ შეაზანზარა. გემის წყალქვეშა ნაწილმა 24 კვადრატული მეტრი დაზიანება მიიღო და ნაკვეთურებში წყალი შეიჭრა. საბედნიეროდ, ტვირთის დეტონაცია არ მოხდა და გემიც არ ჩაიძირა. მალე დანაღმული მაღალი ძაბვის ანძებიც აფეთქდა და ნავთობსაცავების მიმართულებით სროლა დაიწყო. აფეთქებებისაგან მეორე საბჭოთა გემიც დაზიანდა, მაგრამ არ ჩაძირულა. არ გაუმართლა „ჰავანას“, რომელიც პორტის აკვატორიის ფსკერზე ჩაეშვა.

საბჭოთა გემებზე აუფეთქებელი თითოთითო ნაღმი დარჩა, რომლის გასაუვნებლად საბჭოთა კავშირიდან შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა დივერსანტთა საწინააღმდეგო სპეცრაზმი ჩამოიყვანეს. საბჭოთა მეზღვაურებმა დიდი რისკის მიუხედავად ნაღმების გაუვნებელყოფა შეძლეს.

სპეციალისტთა შეფასებით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წყალქვეშა მებრძოლები საფრანგეთს ჰყავს, რომლის შექმნაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ცნობილ ფრანგ მეცნიერსა და მკვლევარს ჟაკ-ივ კუსტოს.

ფრანგული წყალქვეშა რაზმის „იუბერის“ ოპერაციები უკიდურესად საიდუმლოდ მზადდება. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შეიარაღებული ძალების სარდლობა ოპერაციის შედეგებს შეგნებულად ახმაურებს, რათა საზოგადოებას საფრანგეთის ეროვნული ინტერესების დაცვაში სპეციალური ოპერაციების ძალების როლი და შესაძლებლობები აჩვენოს.

1985 წლის 10 ივლისს ახალი ზელანდიის პორტ ოკლენდის რეიდზე გარემოს დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინპისის“ გემის „რეინბოუ უორიორის“ აფეთქებას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. ამ სკანდალის შემდეგ კუნძულ კორსიკაზე საბრძოლო მოცურავეთა მოსამზადებელი სკოლა დაიხურა.

ფრანგების ჩატარებული ოპერაციებიდან აღსანიშნავია 1988 წელს კუნძულ უვეადან ახალკალედონიელი სეპარატისტების მიერ დაკავებული მძევლების გათავისუფლება; 1991 წელს ბეირუთში საფრანგეთის საელჩოდან ლიბანელი გენერლის აუნის საიდუმლო გამოყვანა; 1995 წელს გემი „რეინბოუ უორიორ II“-ის დაკავება, როცა ატოლ მუროროაზე ბირთვული აფეთქებების გამოცდისათვის ხელის შეშლას ცდილობდა;

ფრანგები მონაწილეობდნენ ოპერაციაში „ქარიშხალი უდაბნოში“, იუგოსლავიის წინააღმდეგ კოსოვოს ტერიტორიაზე, სადაც დაახლოებით 20 რეიდი განახორციელეს.

სპეციალისტთა პროგნოზით, უახლეს მომავალში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა შედარებით ნაკლებად დაცული საზღვაო ობიექტებისკენ იქნება მიმართული. ტერორისტთა სამიზნე შეიძლება გახდეს საოკეანო სატრანსპორტო და სამგზავრო გემები, საზღვაო ხაზები, პორტების ინფრასტრუქტურა და სხვ. მიზნის მისაღწევად ტერორისტულმა ჯგუფებმა შესაძლოა წყალქვეშა მოცურავეებიც გამოიყენონ, რასაც ხელს უწყობს თანამედროვე წყალქვეშა აღჭურვილობის მოპოვების ძალზე იოლი გზები.

წყალქვეშა ტერორისტების გადასაყვანად მცირე ზომის სხვადასხვა მცურავი საშუალების გამოყენება შეიძლება. თავისი სამხედრო ფლოტილია ჰყავს „ალქაიდას“, რომელიც ლოიდის ინფორმაციით 200-300 ტონა წყალწყვის 20-მდე გემს ითვლის. გემები აფრიკის რქის რაიონში და ინდონეზიის კუნძულების წყნარ ყურეებშია დამალული.

უკვე გაჩნდა ინფორმაციები საზღვაო ტერორისტების დაკავების შესახებ. 2005 წლის აგვისტოში თურქეთის პოლიციამ ათკაციანი ჯგუფი აიყვანა. მათ შორის იყო ერთი სირიელი, რომელიც ზღვაში ისრაელის ტურისტული გემების აფეთქებას გეგმავდა. დეკემბერში ისრაელის სამხედრო მეზღვაურებმა ღაზის სექტორისაკენ მოცურავე ორი პალესტინელი დააცხრილეს. ერთ-ერთს სხეულზე დამაგრებული ჰქონდა შეკვრა. სპეციალისტთა დასკვნით, მისი ტერაქტისათვის გამოყენება შეიძლებოდა.

წყალქვეშა მებრძოლთა რაზმი სოხუმის რეჟიმის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შემადგენლობაშიც შედის. უცნობია მისი დანიშნულება და ამოცანები, შეიარაღება და აღჭურვილობა. უნდა ვიფიქროთ, რომ რაზმის სამოქმედო არეალი დიდი არ არის და მისი სამიზნე საქართველოს პორტებია.

საქართველოს სანაპირო ზოლის წყალქვეშა სივრცის კონტროლზე არც ერთი ძალოვანი უწყება პასუხს არ აგებს და ალბათ ამით არის გამოწვეული, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნები საქართველოს პორტებში წყალქვეშა დივერსიების საშიშროებას რეალურად აღიქვამენ. უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდის ფოთში ან ბათუმში დგომისას, უსაფრთხოების მიზნით, მყვინთავები დროდადრო წყალში ჩადიან და ხომალდის კორპუსის წყალქვეშა ნაწილს ამოწმებენ.

**თემურ ჩაჩანიძე**

# საქართველოს არმია

**85 წლის წინ ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ძალით დაამხო და ტერიტორია შეიერთა**

## ბოლშევიკური აგრესიის წინ

### ქართველი გენერლების მოთხოვნები და დასკვნები

ქართველი სამხედროები მოსალოდნელ საფრთხეს ხედავდნენ და თავდაცვისათვის საჭირო კონკრეტული წინადადებებიც ჰქონდათ, რომლითაც არმია და ქვეყანა რუსეთის აგრესიას მომზადებული შეხვდებოდა. ამის შესახებ მთავრობას თავდაპირველად 1920 წლის ოქტომბერში, შემდეგ კი ნოემბერში მოხსენდა.

არსებობს სამხედრო მინისტრის თანაშემწის, ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძისა და გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ხელმოწერილი და 1921 წლის 3 იანვრით დათარიღებული №64/49 წერილობითი მოხსენება, სადაც აუცილებელ ღონისძიებებთან ერთად მოსალოდნელი დარტყმების შესაძლო მიმართულებებია განსაზღვრული.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ სამხედრო უწყების ხელთ არსებული ცნობების საფუძველზე რუსეთი 1920 დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს წინააღმდეგ საერთო შეტევის დაწყებას გეგმავდა, მაგრამ მიზეზთა გამო განზრახული არ შესრულა და სხვა უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადადო.

თბილისის დაკავების მიზნით მთავარი დარტყმა სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე, წითელი ხიდი-ზაქათალის მონაკვეთიდან იყო მოსალოდნელი. სოჭისა და ვლადიკავკაზის მიმართულებებს პასიური დატვირთვა ექნებოდა. არსებობდა ჩრდილო კავკასიიდან სამაჩაბლოში შემოჭრის შესაძლებლობაც.

საგულისხმოა, რომ წერილში მითითებული რუსების შემოჭრის შესაძლო მიმართულებები ზუსტად დაემთხვა 1921 წლის თებერვალში განვითარებულ მოვლენებს.

წითელ რუსეთთან ერთად საქართველო დარტყმას საბჭოთა სომხეთიდანაც მოელოდა, რომელიც სამხრეთი საზღვრებისკენ, კერძოდ, ბორჩალოს მაზრისკენ იქნებოდა მიმართული.

საბჭოთა რუსეთის ოფიციალური მოკავშირე თურქეთი ომის საწყისს ეტაპზე აქტიურად არ იმოქმედებდა და მხოლოდ საქართველოს დამარცხების შემთხვევაში შეეცდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული ოლქების დაუყოვნებლივ დაკავებას.



ქვეყნის თავდაცვას სულ მცირე 60-ათასიანი არმია მაინც დასჭირდებოდა. იმ დროისათვის საქართველოს 25-ათასიანი ჯარი ჰყავდა. აქედან გაგრის რაიონში 1900, ბათუმის ოლქში 4900, ახალციხე-ახალქალაქი-ართვინის რაიონში 4900, ლაგოდეხის რაიონში 1000, ყაზბეგის რაიონში 150, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე 9500 და თბილისში 2500 კაცი იყო თავმოყრილი.

მოხსენების ავტორები გაწვევის ჩატარებას მოითხოვდნენ იმ ანგარიშით, რომ გაზაფხულისათვის ახალწვეულები მწყობრში ჩადგებოდნენ. საჭიროდ მიაჩნდათ ახალწვეულებისათვის ტანსაცმლის, თეთრეულის, ფეხსაცმლის, ალკაზმულობის, შეიარაღების, საბრძოლო და სასურსათო მარაგის წინასწარ შექმნა. მთავრობას ყოველივე ამის კონსტანტინოპოლში ყიდვას სთავაზობდნენ, სადაც ანტანტის საოკუპაციო და ვრანგელის არმიების ქონება იაფად იყიდებოდა. მთავრობის თავმჯდომარეს სთხოვდნენ, „მოლაპარაკებები გაემართა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ჯარის ტანისამოსით, შეკაზმულობით, იარაღითა და სასროლი მასალით მომარაგების შესახებ. აგრეთვე მოლაპარაკებოდა ვაჭარმრეწველთა წარმომადგენლებს მათი მხრივ ჯარის ტანისამოსით მომარაგების დახმარების აღმოჩენის შესახებ".

ჯარების სწრაფად გადასაადგილებლად და ალაზნის ხეობაში სტრატეგიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გენერლებს საჭიროდ მიაჩნდათ რკინიგზის ხაზის წნორისწყალი-ლაგოდეხის აგება; აზერბაიჯანის საზღვართან, წითელი და ფოილოს ხიდების რაიონებში არსებული გზების თბილისი-ქესალო-წითელი ხიდის, სანდარი-წითელი ხიდის, აშალალა-სერალი-ყაჩაგანი-წითელი ხიდის, სადახლო-კერპილის, სანდარა-ვორონცოვკა-ჯალალ-ოღლის მოწესრიგება; მტკვარზე 3 ხიდისა და საბორნე გადასასვლელების მოწყობა.

ყურადღება ექცეოდა სატელეგრაფო კავშირის განვითარებას, სატელეგრაფო აპარატებითა და განსაკუთრებით ბატარეებით უზრუნველყოფის საკითხებს. დამატებითი სატელეგრაფო ხაზების მოწყობას აშალალა-სერალი-წითელი ხიდისა და ბეიუკ-კისიკი-ყაჩალანის მონაკვეთებზე; საზღვარგარეთული სატელეგრაფო აპარატებისა და განსაკუთრებით ელემენტების შესყიდვას, რადგან ამ უკანასკნელის დიდ ნაკლებობასთან ერთად არც ადგილობრივი ელემენტები იყო ვარგისიანი; საწვავის მარაგის შესაქმნელად მეზობელ აზერბაიჯანში ნავთის ყიდვას, აგრეთვე სამანქანო ზეთის საავიაციო ბენზინზე გაცვლას.

არმია ცხენების ნაკლებობას განიცდიდა – ქვედანაყოფების საშტატო რაოდენობას 405 ცხენი აკლდა. რაც ჰყავდათ, ისინიც უჭმელობით დავარდნილები იყვნენ. საკავალერიო ცხენების რაოდენობის გასაზრდელად გენერლები გამოსავალს სამხედრო ნაწილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ოთხთვალებში ცხენების კამეჩებით ან ოთხთვალების ურმებით ჩანაცვლებაში ხედავდნენ. შეცვლა ესაჭიროებოდა ალალის დაძველებულ საბარგულებს, რომელთაც ხანგრძლივი ლაშქრობებისათვის გაძლება გაუჭირდებოდა. არც საარტილერიო ჭურვები იყო საკმარისი, მარაგი დაუყოვნებელ შევსებას მოითხოვდა.

## მდგომარეობა არმიაში

არმიის მთავარი სატკივარი გახშირებული და მასობრივი დეზერტირობა იყო, რომელსაც მძიმე სოციალურ გარემოსთან ერთად ბოლშევიკების ძირგამომთხრელი აგიტაციაც უწყობდა ხელს.

1920 წლის 25 აგვისტოს ქვედანაყოფებიდან წარმოდგენილი ოფიციალური მონაცემებით, 1-ლი დივიზიის 1-ელ პოლკში 4085 მოსამსახურიდან სახეზე 2034, მე-2 დივიზიის მე-5 პოლკში 3236-დან 1920, მე-7 პოლკში 3131-დან 1563, მესანგრეთა ბატალიონში 638-დან 207 იყო და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მე-2 საარტილერიო დივიზიონი (586 მოსამსახურიდან 19 დეზერტირი), მე-8 პოლკი (1325-დან 28 დეზერტირი), სამხედრო სკოლა (680-დან 71 დეზერტირი) და კიდევ რამდენიმე სხვა დანაყოფი. მთლიანად არმიაში 39000 სამხედროდან ადგილზე მხოლოდ 26400 აღმოჩნდა.

დეზერტირებს იარაღთან ერთად მიჰქონდათ სამხედრო სამოსი, ფარაჯები, ბუშლატები, ლოგინი და სხვა ნივთები, რაც ჯარის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა.

სამხედრო მოსამსახურეთა 90%-ს ქართველები შეადგენდნენ. 5% სომხებზე, 2% რუსებზე და 3% სხვა ერებზე, მათ შორის, მუსლიმანებზე მოდიოდა. მთავრობის 1919 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს რუსი ეროვნების მოქალაქეები არმიაში გაწვევისაგან დროებით გათავისუფლდნენ.

როგორ მსახურობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები? გენერალი ვაშაკიძე სამხედრო სამინისტროში გაგზავნილ ტელეგრამებში 1919 წლის ბოლოს აღნიშნავდა, რომ მძიმე პირობების გამო მე-9 პოლკიდან ბერძენი და სომეხი ახალწვეულები ხშირად იპარებოდნენ. 1920 წლის დასაწყისში წალკაში გაწვეული 400 წვევამდელი სადგურ სანდარადან თბილისისაკენ წამოიყვანეს. ცუდ კვებას უპურობაც დაემატა და წვევამდელებმა ცივ ვაგონებში, ყინვასა და ქარბუქში, ოთხი დღე გაატარეს. რა გასაკვირია, თუ ვინმე გაიპარებოდა.

ყოველივე ამის პარალელურად ბოლშევიკები აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ – 1920 წლის მაისის პირველ რიცხვებში კომუნისტებთან გაგრიდან სოჭში 24 ქართველი ჯარისკაცი გადავიდა. ბოლშევიკებმა ეს ფაქტი თავიანთი პროპაგანდის წარმატებად წარმოაჩინეს. თვე-ნახევრის შემდეგ თითქმის ყველა ჯარისკაცი უკან დაბრუნდა თხოვნით – რაც გინდათ, გვიყავით, ოღონდ ბოლშევიკებთან ნუ დაგვაბრუნებთო. ჯარისკაცები ჰყვებოდნენ: „იარაღი აგვყარეს, ტანისამოსი აგვყარეს და ძონძები მოგვცეს. ამის შემდეგ გვატარებდნენ, რომ ქართველი ჯარისკაცები ასე შემოსილი, მშიერი და მწყურვალენი არიან და ჩვენსკენ გადმოდიანო. ამის შემდეგ გაგვგზავნეს ნავის საზიდ ურმებზე და დღეში დაგვინიშნეს ნახევარი გირვანქა პური. ცხოვრება იმდენად გაგვიჭირდა, რომ იძულებულნი შევიქენით, მივვემართა ადგილობრივი ქართველებისათვის, რომლებმაც ჩვენთან არც მოისურვეს ლაპარაკი, ვინაიდან საქართველოს მოღალატეებად გვთვლიდნენ...“.



გენერალი კვინიტაძე

დეზერტირობის მასობრივი შემთხვევა მოხდა ხულოში, სადაც მე-10 პოლკიდან 400 ჯარისკაცი გაიქცა. დეზერტირების დაკავება მოხერხდა და რვა მათგანი დაიხვრიტა.

1920 წლის ივლისში, ლაგოდეხში, მე-6 ქვეით პოლკში ბოლშევიკი აგიტატორების წაქეზებით ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ტყეში გავიდა. დეზერტირთა დასაკავებლად წითელი ხიდიდან მოხსნილი გვარდიის 300-კაციანი ბატალიონი გაიგზავნა. გვარდიელთა ეშელონის ნავთლუღში გავლის დროს 70 კაცი ვაგონებიდან ჩამოხტა, დაიბარეს, ბატალიონს ლაგოდეხში შევუერთდებითო. თბილისიდან ჩამოყვანილმა სამხედრო ნაწილებმა დეზერტირები დააკავეს და ცხრა ჯარისკაცი დახვრიტეს.

ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების მოსაწყობად საქართველოს ბოლშევიკებს მოსკოვი უხვად აფინანსებდა და იარაღს უგზავნიდა. 1920 წლის 1-ელ მაისს იუნკერთა სკოლას დაახლოებით 30-მდე შეიარაღებული ბოლშევიკი დაესხა თავს. რამდენიმე იუნკრის სიფხიზლისა და პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მამაცობის წყალობით თავდასხმა ნახევარ საათში მოიგერიეს. ექვსი ბოლშევიკი განადგურდა, რამდენიმე დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. შეტაკების დროს დაიღუპა იუნკერი მაყაშვილი.

საზღვრებზე შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა და სამხედრო ნაწილების ხშირი გადაადგილება პირად შემადგენლობას ფსიქოლოგიურად თრგუნავდა და სამხედრო მეცადინეობების რეგულარულად ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა.

მთავრობის დასაყრდენს, სახალხო გვარდიას თავიდან ბევრი მოხალისე ჰყავდა. ომების მომრავლებასთან ერთად მოხალისეთა ნაკადმა იკლო და ხალხის შესავსებად მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია პირველად პარტიულ უჯრედებში იძულებით მობილიზაციას აცხადებდა. სახალხო გვარდიას არმიასთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა. მათ შორის დამოკიდებულებაზე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მოგონებებში წერს: „მენშევიკური მთავრობა ქართული არმიის შედგენას გულგრილად უყურებდა და ჯარისაკენ მხოლოდ მაშინ მოიხედავდა, როდესაც გაჭირვება დაადგებოდა, დანარჩენ დროს კი იგი მიგდებული და მინებებული იყო თავის ბედსა და ნებაზე“.

ხელისუფლება ზოგიერთ გენერალსა და ოფიცერს უნდობლადაც ეკიდებოდა. მაგალითად, ქართული არმიის თვალსაჩინო წარმომადგენლების, გენერალ მაზნიაშვილისა და პოლკოვნიკ შოთა მაღლაკელიძის ფინანსებთან დაკავშირებულ საქმეს სასამართლო განიხილავდა. გენერალი კვინიტაძე სამხედრო სამსახურიდან რამდენჯერმე დაითხოვეს და მაშინ აბრუნებდნენ, როცა სხვების გაფუჭებული საქმის გამოსწორება ხდებოდა საჭირო. გამოცდილი და განათლებული გენერლების წინააღმდეგ მიმართული ასეთი კამპანია ჯარის მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

85 წლის წინანდელი სურათი ძალიან წააგავს დღევანდელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებს, როცა ბრძოლაგამოვლილ გენერლებსა და ოფიცრებზე თავდაცვის სამინისტრო უარს ამბობს.

ჯარისკაცებთან ერთად მძიმე არმიულ ყოფას ოფიცრობაც იზიარებდა. მწირი ანაზღაურება და ცხოვრების სიძვირე ოფიცრებს თავის გადასარჩენად სხვა გზების ძებნისკენ უბიძგებდა. სხვა გზა კი კერძო კომერციული საქმიანობა იყო და ოფიცრებიც კომერციას უფრო მეტ დროს ახმარდნენ, ვიდრე ჯარისკაცების მომზადებას.

იყვნენ ისეთები, რომლებიც სახელმწიფო ფულის მისაკუთრებასაც არ თაკილობდნენ. როგორც ჩანს, ამ ცდუნებას ვერც სამხედრო მინისტრის მოადგილე სამეურნეო ნაწილში გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი გაექცა. გენშტაბის ზოგიერთი ოფიცერი ამტკიცებდა, რომ გენერალი თითქმის ყოველდღე კლუბებში 100-200 ათასს მანეთს აგებდა, მაგრამ თავის გასამართლებელ საბუთს ყოველთვის პოულობდა.

ქართული სინამდვილის ერთ-ერთი მანკიერება, ნათესაური კავშირები სამხედრო წოდებების მიღებასა და თანამდებობებზე დანიშვნაში ცოტას არც მაშინ ნიშნავდა. მძიმე სოციალური ფონი, ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა ჯარის სიძლიერეს

ძირს უთხრიდა და მტერს საქართველოს დაპყრობას უადვილებდა.

## ქართული არმიის ორგანიზაცია

ქართული არმიის ძირითად ტაქტიკურ შენაერთს დივიზია წარმოადგენდა. სხვადასხვა დოკუმენტში დივიზია ზოგჯერ ბრიგადის სახელითაც მოიხსენიება.

დივიზია ოთხი ქვეითი პოლკისგან შედგებოდა. პოლკს ხშირად ბატალიონს, ლეგიონს, რაზმს ან ათასეულს ეძახდნენ.

1-ლი ქვეითი დივიზია, შტაბით ქუთაისში, აერთიანებდა 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 ქვეით პოლკებს;

მე-2 ქვეით დივიზიაში, შტაბით თბილისში, შედიოდნენ მე-5, მე-6, მე-7, მე-8 ქვეითი პოლკები;

მე-3 ქვეითი დივიზიის შტაბი გორში იყო განლაგებული და მასში ირიცხებოდნენ მე-9, მე-10, მე-11, მე-12 ქვეითი პოლკები;

პოლკი 3 ქვეითი ბატალიონისაგან შედგებოდა და შტატით 2225 კაცზე იყო გათვლილი, თუმცა ქართულ პოლკებში 3000-დან 4000-ზე მეტი სამხედროც კი ირიცხებოდა. თავისთავად ასეთი დიდი დანაყოფის მართვა რთული და ძნელი იქნებოდა;

არმიის სარდლობის დაქვემდებარებაში იყვნენ თბილისისა და ქუთაისის საყარაულო ბატალიონები, რომლებიც 600-მდე მებრძოლს ითვლიდა;

არმიის ცხენოსანთა ბრიგადა 1-ელ, მე-2 და მე-3 ცხენოსანთა პოლკებს აერთიანებდა. შტატით ბრიგადა 1500 ხმალზე იყო გათვლილი, მაგრამ ცხენების სიმცირის გამო ბევრად ნაკლები კავალერისტი უნდა ჰყოლოდა;

ცალკე დანაყოფს წარმოადგენდა ქართველ მაჰმადიანთა ცხენოსანი დივიზიონი (16 ოფიცერი, 312 ჯარისკაცი, 42 არასამწყობრო ჯარისკაცი, 368 ცხენი);

არტილერია ქვეითი დივიზიების 1-ლი, მე-2, მე-3 საარტილერიო დივიზიონებით იყო წარმოდგენილი. თითოეულ დივიზიონში 3 ბატარეა შედიოდა. ბატარეა 4 საველე ქვემეხს ითვლიდა;

არმიის ცალკეულ საარტილერიო დივიზიონში 1 საველე, 2 სამთო და 1 აეროპლანების საწინააღმდეგო ბატარეები ირიცხებოდნენ. ფორმირების პროცესში იყო ჰაუბიცებისა და მორტირთა ბატარეები;

ცხენოსანთა ბრიგადას 3 ბატარეისგან შემდგარი თავისი დივიზიონი ჰყავდა;

იყო ცალკეული სამთო ცხენოსანთა ბატარეა 6 ოფიცრითა და 185 ჯარისკაცით;

საინჟინრო-ტექნიკური ჯარების შემადგენლობაში შედიოდნენ მესანგრეთა ბატალიონი 2 მესანგრეთა და 2 სატელეგრაფო ასეულით (4 საველე და 6 სტაციონარული გერმანული წარმოების რადიოსადგურით), აგრეთვე ავტოჯავშნოსანი რაზმი (15 ჯავშანავტომობილი), სატანკო დივიზიონი (2 ტანკი და 2 ჯავშანავტომობილი), ჯავშანმატარებლების რაზმი (4 მატარებელი), საავტომობილო ასეული მძღოლების სკოლითა და საავიაციო გუნდი;



მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა სახალხო გვარდია. გვარდიაში შესვლის აუცილებელი პირობა მმართველი პარტიის წევრობა იყო. გვარდიიდან დათხოვნისას გვარდიელი კარგავდა სამსახურს, პარტიიდან ირიცხებოდა და საქმე სასამართლოს გადაეცემოდა. ომის შემთხვევაში გვარდია საქართველოს რაიონებში 14-დან 22-მდე ბატალიონს (თბილისის 3, ალაზნის გაღმა, სიღნაღის, გორის, ხაშურის, შორაპნის, ქუთაისის, სამტრედიის, ახალი სენაკის, ფოთის, სოხუმის, ბათუმის) უკეთებდა მობილიზაციას. ცალკე იყო გვარდიის განსაკუთრებული ბატალიონი. ბატალიონებს ჩამოყალიბებული შტატები არ ჰყავდათ და 60-70-დან რამდენიმე ასეულ კაცს ითვლიდა;

სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონში 3 სამთო, 2 ჰაუბიცებისა და 2 მსუბუქი ბატარეა შედიოდა;

იყო ცხენოსანთა დივიზიონი 3 ესკადრონით, რომელიც ქართული არმიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა. დივიზიონის მეთაურთა შემადგენლობა თითქმის მთლიანად ნიჟეგოროდისა და ტვერის დრაგუნთა პოლკების ოფიცრებისგან შედგებოდა;

გვარდიას ჰყავდა საინჟინრო, სარკინიგზო და ავტოჯავშნოსანი ასეულებიც;

მობილიზაციის შემთხვევაში სახალხო გვარდიას 16 ათასამდე კაცი უნდა გამოეყვანა;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა 1-ლი სოხუმის, მე-2 ფოთის, მე-3 ახალციხის, მე-4 შულავრის, მე-5 სიღნაღის, მე-6 დარიალის და მე-7 ბათუმის სასაზღვრო პოლკებს ევალებოდათ. თითოეული პოლკი შტატით 437 ჯარისკაცსა და 24 ოფიცერს ითვლიდა. მთლიანობაში ეს 3200 კაცი იყო. სასაზღვრო სამსახურს გენერალი ახმეტელაშვილი მეთაურობდა.

ზემოთ ჩამოთვლილი შეიარაღებული ფორმირებების გარდა, შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 1000-კაციანი განსაკუთრებული რაზმი, რომელსაც კედია მეთაურობდა. ქალაქების მმართველობის განკარგულებაში იყო დაახლოებით 12 ათასამდე მილიციელი.

ოფიცერთა მოსამზადებლად 1919 წლის შემოდგომაზე თბილისში სამხედრო სასწავლებელი — იუნკერთა სკოლა ამოქმედდა. სკოლა ამზადებდა ქვეითი ჯარის, ცხენოსან, საარტილერიო და საინჟინრო-მესანგრე უმცროს ოფიცრებს. იუნკრები მკაცრ დისციპლინასა და სამხედრო საქმეს თავიდანვე ეჩვეოდნენ, ხოლო მხედრული ქცევითა და ჩაცმულობით არმიის სხვა ქვედანაყოფებისაგან გამოირჩეოდნენ. იუნკრებმა 1921 წლის თებერვალში ტაბახმელასთან გმირობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენეს. სამწუხაროა, რომ გასულ წელს მომავალ ოფიცერთა აღზრდის ისეთი კერის დახურვით, როგორიც კადეტთა სასწავლებელი იყო, დასავლური სამხედრო აზროვნებით გატაცებულმა თავდაცვითი უწყების მესვეურებმა ახლო წარსულის გმირულ ფურცლებს მხოლოდ ისტორიული ღირებულება დაუტოვეს.

ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი თეთრი არმიის რიგებში მსახურობდა. თეთრი მოძრაობის დამარცხების შემდეგ უმრავლესობა ემიგრაციაში აღმოჩნდა. 1920 წლის აპრილში საქართველოს წარმომადგენლობა კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა, რომ ქართველი დენიკინელი ოფიცრები პასპორტებს ითხოვდნენ. როგორც ამბობდნენ, მოხალისეთა ჯარში იძულებით მსახურობდნენ და ქართულ არმიაში სამსახურის სურვილი ჰქონდათ.

## რუსეთის აგრესია

მე-11 წითელმა არმიამ საქართველოს ძალა 1920 წლის 2 მაისს წითელი და ფოილოს ხიდების რაიონებში მოსინჯა. ქართულმა არმიამ აგრესიას ძლიერი შეტევით უპასუხა. ბრძოლებმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაინაცვლა და შემდგომში დაზავებით დასრულდა.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა, საქართველოს გაძლიერებისათვის ხელის შეშლას და ამისათვის ბოლშევიკები ინტერნაციონალისტურ კავშირებსაც იყენებდნენ. 1920 წლის აგვისტოში ბულგარეთში ვარნის პორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მუშებმა უარი თქვეს გემი „ბორისის“ დატვირთვაზე, რომელსაც საქართველოსა და სომხეთისათვის იარაღი უნდა ჩამოეტანა.

1920 წლის ნოემბერში, აგრესიამდე სამი თვით ადრე, ჯარებს მობილიზაცია გაუკეთდა და ნაწილობრივად სახიფათო მიმართულებების თავდაცვა გაძლიერდა. სამხრეთით საზღვრებს, ძირითადად, გვარდია ამაგრებდა. ლორის მაზრას გვარდიის 3 ბატალიონი, სანაინის ხეობას არმიის 3 ბატალიონი, წითელ ხიდს გვარდიის 7 ბატალიონი, ფოილოს ხიდს გვარდიის 2 ბატალიონი და ლაგოდეხს გვარდიის 2 ბატალიონი იცავდნენ.

ახალი აგრესიისათვის რუსები საფუძვლიანად მოემზადნენ. 1921 წლის 11-12 თებერვალს მდინარე ალგეთზე, ბეზაბდალის ხეობაში რკინიგზის ხიდზე ბოლშევიკები შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული ნაწილები მტერს მოუმზადებლები დახვდნენ და უკან დაიხიეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად 16 თებერვლისთვის რეზერვების თავმოყრა მოხერხდა, მაგრამ იმავე დღეს წითელი და ფოილოს ხიდების მიდამოებში მე-11 არმია კვლავ შეტევაზე გადმოვიდა. საზღვრებთან მიმდინარე ბრძოლებში გვარდიის ბატალიონებთან ერთად არმიის 1-ლი, მე-5, მე-7 და მე-8 პოლკები, თბილისის საყარაულო ბატალიონის 2 ასეული ჩაებნენ.

17 თებერვალს, გამთენიისას, სიღნაღის მიმართულებით წითლების 59-ე მსროლელმა ბრიგადამ და მე-18 საკავალერიო დივიზიამ ალაზანი გადმოლახეს.

16 თებერვალს დარიალის ხეობაში მე-10 არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. ხეობას 1 ქართული ბატალიონი 8 ტყვიამფრქვევითა და 4 მსუბუქი ზარბაზნით იცავდა.

1921 წლის 19 თებერვალს სოჭის მხრიდან მე-9 არმიის 31-ე მსროლელი დივიზია გადმოვიდა შეტევაზე. სოხუმის მიმართულებას გენერალ ართმელაძის რაზმი იცავდა, რომლის განკარგულებაში იყვნენ 6 ათასამდე სამხედრო, გვარდიელი და მესაზღვრე. ქართველებს ზღვიდან საარტილერიო ცეცხლით ფრანგული ხომალდების ესკადრა ეხმარებოდა. ძლიერი წინააღმდეგობის გამო ორი დღის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილებმა წინ წაწევა ვერ მოახერხეს.

მამისონის უღელტეხილის მხრიდან წითლების 98-ე მსროლელი ბრიგადა და თერგის საკავალერიო დივიზიონი გადმოვიდნენ. უღელტეხილს სასაზღვრო ჯარები და გვარდიის ნაწილები იცავდნენ. წითლებმა მხოლოდ მარტის დასაწყისში შეძლეს უღელტეხილისა და ონის დაკავება. წითლებმა სოფელ მექვენასთან ტყვედ აიყვანეს გენერალი მიქაძე 2 ქვემეხით, 2 ჯავშნოსანითა და 4 ტყვიამფრქვევით.

16 თებერვლის საღამოს სამხრეთის საზღვარზე მყოფმა გვარდიის ბატალიონებმა არსებობა შეწყვიტეს. გვარდიელები ცალ-ცალკე და ჯგუფებად თბილისისაკენ გამორბოდნენ. მათ აგროვებდნენ და ახალჩამოყალიბებულ ქვედანაყოფებში აგზავნიდნენ. მიმდინარეობდა მოხალისეთა ჩაწერა. ლოზუნგები: „თბილისი მეორე ვერდენი იქნება!“ და „დასავლეთ საქართველო ციხესიმაგრეა!“ ხალხის სულისკვეთების ამაღლებისაკენ იყო მიმართული.

რეზერვების მხრივ ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა – რეზერვში რჩებოდნენ არმიის მე-2, მე-3, მე-4, მე-10, მე-11 და მე-12 პოლკები, აგრეთვე გვარდიის სოხუმის, ბათუმის, ახალციხისა და გორის 2 ბატალიონი, რაც საკმარისი არ იყო.

მე-4 პოლკის ერთი ნაწილი ბათუმიდან 17 თებერვალს, მეორე კი 18-19 თებერვალს ჩამოვიდა. ახალციხის მე-10 პოლკმა 19-ში მოაღწია. მე-11 პოლკს ახალქალაქიდან ფეხით დაახლოებით 130 კილომეტრი ჰქონდა გასავლელი და მომქანცველი მარშის შემდეგ ხაშურამდე მოაღწია, სადაც თბილისიდან ევაკუირებული მთავრობა დახვდა. მე-12 პოლკი არდაღანსა და მანგლისში იდგა, მაგრამ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის უქონლობის გამო დახმარება არ შეეძლო. მე-2 და მე-3 პოლკები გაგრას იცავდნენ.

თბილისისათვის ბრძოლებში მოხერხდა 1-ლი, მე-5, მე-10 პოლკების, გვარდიის ბატალიონთა ნარჩენებისა და სამხედრო სკოლის გამოყვანა. აგრესიის შესაჩერებლად საკმარისი ძალები და რესურსები საქართველოს აღარ ჰყავდა. 1921 წლის 19 თებერვალს დედაქალაქს უტევდა წითლების დაჯგუფება, რომელიც 17937 ხიშტსა და 4316 ხმალს ითვლიდა. მათ შეიარაღებაში იყო 1065 ტყვიამფრქვევი, 181 საველე და 15 მძიმე ქვემეხი, 5 ჯავშანმატარებელი, 4 ტანკი, 4 ჯავშანავტომობილი და 16 თვითმფრინავი. თბილისის აღების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა მეფის რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი ალექსანდრე გაბაშვილი.

უზარმაზარი უპირატესობის მიუხედავად წითელ არმიას საქართველოს დაპყრობა საკმაოდ ძვირი დაუჯდა. რუსული მონაცემებით, ბრძოლებში დაიღუპა, ჭრილობებისაგან გარდაიცვალა და უკვალოდ დაიკარგა 5000 წითელარმიელი, ხოლო 15000 დაიჭრა. რუსებმა ქართული მხარის დანაკარგები 3-დან 5 ათასამდე მოკლულ-გარდაცვლილითა და 15 ათასამდე დაჭრილით შეაფასეს. მე-11 არმიის დანაკარგები, ძირითადად, 20-24 თებერვლის თბილისის ოპერაციაზე მოდის. დანაკარგების შესავსებად მე-11 არმიამ ბაქოდან ახალი შენაერთები მიიღო.

ომის დასაწყისში ქართული ჯარი დაახლოებით 40000-45000 კაცს ითვლიდა და პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი ტყვედ ჩაბარდა. ტყვეები თავიდან ბაქოში გადაჰყავდათ, ომის დამთავრების შემდეგ 3000-ზე მეტი კაცი უკან დააბრუნეს. შემდგომში ტყვეებს იარაღს ართმევდნენ და ათავისუფლებდნენ.

ომის ბოლოს ბათუმში საქართველოს არმიას დაახლოებით 3500-5000 კაცი ჰყავდა, რომელთა მეშვეობით აჭარიდან თურქების გაძევება მოხერხდა. უკვე ემიგრაციაში ქართველმა სამხედროებმა დამარცხების მიზეზების ძიებისას თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს. გენერალი კვინიტაძე მოგონებებში აღნიშნავს, რომ მარცხის მიზეზი თავდაცვის გეგმის არარსებობა, შეიარაღებული ძალების სამხედრო დროით გათვალისწინებულ ორგანიზაციაზე გადაუსვლელობა, მოწინავე და ზურგის პოზიციების მოუმზადებლობა, მატერიალური საშუალებების ნაკლებობა და ა.შ. იყო. სახალხო გვარდიის მთავარსარდალი ვალიკო ჯუღელი გამოჰყოფს არმიის მცირერიცხოვნებას, რუსი ოფიცრების ღალატს, წითლების მხრიდან ფოილოს ხიდის სწრაფ აღდგენასა და თურქეთთან კავშირის ჩაშლას.

ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ შეტევა ერთდროულად ექვსი მიმართულებით განავითარა, რომლის მოგერიება საქართველოს კი არა, სხვა ბევრად უფრო ძლიერ ქვეყანასაც კი გაუჭირდებოდა. ამასთან, რუსეთს უზარმაზარი რესურსები ჰქონდა და მას მხარს საქართველოში მოქმედი ბოლშევიკები დიდ დახმარებას უწევდნენ. ასეთ პირობებში ქვეყნის გადარჩენა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ძალზე ძნელი იქნებოდა.

**თემურ ჩაჩანიძე**

## სამარცხვინო ფურცელი

დეზერტირები



მგელაძე ალექსანდრე (1899 წ.)



ლეონ აბრამიანცი (1899 წ.)

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ქართველი მხედართმთავარი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, 1812 წლის სამამულო ომის გმირი; 5. ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზედაც სრულდებოდა სიკვდილით დასჯა; 6. ფეთქებადი ნივთიერება; 12. რელიგიური მსახურება ღვთაებისადმი; 13. ამერიკელი განგსტერი... კაპონე; 14. ესპანური პისტოლეტის „ბაბილონდოს“ მოდელი; 15. გარიჟრაჟი, აისი; 16. ხმის გამაძლიერებელი კონუსური მილი; 17. იტალიური საბრძოლო ტანკი; 18. ცეცხლსასროლი იარაღის მილი, რომელშიც გაივლის გასროლილი ტყვია; 19. ამა თუ იმ სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი, რომელიც აწყობს დაზვერვას, დივერსიებს და სხვა; 20. რუსული თვითმფრინავის მარკა; 21. ისრის წვერი; 25. ელექტრული განმუხტვა ცაში; 27. იგივეა, რაც ხანჯალი; 29. ავტორბოლა; 31. არგენტინული პისტოლეტი; 32. ამერიკული რევოლვერის კოლტის მოდელი; 33. სახელმწიფო აზიაში; **შვეულად:** 1. ფრანგულ-გერმანული სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატი; 2. ჯარის რჩეული ნაწილი; 3. ჩეხური ავტომობილი; 4. ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ბოლტონის“ იაპონელი ლეგიონერი; 7. სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ მონაწილეობს ომში და მეომარი სახელმწიფოების მიმართ ერთნაირი პოზიცია უკავია; 8. საჯარისო ერთეული ძვ. რომში; 9. გამძლე მინის სარკმელი გემზე ან თვითმფრინავზე; 10. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 11. გამაგრებული ციხის ზედამხედველი; 12. ამერიკული რევოლვერის „ჰერინგტონ და რიჩარდსონის“ მოდელი; 22. ბედი, იღბალი; 23. სამხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი შენაერთი; 24. ძვირფასი ლითონი; 26. აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარების ავიაბაზა; 27. იოსებ ჯუღაშვილის ფსევდონიმი; 28. პატარა სარწყავი არხი; 30. იტალიური ავტომატური შაშხანა „...1931“.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. აუტომაგი; 7. სიათა; 8. ერმაკი; 9. ბაო; 10. ჰარაკირი; 12. რკო; 13. კავალერია; 16. გალერეა; 19. ბუ; 20. ნიორი; 21. მეგრე; 22. რაიხი; 23. სირია; 24. ლიანდაგი; 27. ამუნიცია; 29. სტილეტი; 30. ბაქო; 31. გრო; 32. მორტირა; 34. რენო; 35. სოლტამი; 36. სიერა. **შვეულად:** 1. ალებარდა; 2. ტომაჰოკი; 3. მაკაროვი; 4. ისარი; 5. ჰაუბიცი; 6. დაკოტა; 11. კოლი; 14. რაველინი; 15. აბერდინი; 16. გენერალისიმუსი; 17. ლეონიდასი; 18. რეიდი; 25. დუელი; 26. გრიგალი; 27. აია; 28. უფოლოგია; 30. ბორანი; 33. ტიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შვარცენეგერის „ტოინები"

„არსენალი" იწყებს ახალ რუბრიკას, სახელწოდებით „კინოლაფსუსი". ამის აუცილებლობას კი იმ სათავგადასავლო, მძაფრსიუჟეტიანი მხატვრული ფილმების მომრავლება იწვევს, რომლებშიც რეჟისორის ფანტაზია ზღვარს სცილდება და იარაღის ამა თუ იმ სახეობას შეუძლებელს „აკეთებინებენ".

,,კინოლაფსუსის" პირველი ,,გმირი" ექვსლულიანი ამერიკული ტყვიამფრქვევია, რომელსაც ლეგენდარული შვარცენეგერის რაზმის მებრძოლი ხელიდან ისვრის მხატვრულ ფილმში – ,,მტაცებელი" (Predator), ,,ტერმინატორ-2"-ში (Terminator-2) ეს იარაღი უკვე თავად დაკუნთულ გუბერნატორს უპყრია ხელთ.

1987 წელს კინოეკრანებზე გამოსულმა ,,მტაცებელმა" დიდი აღიარება მოიპოვა. მძაფრი სიუჟეტის მოყვარულებს განსაკუთრებით ის მომენტი აღაფრთოვანებდათ, სადაც სპეცრაზმის მებრძოლი ხელს დასტაცებს უზარმაზარ ექვსლულიან ტყვიამფრქვევს და უხილავი უცხოპლანეტელისკენ ტყვიების ,,გრიგალს" გაუშვებს.

არანაკლებ შთამბეჭდავია სცენა ,,ტერმინატორი-2"-დან: ნახევრად ადამიანი – ნახევრად რობოტი შვარცენეგერი ასეთივე ექვსლულიანი ტყვიამფრქვევით პოლიციელთა მანქანებს მუსრს ავლებს...

ორივე შემთხვევაში რეჟისორები და თავად შვარცენეგერიც უტიფრად ატყუებენ მაყურებელს, რადგან ამ ტიპის ტყვიამფრქვევის ხელიდან სროლა შეუძლებელია.

მხატვრულ ფილმებში ნაჩვენები M134 და XM214 ტიპის ტყვიამფრქვევები ე. წ. გატლინგის პრინციპითაა კონსტრუირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ექვსლულიანი ბლოკი დიდი სისწრაფით ტრიალებს და ყოველი შემდეგი გასროლა ახალი ლულიდან ხდება. შესაბამისად, სწრაფსროლის ტემპი ფანტასტიკურ რიცხვს – 6000 გასროლა/წუთში აღწევს და ჯერ არ დაბადებულა დედამიწაზე ადამიანი, ვინც შეძლებს მის ხელში






გაცოფებული ტერმინატორი და...



ექვსლულიანი XM214-ი 2000 ვაზნასთან ერთად 52 კგ-ს იწონის



...ყოჩაღი ბიჭები „პრედატორიდან“



დაჭერას და მიზანში სროლას, რადგან უკუდარტყმის ძალა 110 კგ-ს აღემატება.

გარდა ამისა, გატლინგის კონსტრუქციის ასამუშავებლად ელექტროდენია საჭირო (ლულების ბლოკის დასატრიალებლად). მაგალითად, M134 ტიპის ექვსლულიან ტყვიამფრქვევზე დაყენებული ელექტროძრავის სიმძლავრე 4 ცხ. ძალის ტოლია და იგი 400 ამპერს (27 ვოლტი ძაბვის დროს) მოიხმარს. ამიტომაც მის ასამოქმედებლად მძლავრი აკუმულატორებია საჭირო. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯუნგლებში შვარცენეგერის სპეცრაზმს თან აკუმულატორები ეთრია.

სროლის უზარმაზარი ტემპის გამო გატლინგის სისტემის ტყვიამფრქვევები ძალზე დიდი რაოდენობის ვაზნებს ხარჯავენ. NATO-ს სტანდარტის 5,56მმ კალიბრის 2000 ვაზნის დასახარჯად XM214-ს ერთი წუთიც კი არ სჭირდება. ვაზნების ეს მარაგი კი თითქმის 25 კგ-ს იწონის. თავად განსაჯეთ – ღირს კი თან ათრიო უზარმაზარი და საკმაოდ მძიმე ექვსლულიანი ტყვიამფრქვევი, თუ მისი ვაზნების მარაგი ერთ წუთსაც არ ეყოფა?

ვინმე დევკაცმა მაინც რომ გარისკოს, XM-214 ხელში აიღოს და სროლა სცადოს, უკუდარტყმის დიდი ძალისა და ლულების ბლოკის სწრაფი ტრიალის შედეგად წარმოქმნილი ვიბრაცია საერთოდ გამორიცხავს მიზანში სროლის სიზუსტეს.

ხელიდან ამ ექვსლულიანი ტყვიამფრქვევებით ცეცხლის გახსნა პრინციპში შესაძლებელია, თუკი სწრაფსროლის ტემპი არ აღემატება 1500 გასროლას წუთში, მაგრამ ამ შემთხვევაში გატლინგის კონსტრუქციის ტყვიამფრქვევი ჩვეულებრივთან შედარებით საერთოდ აზრს კარგავს, რადგან ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული ვერმახტის MG-42 ტიპის ტყვიამფრქვევი წუთში 1200 ტყვიას ისვრის და 12 კგ-საც იწონის. ექვსლულიანი M134 „მინიგანის“ მასა ელექტრომოტორით (ვაზნების მარაგის გარეშე) კი 27 კგ-ს აღწევს.

ბუნებრივია, შეიძლება მაყურებელს კითხვა დაებადოს – მაშინ როგორ ისვრიან კინოგმირები „მტაცებელსა“ და „ტერმინატორი-2“-ში?

პასუხი ძალიან მარტივია – ამ ექვსლულიანი ტყვიამფრქვევიდან შვარცენეგერი ფუჭ ვაზნებს ისვრის, რისთვისაც გადაღებებისთვის XM214-ის სპეციალური ვარიანტი დამზადდა. ლულების ბლოკის დასატრიალებელი ელექტროძრავის ასამუშავებლად შვარცენეგერის შარვლის ტოტში დამალეს ელექტროსადენი, რომელიც დენის იმ წყაროსთან იყო შეერთებული, რომელიც, რა თქმა უნდა, კადრებში არ ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ სროლისთვის ფუჭი ვაზნები გამოიყენებოდა, მსროლელის სახე ნიღბით, ტანი კი ჯავშანჟილეტით „დაფარეს“, რათა „საშინელი“ სიჩქარით გვერდით გამოყრილ ვაზნების ცარიელ მასრებს მსახიობი არ დაეზიანებინა.

მხატვრულ ფილმში ხშირად ვხვდებით იარაღის არასწორი გამოყენების ბევრ ფაქტს, რომელთა საიდუმლოებას „არსენალის“ შემდეგ ნომრებში გაგიმხელთ.

**ირაკლი ალადაშვილი**



„მინიგანი“ ყველაზე მეტად შესაფერის პოზიციაზე — საბრძოლო შვეულმფრენის ბორტზე



# RANGE ROVER Sport









უმნიშვნელო დაღმართზე მოცურებული, განიერბორბლებიანი, უზარმაზარი მძიმე ჯიპი, პლასტმასის ნაწილების მსხვრევის ხმა, ყვირილი, გინება, კამათი (გარჩევა), რასაც მოძრაობის შეფერხება და საცობი მოყვება. ეს ყოველივე ამასწინანდელი ყინვების დროს ხდებოდა ჯიპების ქალაქად ქცეულ სინათლის ქალაქ თბილისში. მიზეზი? მიზეზი უბრალოა — მოძრაობის წესების, უსაფრთხოების ნორმების უგულვებელყოფა და ხშირ შემთხვევაში, — წერა-კითხვის უცოდინარობაც, თორემ რა სიძნელეს უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე ჯიპის მძღოლისთვის, გზის საფარის შესაფერისი რეჟიმის შერჩევა...


RANGE ROVER
VX05 DDJ
არსენალი
RANGE ROVER SPORT

ეროვნული ბიბლიოთეკა






„რეინჯერ-როვერ სპორტის“ ინსტრუქცია ორმოცდაათი მილიმეტრის სისქისაა და 412 გვერდს შეიცავს. მოულოდნელი სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად, მისი წაკითხვა-არწაკითხვისა თუ შესწავლის აუცილებლობაზე თავად ავტომობილის მფლობელი უნდა დაფიქრდეს, რადგან ინსტრუქცია ძირითადად ავტომატიკის მოხმარებას შეეხება.

„რეინჯერ-როვერ სპორტი“ წინამორბედებისგან განსხვავებით მთლიანად ემორჩილება ავტომატიკას. გადააბრუნებთ თუ არა წინა სავარძლებს შორის მოთავსებულ სახელურს, დისპლეიზე წარწერები და შესაფერისი გამოსახულებები გამოჩნდება. თითქმის ყველაფერი გასაგებია, სიმბოლოები იკითხება: ეს არის თოვლიანი, ასევე ყინულიანი გზის რეჟიმი, ღრმა ნაკვალევში მოძრაობის და უდაბნოს რეჟიმი; აქვეა ქვიანი გზებისა და მაღალი ბორდიურების გადასალახავი რეჟიმებიც. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მათ, ვინც ჩვეულებრივი ავტომანქანების საჭესთან ჯდომასაა მიჩვეული (ძველი თაობის მძღოლები), ყოველივე ეს სათამაშო ჰგონიათ და სკეპტიკურად ილიმებიან (ვაითუ ელექტრონიკამ გიღალატათ?). აქ კი მძღოლს მხოლოდ ისღა დარჩენია, სახელური გადაატრიალოს, ხოლო რა და როდის უნდა გადაირთოს, როდის უნდა შენელდეს მოძრაობა, როდის უნდა მოხდეს ბლოკირება, ამას ავტომატიკა წყვეტს. ხელის მუხრუჭიც კი ავტომატურ რეჟიმში მუშაობს. მძღოლმა მხოლოდ საჭე უნდა ატრიალოს და პედალს დააწვეს.





„რეინჯერ-როვერ სპორტის“ სალონს ვერაფერს დაუწუნებ. იგი სრულიად „ნატურალურია“ – პანელები ალუბლის ხით არის მოპირკეთებული. ხის ფაქტურაში ბუნებისგან შექმნილი კორძები და ნაირფერი ზოლებიც კი იკითხება. ძნელია ასეთი პანელი პლასტმასში ან თუნუქში აგერიოთ. სავარძლებზე რომ ბუნებრივი ტყავია გადაკრული, ერთი შეხედვითაც მიხვდებით. მიუხედავად ამისა, როცა ამ ბრიტანულ თვითმავალი ციხესიმაგრის სალონს კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ სივრცე უფრო დიდიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მძღოლის სავარძელი (პირველი „როვერისგან“ მემკვიდრეობით გადმოსული) კართან ერთობ ახლოსაა, სავარძლის ბალიში კი მოკლეა. თუ წინა სავარძლებს უკან დაწევთ, რათა მძღოლმა და მგზავრმა მოხერხებულად მოიკალათონ, უკანა რიგში მსხდომთ ფეხის გასაშლელი ადგილი თითქმის აღარ რჩებათ. საერთოდ კი ასეთ სოლიდურ ავტომობილს უფრო მეტი სივრცე დაამშვენებდა.

სამაგიეროდ, ავტომობილი, მიუხედავად სიმძიმისა და ძარის სიმაღლისა, საკმაოდ მკვეთრად ეხმაურება საჭის ნებისმიერ მოძრაობას, რაც ამ კლასის ჯიპებისთვის დამახასიათებელი არ არის. მუხრუჭების პედალი საკმაოდ მგრძნობიარე და საიმედოა, რაც თავდაჯერებას მატებს მძღოლს.

მაშინაც კი, როდესაც ინგლისელი









„ჯენტლმენის“ სპიდომეტრი 100 კმ/სთ-ს უჩვენებს, ისეთი შეგრძნება გიჩნდებათ, თითქოს ადგილიდან არ დაძრულა. 300-ცხენისძალიანი ძრავაც გაყუჩებულია. ყველაფერი კი საუკეთესო ხმაურიზოლაციის, მაგნიტოლის მშვენიერი აკუსტიკისა და ავტომანქანის ფსკერის სიმაღლის ბრალია...

წვრილმან უსწორმასწორო გზებზე ავტომობილი ოდნავ ზანზარებს, რისი თავიდან აცილება პნევმოსაკიდარსაც კი არ შეუძლია და ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ კონსტრუქტორები კომპრომისზე წავიდნენ, როცა ნამდვილი უგზოობის ტრანსმისია (ღერძთაშორისი და უკანა დიფერენციალების ბლოკირებით, რომელსაც არა მძღოლი, არამედ ავტომატიკა რთავს) სპორტულ დინამიკასა და საიმედოობას შეუჯვარეს. ამას დავუმატოთ ლიმუზინებისებური კომფორტი და მართვის სიმსუბუქე. მსგავსი კონსტრუქციების შექმნა ხარისხის გარკვეულწილად დათმობის გარეშე შეუძლებელია.

გამავლობა? შეიძლება კი ასეთი ავტომობილის ამ თვისებებზეც გავამახვილოთ ყურადღება? სველ, ციცაბო, ბალახისსაფარიან აღმართზე „რეინჯ-როვერი“ ისე მისრიალებს, როგორც პარკეტზე. ყველაზე მაღალ წინაღობასაც კი ადვილად ძლევს, თოვლზე მოძრაობისასაც ასევე ირჯება. რაც შეეხება გაზაფხულის წვიმისგან გაჟღენთილ მოხნულ მინდორს, ფუფუნებისთვის განკუთვნილი ამ მანქანის ასეთ პირობებში გამოყენება ჯერ არავის უცდია.

„რეინჯ-როვერ სპორტი“ ოცდამეერთე საუკუნის ტიპური შვილია. გარდა იმისა, რომ მასში შერწყმულია ადრე წარმოუდგენელი და შეუთავსებელი თვისებები, იგი ყურადღებას თავისი სახელგანთქმულობით, ანუ პრესტიჟულობითაც იპყრობს. ეს თვისება,რა თქმა უნდა, ლიტრებითა და კილომეტრებით (ანუ ზუსტი საზომებით) არ იზომება, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. ამიტომაც მსგავსი კლასის ჯიპები „ბრიტანულისგან“ განსხვავებით საკმაოდ იაფად იყიდება. „რეინჯერ-როვერ სპორტი“ კი ამ კომპონენტითაც საკმაოდ ღირსეულად გამოიყურება. მძლავრი მოტორი, ფართო შესაძლებლობების მქონე ტრანსმისია, რთული ელექტრონიკა და მდიდრული მორთულობა იაფი არ ღირს, ამას ემატება პრესტიჟულობის ფასიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# TT-ს ჩეხური ანალოგი

## ორი კალიბრის პისტოლეტი ერთ განსახიერებაში!

CZ52 პირველი პისტოლეტია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე გაკომუნისტებული ჩეხოსლოვაკიის არმიამ შეიარაღებაში 1952 წელს მიიღო. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჩეხოსლოვაკელმა კონსტრუქტორებმა CZ52-თვის საბჭოთა TT-ს 7,62X25 ტიპის ვაზნები შეარჩიეს, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ,რომ TT-ს ვაზნა გასული საუკუნის 30-იან წლებში გასაბჭოებული „მაუზერის“ 7,63მმ კალიბრიანი ვაზნაა.

გარდა იმისა, რომ CZ52 ჩეხოსლოვაკიის არმიის შეიარაღებაში რამდენიმე ათეულ წელიწადს იყო, ამ პისტოლეტებს ხშირად შეხვდებოდით მესამე მსოფლიოს იარაღის ბაზარზეც. მეტიც, იგი ტერორისტების საყვარელი პისტოლეტიც გახლდათ — ცნობილმა საერთაშორისო ტერორისტმა ილიჩ რამირესმა, მეტსახელად „შაკალ კარლოსმა“, სწორედ CZ52-ით „გააგორა“ ფრანგული სპეცსამსახურების ორი აგენტი, როდესაც ისინი თავად კარლოსის დაკავებას ცდილობდნენ.

CZ52-ის კონსტრუქცია ყველა დანარჩენი პისტოლეტისგან განსხვავდება და იგი უფრო გერმანული ტყვიამფრქვევის MG-42-ისას მოგვაგონებს, რადგან ჩაკეტ-



ჩვენი დოსიე: ჩეხოსლოვაკური საარმიო პისტოლეტი CZ52 950გ-ს იწონის; მისი სიგრძე 209 მმ-ი, ლულისა კი 120 მმ-ია; მჭიდში 8 ვაზნა თავსდება; უყენებენ როგორც TT-ს ვაზნებზე გათვლილ 7,62მმ კალიბრის ლულას, ისე 9მმ PAR ვაზნების სასროლად ვარგის ლულასაც.

ვა პატარა გორგოლაჭების საშუალებით ხდება.

„არსენალის“ გამოცდილი CZ52 1953 წელს არის გამოშვებული, თუმცა მიუხედავად ნახევარსაუკუნოვანი ასაკისა, მშვენივრად გამოიყურება და ზომით ნამდვილ საარმიო პისტოლეტს შეესაბამება.

ჩეხოსლოვაკიაში გამოშვებული ეს პისტოლეტი გამოირჩევა სიძლიერით, რასაც TT-ს მაღალენერგიული ვაზნაც განაპირობებს. ამასთან, CZ52-ის ლულის სიგრძე 120მმ-ია (TT-ს ლულის სიგრძე კი 116მმ-ს არ აღემატება), რაც ზრდის სროლის სიზუსტესა და მანძილს. ისევე როგორც საბჭოთა TT, ჩეხოსლოვაკური CZ52-ის ჩახმახის შეყენება მხოლოდ სასხლეტით შეუძლებელია. სამაგიეროდ ჩეხოსლოვაკიურ პისტოლეტს TT-სგან განსხვავებით საიმედო დამცველი აქვს, თუმცა მასზე საკეტის შემაჩერებელს ვერ ნახავთ.



სროლისას ერთი ნიუანსი შევამჩნიეთ – მართალია, TT-ს ტარი სიმოკლის გამო არცთუ საზარბიელო ერგონომიკით გამოირჩევა, მაგრამ დიდი მოხერხებულობით ვერც CZ52 დაიკვეხნის – მისი ტარი ძალზე ფართოა. ამასთან, მის მჭიდში, ისევე როგორც უფრო თხელტარიან TT-ში, მხოლოდ 8 ვაზნა თავსდება.

შესაძლოა ზოგმა ჩეხოსლოვაკურ პისტოლეტს ნაკლად ზედაპირის წაწვეტებული ადგილებიც (მაგალითად, ტარის წინა ნაწილში) ჩაუთვალოს, ასევე გასროლისას წარმოქმნილი მკვეთრი უკუცემის მომენტიც. სამაგიეროდ თითქმის კილოგრამიანი CZ52 ძალიან გამძლეა – ჩანს, მართლაც ომისთვის არის შექმნილი და გათვლილია იმ ჩეხური ვაზნების გამოყენებაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკური წარმოების პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისთვის მზადდებოდა. ეს ვაზნები (რომლებიც, სხვათა შორის, თბილისის იარაღის მაღაზიებშიც იყიდება) საბჭოთა TT-ს მალე აფუჭებს.



CZ52-ს ორი სხვადასხვა კალიბრის ლულა ერგება. მისი გადაწყობა რამდენიმე წუთს მოითხოვს. ფოტოზე: პისტოლეტის არასრული დაშლა

სპეციალისტები დაუშვებლად მიიჩნევენ CZ52-ის ჩახმახის ხშირად ფუჭ დაშვებას, რადგან დამრტყმელი მყიფე მეტალისგან არის დამზადებული და შეიძლება გატყდეს. სხვათა შორის, CZ52 TT-სგან განსხვავებით უფრო მარტივი დასაშლელი და ასაწყობია.

და აი, მივადექით მთავარს, CZ52-ს – კარგი „მსახიობია“, იერს იოლად, რამდენიმე წამში იცვლის – შეიძლება გამოუცვალოთ ლულა; თუ ჯერ TT-ს ვაზნებს იყენებდა 7,62მმ კალიბრის ლულისთვის, შესაბამისი კალიბრის ლულის დაყენებისთანავე შეიძლება 9მმ-იანი „ლუგერის“ ვაზნები გამოიყენო ისე, რომ მჭიდის გაბარიტები არ შეცვალო.

ეს ეშმაკობა ჩეხოსლოვაკელ კონსტრუქტორებს ალბათ იმ გენერლებმა ასწავლეს, ვინც დასავლეთ ევროპაზე ელვისებურ შეტევას გეგმავდა და „ლუგერის“ ვაზნებით სავსე საწყობების ხელში ჩაგდებას აპირებდა.

საქართველოს იარაღის მაღაზიებში CZ52 თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, თუკი მას ვინმე კოლექციონერი გაიმეტებს.

*ირაკლი ალადაშვილი*

ი20/27

